



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ”

(განაცხადი № 25091/07)

განჩინება

სტრასბურგი

2011 წლის 26 აპრილი

**საბოლოო გახდა**  
**26/06/2011**

წინამდებარე განჩინება შესაძლოა დაეჭვებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

## საქმეზე „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, თავმჯდომარე  
ირენეუ კაბრალ ბარეტო  
ვლადიმირო ზაგრებელსკი  
დანუტე იოჩიენე  
დრაგოლიუბ პოპოვიჩი  
ანდრაშ შაიო, მოსამართლები  
ირაკლი ადეიშვილი, *ad hoc* მოსამართლე  
და სტენლი ნაისმითი, სექციის განმწესრიგებელი

2010 წლის 27 აპრილსა და 2011 წლის 22 მარტს გამართული დახურული თათბირების შემდეგ, მითითებულთაგან ბოლო დღეს გამოიტანა შემდეგი განჩინება:

### პროცედურა

1. საქმის საფუძველია განაცხადი (№ 25091/07) საქართველოს წინააღმდეგ, რომლითაც სასამართლოს, ადამიანის უფლებებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2007 წ. 11 ივნისსა და 2008 წ. 17 მარტს, მიმართა საქართველოს ორმა მოქალაქემ ქ-ნმა ირინა ენუქიძემ და ბ-ნმა გურამ გირგვლიანმა („განმცხადებლები“). 2007 წ. 24 აგვისტოს, ქ-ნი ირინა ენუქიძე („პირველი განმცხადებელი“) გარდაიცვალა. 2008 წ. 17 მარტს, მისმა მეუღლემ, ბ-ნმა გურამ გვირგვლიანმა („მეორე განმცხადებელი“), სასამართლოს აცნობა, რომ სურდა, პროცესი საკუთარი და გარდაცვლილი მეუღლის სახელით გაეგრძელებინა. კითხვადობისა და სხვა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, წინამდებარე განჩინებაში სასამართლო ორივე განმცხადებელს მოიხსენიებს.

2. განმცხადებლებს წარმოადგენდნენ ბატონები, შალვა შავგულიძე და დავით ჯანდიური, ადვოკატები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას თბილისში ახორციელებენ, ხოლო საქართველოს მთავრობას - („მთავრობა“) სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი ლევან მესხორაძე.

3. განმცხადებლები აცხადებდნენ, რომ მათი ვაჟიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ იყო მოკლული, ვინაიდან მან ამ სამინისტროს მაღალჩინოსნები, ასევე მინისტრის მეუღლე, გაანაწყენა და რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტური.

4. 2008 წ. 24 ივნისს, სასამართლომ გადაწყვიტა, განმცხადებელთა მიერ კონვენციის მე-2, 6§1 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების შესახებ მთავრობისთვის ეცნობებინა (რეგლამენტის მუხლი 54§2 (ბ)). სასამართლომ ასევე გადაწყვიტა განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა. (კონვენციის მუხლი 29§3). იმავე დღეს, სასამართლომ მთავრობას განმცხადებლების ვაჟის მკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის ასლების წარდგენა სთხოვა, როგორც ამობეჭდილი, ისე ელექტრონული სახით, რომელსაც 14 მტკიცებულება (იხ. გ159 ქვემოთ), ასევე ლ.ბ-ბის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის („სსკ“) 371-ე მუხლის საფუძველზე აღმრული სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის ასლები (იხ. გ194 ქვემოთ) უნდა ჰქონოდა თანდართული.

5. 2008 წ. 22 დეკემბერს, მთავრობამ, განაცხადის დასაშვებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვასთან დაკავშირებულ მოსაზრებებთან ერთად, მხოლოდ მკვლელობის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალის რვა ტომი წარადგინა. მე-8 ტომიდან ჩანს, რომ ვიდეოჩანაწერები, მათ შორის 14 მტკიცებულება, ამ სისხლის სამართლის საქმის ნაწილს წარმოადგენდა, თუმცა, აღნიშნული მტკიცებებულებები სასამართლოში წარდგენილ მასალებს შორის არ ფიგურირებდა. რაც შეეხება ლ.ბ-ძესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეს, მთავრობას არ წარმოუდგენია არცერთი მტკიცებულება და მხოლოდ იმის ახსნა-განმარტებით შემოიფარგლა, რომ რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, შესაბამისმა ადგილობრივმა ორგანოებმა სისხლისსამართლებრივი წარმოება შეწყვიტეს.

6. პასუხად, განმცხადებლებმა საკუთარი მოსაზრებები სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნასთან ერთად, 2009 წ. 24 მაისსა და 9 ივლისს წარმოადგინეს. მთავრობამ განმცხადებელთა კომენტარებს 2009 წ. 14 ივლისს უპასუხა.

7. 2009 წ. 6 ოქტომბერს სასამართლომ საქმის დასაშვებობისა და არსებითი მხარის თაობაზე ზეპირი მოსმენა დანიშნა.

8. 2009 წ. 9 ნოემბერს სასამართლომ მთავრობის ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ ამ უკანასკნელმა მას არ წარუდგინა 14 მტკიცებულება და სხვა ვიდეოჩანაწერები, რომელიც მკვლელობის საქმის შემადგენელი ნაწილი იყო, ასევე ლ.ბ.-ძის მიმართ აღმრული სისხლის სამართლის საქმის მასალები, მათ შორის, გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. კონვენციის 38-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ პრეცენდენტულ სამართლზე (მედოვა რუსეთის წინააღმდეგ, №25385/04, გვ76-80, ECHR 2009 ... (ამონაწერები)) დაყრდნობით, სასამართლომ მთავრობას კიდევ ერთხელ მოსთხოვა აღნიშნული მტკიცებულებების წარდგენა და ხაზგასმით მიუთითა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები მას უნდა მიეღო არაუგვიანეს 2009 წ. 1-ლი დეკემბრისა.

9. 2009 წ. 1 დეკემბერს, ფაქსით გაგზავნილი წერილით, რომელსაც შესაბამისი საფოსტო გზავნილის ქვითარი თან არ ახლდა, მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ მოთხოვნილი მტკიცებულებები ჩვეულებრივი ფოსტით გაიგზავნა.

10. 2009 წ. 14 დეკემბერს, კიდევ ერთხელ მოითხოვა რა აღნიშნულ მტკიცებულებათა წარდგენა, მოახლოვებული ზეპირი მოსმენის გათვალისწინებით, სასამართლომ ასევე შესთავაზა მთავრობას დამატებითი დოკუმენტების წარდგენა, კერძოდ, გასაიდუმლოებული შიდასაორგანიზაციო პატაკი, რომელიც დ.ა.-აიამ შს მინისტრს გაუგზავნა (იხ. გ49 ქვემოთ) და დოკუმენტები, რომლებიც ეხებოდა პრეზიდენტის მიერ 2008 წ. 24 ნოემბერს გამოცემული შეწყალების აქტის მომზადებასა და აღსრულებას, ასევე, 2009 წ. 5 სექტემბერს, ოთხი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებას (იხ. გგ 204-205 ქვემოთ).

11. 2009 წ. 15 დეკემბერს, სასამართლომ, საბოლოოდ, მიიღო მთავრობის მიერ 1-ლ დეკემბერს გაგზავნილი მტკიცებულებები (იხ. გ9 ზემოთ). ეს გზავნილი შედგებოდა მკვლელობის საქმის 14 მტკიცებულებისა და ლ.ბ-ძის მიმართ სსკ-ის 371-ე მუხლის მიხედვით აღმრული სისხლის სამართლის საქმის ზოგიერთი მასალისგან. სასამართლოს მიერ 2009 წ. 14 დეკემბერს მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტები (იხ. წინა პუნქტი) მთავრობამ 2010 წ. 12 იანვარს წარადგინა.

12. 2010 წ. 26 აპრილს, მთავრობამ წარადგინა დამატებითი წერილობითი კომენტარები განაცხადის დასაშვებობასთან და არსებით მხარესთან დაკავშირებით. აღნიშნული კომენტარების წარდგენა სასამართლოს არ მოუთხოვია, ვინაიდან მას უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება საქმეზე ზეპირი მოსმენის პროცედურის გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლოს რეგლამენტის 38§1 მუხლის მიხედვით, აღნიშნული კომენტარები მაინც დაერთო საქმის მასალებს და იმავე დღეს გადაეგზავნა განმცხადებლებს.

13. საქმის ზეპირი მოსმენა 2010 წ. 27 აპრილს, სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში გაიმართა (მუხლი 59§3). იმავე დღეს, სასამართლომ მხარეებს აცნობა, რომ შეჯიბრებითობის პროცედურები დაფუძნებული წერილობითი პროცედურა საბოლოოდ დაიხურა და ამის შემდეგ დამატებითი სარჩელების განხილვა აღარ მოხდებოდა.

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის სახელით:

ქ-ნი თ. ბურჯალიანი, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე  
ბ-ნი ლ. მესხორაძე, სახელმწიფო წარმომადგენელი

(ბ) განმცხადებლების სახელით:

ბ-ნი შ. შავგულიძე და ბ-ნი დ. ჯანდიერი, იურისტები  
ბ-ნი გ. გირგვლიანი, განმცხადებელი  
ქ-ნი ქ. კვანტალიანი, მრჩეველი.

სასამართლომ მოისმინა ქ-ნი თ. ბურჯალიანისა და ბ-ნი ჯანდიერის მიმართვები.

## ფაქტები

### 1. საქმის გარემოებები

14. პირველი განმცხადებელი დაიბადა 1956 წელს. იგი 2007 წ. 24 აგვისტოს გარდაიცვალა. მეორე განმცხადებელი დაიბადა 1950 წელს და ცხოვრობს ქ. თბილისში.

### 1. ონფორმაცია საქმის შესახებ

15. 2006 წ. 27 იანვარს, დაახლოებით საღამოს 11 საათისთვის, მეგობრების ჯუფი თბილისში, კაფე „შარდენში“ შეიკრიბა. ამ ჯგუფში იყვნენ: შე მინისტრის მეუღლე თ.ს.-აია, შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დ.ა.-აია, მისი მოადგილე ო.მ.-ოვი, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი ვ.ს.-ძე, სამინისტროს პრესცენტრის უფროსი და მინისტრის პრესსპიკერი გ.დ.-ძე, და თ.ს.-აიას მეგობარი ქალბატონი ა.კ.-ძე. მათთან ერთად იმყოფებოდა კიდევ ერთი ქალბატონი, თ.მ.-ძე, რომელიც ა.კ.-ს მეგობარი იყო.

16. ბ-ნი სანდრო გირგვლიანი, განმცხადებლების 28 წლის ერთადერთი შვილი და მისი მეგობარი, ლ.ბ.-ძე იმავე დარბაზში, სხვა მაგიდასთან ისხდნენ.

17. განმცხადებელთა თქმით, დ.ა.-აია, ო.მ.-ოვი, ვ.ს.-ოძე და გ.დ.-ძე საქართველოში ძალიან კარგად ცნობილი საჯარო პირები არიან, რომლებმაც, შე მინისტრ ვ.მ.-შვილთან ერთად, აქტიური როლი ითამაშეს ე.წ. „ვარდების რევოლუციაში“, რომელსაც შედეგად, 2003 წ. ნოემბერში, პრეზიდენტ ე. შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა (იხ. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ“, № 9103/04, გვ. 11-13, 2008 წ. 8 ივლისი). განმცხადებელთა თქმით, აღნიშნული ნდობით აღჭურვილი პირები მთავრობის საყრდენ ძალას წარმოადგენენ.

18. განმცხადებელთა თქმით, იმ საღამოს, ახალგაზრდა ბანკირები - სანდრო გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე, კაფე „შარდენში“ ზემოაღნიშნულ მეგობების ჯგუფზე გვიან მივიდნენ. განმცხადებლების ვაჟი იმედოვნებდა თ.მ.-ძის ნახვას, რომელიც მას, როგორც ჩანს, მოსწონდა. კაფეში შესვლისთანავე, იგი მივიდა მაგიდასთან, სადაც თ.ს.-აია, შე მინისტრის მეუღლე და მისი მეგობრები ისხდნენ, რათა თ.მ.-ძეს მისალმებოდა. მან გადაკოცნა თ.მ.-ძე და შემდეგ, ახლომდებარე მაგიდასთან მჯდომ ლ.ბ.-ს შეუერთდა. ერთ მომენტში, მან თ.მ.-ძეს ანიშნა, მათ მაგიდასთან გადასულიყო და თ.მ.-ძემაც დროებით შეიცვალა ადგილი. სანდრო გირგვლიანსა და თ.მ.-ძეს შორის

საუბარი, რომელიც დაახლოებით 20-30 წთ. გრძელდებოდა, როგორც ჩანს, საკმაოდ დაძაბული იყო და მკვეთრი ჟესტიკულაციის თანხლებით მიმდინარეობდა, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ ისინი რაღაცაზე ვერ თანხმდებოდნენ. ამის გამო, ა.კ.-ძე თ.მ.-ძესთან ორჯერ მივიდა, რათა ეკითხა, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა და ხომ არ სჭირდებოდა მას დახმარება. თ.მ.-ძე პასუხობდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და რომ ის მაღლე დაუბრუნდებოდა ა.კ.-ძის მაგიდას. როდესაც იგი მაგიდას დაუბრუნდა, შს მინისტრის მეუღლემ ჰქითხა, რამე პრობლემა ხომ არ იყო. თ.მ.-ძემ თქვა, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ის ესაუბრა, მისი მეგობარი იყო და პრობლემა არ არსებობდა.

19. 2006 წ. 28 იანვარს, დაახლოებით შუადღის 3 საათზე, ს. გირგვლიანის ცხედარი მისი სამი მეგობრის მიერ, ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრების დახმარებით, თბილისის შემოგარენში, სოფ. ოქროყანის სასაფლაოსთან ახლოს, კაფე „შარდენიდან“ 6.3 კილომეტრის დაშორებით იქნა ნაპოვნი.

20. 2006 წ. 28 იანვარს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების მიერ შემთხვევის ადგილის შემოწმების შემდეგ მომზადებული დასკვნისა და თანდართული ფოტომასალის მიხედვით, სანდრო გირგვლიანის წელს ზემოთ შიშველი გვამი სასაფლაოსთან ახლოს მდებარე ტყეში, თოვლში იპოვნეს. სხეულის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, მარცხენა იდაყვსა და მხარზე არაერთი პარალელური, ხაზოვანი ჭრილობა აღმოჩნდა, სამი 8 სმ-იანი ჭრილობა კისერზე აღინიშნებოდა, მსგავსი ჭრილობა იყო ყელზეც; ასევე უამრავი ჩალურჯება და დაზიანება, მათგან ზოგი ღრმა, მკერდამდე. მსხვერპლის შარვლის ჯიბეში ნაპოვნი იქნა ჯიბის დანა.

21. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ 2006 წ. 28 იანვარს ჩატარებული გვამის გავეთის მიხედვით, მსხვერპლს ყელზე მჭრელი ნივთით მიყენებული 12 სხვადასხვა ზომის ჭრილობა, ხოლო ერთი დაზიანება მარცხენა მხარზე აღენიშნებოდა. ყელზე მიყენებული სამი ჭრილობა საკმარისად ღრმა იყო იმისათვის, რომ კუნთების დაზიანება გამოეწვია. ერთ-ერთი მათგანი 0.5 სმ დიამეტრის იყო და ხახამდე აღწევდა. სახელმწიფო ექსპერტის თქმით, რომელმაც ყელიდან აღებული კანის ნიმუში შეამოწმა, ჭრილობები მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი საგნით, სავარაუდოდ, დანით იყო მიყენებული. მარცხენა მხარზე, მარცხენა წინამხარზე, მარჯვენა მხარზე, თითებზე, მუცელზე, ორივე მუხლზე და წვივებზე, თეძოებზე, შუბლზე, ცხვირზე და თვალების ირგვლივ, ასევე აღმოჩენილ იქნა მრავალრიცხოვანი, 4-15 სმ სიგრძის ჭრილობები. ანალიზმა სისხლში ალკოჰოლის შემცველობა აჩვენა, მაგრამ ნარკოტიკული ნივთიერებების კვალი აღმოჩენილი არ ყოფილა. ექსპერტების თქმით, სიკვდილის მომენტში, მსხვერპლის ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობა უმნიშვნელო (0.35 %) იყო.

22. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სიკვდილი ხახის არეში მიყენებულმა ორმა ჭრილობამ გამოიწვია. მსხვერპლი ასფიქსით გარდაიცვალა, როდესაც ხახის ჭრილობიდან სისხლი სასუნთქ მიღწი გადაიღვარა. ეს მძიმე, სიცოცხლისათვის საშიში ჭრილობა იყო.

## 2. გამოძიების შსს-ს მიერ ჩატარებული ნაწილი

23. 2006 წ. 28 იანვარს, შსს-მ მკვლელობის მუხლით (სსკ-ის 108გ2 მუხლი) სისხლის სამართლის აქმე აღმრა. იმავე დღეს, სისხლის სამართლის საქმე თავისუფლების უკანონო აღკვეთისა (სსკ-ის 143გ2) და ყაჩაღობის (სსკ-ის 179გ2 მუხლი) ბრალდებით აღიძრა და ეს ორი საქმე გაერთიანდა.

24. 2006 წ. 28 იანვარს, ლ.ბ.-ძე მოწმის სახით დაიკითხა. მან განმარტა, რომ 2006 წ. 27 იანვარს, დაახლოებით საღამოს 8 საათზე, ს. გირგვლიანი, თვითონ და მათი რამდენიმე კოლეგა „კაიზერ ინნ“-ში წავიდნენ. იქ მათ სხვადასხვა კერძები, ლუდი და არაყი შეუკვეთეს. „კაიზერ ინნ“-ი მათ დაახლოებით ღამის 1-ლ საათზე დატოვეს. განმცხადებელთა შვილი და ლ.ბ.-ძე ერთი ტაქსით გაემგზავრნენ, ხოლო მათი კოლეგები კი - მეორეთი. გზაში, გირგვლიანმა მას კაფე „შარდენში“ ყავის დასალევად შევლა შესთავაზა. ლ.ბ.-ძის თქმით, მათ კაფეში რამდენიმე ნაცნობი შეხვდათ და დაახლოებით ღამის ორ საათამდე იყვნენ იქ. როდესაც ისინი კაფედან გამოვიდნენ და ლესელიძის ქუჩას ქვემოთ, მთავარი გზის მიმართულებით დაუყვნენ, მათ გვერდით ვერცხლისფერი მერსედეს „ML“ გაჩერდა. მანქანიდან გადმოვიდა ორი მამაკაცი, რომლებმაც ლ.ბ.-ძეს კისერში წაავლეს ხელი და მისი მანქანაში შეგდება დააპირეს. ერთ-ერთმა მათგანმა განმცხადებლების შვილი შეაგდო მანქანაში და მას ხელებს ზურგსუკან უკავებდა.

25. ლ.ბ.-ძემ სამ გამტაცებელს ჰქითხა, რა უნდოდათ მათგან. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა, რომ პირველ რიგში, აინტერესებდათ, რა ჰქონდათ ჯიბეებში. ლ.ბ.-ძემ და სანდრო გირგვლიანმა მათ მობილური ტელეფონები აჩვენეს, რომლებიც მამაკაცმა ჩამოართვა და მანქანის წინა უჯრაში შეინახა. იმავე მამაკაცმა მათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვა. ლ.ბ.-ძემ მას საკუთარი სამსახურის საშვი გადასცა, რომელიც მამაკაცმა ასევე ჩამოართვა. ლ.ბ.-ძესა და გირგვლიანს აღნიშნული მამაკაცები პოლიციელები ეგონათ, მაგრამ როდესაც მანქანა თბილისიდან გასასვლელი გზის აღმართს დაადგა, განმცხადებლების შვილმა იკითხა, სად მიდიოდნენ, ვინაიდან ამ მიმართულებით პოლიციის განყოფილება არ მდებარეობდა. პასუხის ნაცვლად, გვერდით მჯდომმა მამაკაცმა მას იდაყვი ჩაარტყა ნეკნებში. ლ.ბ.-ძემაც იგივე კითხვა დასვა, თუმცა უშედეგოდ. გირგვლიანმა თავდამსხმელებს პოლიციის მოწმობების ჩვენება მოსთხოვა, რის პასუხადაც კვლავ ნეკნებში იდაყვით დარტყმა მიიღო. ბოლოს, მძღოლის გვერდით მჯდომმა მამაკაცმა მათ უპასუხა, რომ მალე ნახავდნენ, სადაც მიდიოდნენ და გაიგებდნენ რაც მოხდებოდა, როდესაც „ზევით“ ავიდოდნენ. ამის შემდეგ, გარკვეული დროის განმავლობაში, ყველა ჩუმად იყო. თბილისიდან გასვლისას, მძღოლმა ვიღაცას მობილური ტელეფონით დაურევა და უთხრა: „გზაში ვართ და ზევით მივდივართ. გზა ნორმალურია; შეგიძლია შენი მანქანით ამოხვიდე.“ მანქანა ოქროყანის სასაფლაოსთან გააჩერეს, ლ.ბ.-ძე და განმცხადებლების შვილი მანქანიდან გადმოათრიეს და სასაფლაოსკენ უბიძგეს. ლ.ბ.-ძეს მძღოლი და წინა სავარძელზე მჯდომი მამაკაცი მიათრევდნენ. უეცრად, მან კისერში ძლიერი დარტყმა იგრძნო და

დაეცა. გამტაცებლები მას წიხლებს ურტყამდნენ, ერთ-ერთ მათგანს მის თავთან პისტოლეტის ლულა ჰქონდა მიბჯენილი. იმავე დროს, სანდრო გირგვლიანს მესამე მამაკაცი ურტყამდა.

26. ცოტა ხანში, ლ.ბ.-ძემ მეოთხე მამაკაცი დაინახა, რომელიც მათთან ერთად მანქანაში არ ყოფილა. მამაკაცი მას მიუახლოვდა, იარაღი დაუმიზნა და უთხრა, რომ მხოლოდ იმას იღებდა, რაც დაიმსახურა. შემდეგ მან ლ.ბ.-ს სახეში წიხლი ჩაარტყა, ჰაერში გაისროლა, იქით გაემართა, სადაც სანდრო გირგვლიანს სცემდნენ და მანაც დაუწყო ცემა.

27. რაღაც მომენტში, ორი მამაკაცი, რომლებიც სანდრო გირგვლიანს სცემდნენ, იმ ორთან მივიდნენ, რომლებიც ლ.ბ.-ძეს ურტყამდნენ და უთხრეს: „მეორე ნაბიჭვარი გაიქცა“. ამის შემდეგ, მათ ლ.ბ.-ძე აიძულეს, ტანსაცმელი გაეხადა, კიდევ სცემეს და იქვე დატოვეს.

28. ლ.ბ.-ძემ წვალებით მოახერხა ადგომა და გზაზე გავიდა. მან გზის გასწროვ, ბენზინ-გასამართ სადგურამდე იარა, სადაც დარაჯი გააღვიძა. მან დარაჯთან დილამდე მოიცადა და შემდეგ, ერთ-ერთ გამვლელს მისი მობილურის გამოყენება სთხოვა, რათა პოლიციაში დაერევა. დაკითხვის დროს, დარაჯმა დაადასტურა ლ.ბ.-ძის ნათქვამი.

29. დაკითხვის დასასრულს, ლ.ბ.-ძემ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ შოკში იყო და იმ მომენტში სხვა დეტალებს ვერ იხსენებდა.

30. 2006 წ. 28 იანვარს, ლ.ბ.-ძე დაზარალებულად იქნა ცნობილი და კიდევ ერთხელ, ამ სტატუსით დაიკითხა. მან წინა ჩვენება დაადასტურა და დაამატა, რომ მას თავის არეში პისტოლეტს ურტყამდნენ.

31. 2006 წ. 28 იანვარს დაიკითხა ყველა კოლეგა, რომლებთან ერთადაც სანდრო გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე დაახლოებით ღამის 12:20-12:30-მდე იმყოფებოდნენ. მათ დაადასტურეს, რომ განმცხადებელთა შვილი და ლ.ბ.-ძე ტაქსით გაემგზავრნენ. მათ მომხდარისა და სანდრო გირგვლიანის სიკვდილის შესახებ მომდევნო დღემდე არაფერი იცოდნენ.

32. 2006 წ. 29 იანვარს ლ.ბ.-ძე დააკავეს და მის მიმართ, მკვლელობის დაფარვასთან დაკავშირებით, გამოძიება დაიწყო.

33. 2006 წ. 29 იანვარს დაიკითხნენ კაფე „შარდენის“ ოფიციანტები, მენეჯერი და ბუღალტერი. მათ განაცხადეს, რომ პარასკევობითა და შაბათობით, კაფეში დასარტყამ ინსტრუმენტებზე დამკვრელი და „დიჯეი“ უკრავდნენ. ერთ-ერთმა ოფიციანტმა განაცხადა, რომ მე-5 მაგიდასთან, გ.დ.-ძე, შსს-ს პრესმდივანი, 6-7 სხვა ადამიანთან ერთად იჯდა. მისივე თქმით, გ.დ.-ძემ და მისმა მეგობრებმა კაფე დაახლოებით ღამის 2:40 საათზე დატოვეს. მას იმ საღამოს რაიმე პრობლემა ან ჩხუბი არ შეუმჩნევია. თუმცა, ის მაინც ვერ შეძლებდა კლიენტებს შორის რაიმე უსიამოვნო შელაპარაკების გაგონებას, ვინაიდან მუსიკა საღამოს 10-დან ღამის 1-ლ საათამდე უკრავდა. პირმა, რომელმაც განმცხადებლების შვილს ყავა მიუტანა, აღნიშნა, რომ ბ-ნ. გირგვლიანს შეუერთდა მეგობარი, რომელიც შემდეგ ტუალეტში გავიდა. ხსნებულმა ორმა პირმა მხოლოდ ყავა შეუკვეთა და დაახლოებით 20 წუთში დატოვეს კაფე.

34. 2006 წ. 30 იანვარს, საგამოძოებო ორგანომ თბილისის ყველა პოლიციის განყოფილების უფროსებს, მათ უბნებში ვერცხლისფერი მერსედეს „ML“-ის მარკის ავტომობილების მოძებნა, მათი მფლობელების ჩამონათვალის, მათი ფოტოსურათებისა და მობილური თუ ქალაქის სატელეფონო ნომრების მოძიება დაავალა პროფესიული კონტაქტების, მეგობრების, ოჯახის წევრებისა და შესაძლო დანაშაულებრივი კავშირების ჩათვლით. აღნიშნული საგამოძიებო ღონისძიებები 2006 წ. 1 მარტამდე განხორციელდა და მათი შედეგების შესახებ საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება ეტაპობრივად ხდებოდა.

35. 2006 წ. 30 იანვარს, ბრალდებულის სახით დაკითხვის დროს, ლ.ბ.-ძემ საგამოძიებო ორგანოებს ახალი ინფორმაცია მიაწოდა. მან თქვა, რომ კაფე „შარდენში“, მათ შეუერთდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც იგი არ იცნობდა. განმცხადებლების შვილი მას თბილად შეეგება. ამ დროს, ლ.ბ.-ძე ერთ ნაცნობს ესაუბრებოდა. მიუხედავად ამისა, მან შენიშნა, რომ ქალბატონსა და განმცხადებლების შვილს შორის საუბარი გამძაფრდა. მას არ ესმოდა, რაზე საუბრობდნენ ისინი, ვინაიდან სანდრო გირგვლიანი და ახალგაზრდა ქალი ერთმანეთთან ძალზე ახლოს ისხდნენ, ხოლო მუსიკა ხმამაღლა უკრავდა. ათი წუთის შემდეგ, ქალი გაბრაზებული სახით ადგა და თავის მაგიდას დაუბრუნდა, სადაც რამდენიმე სხვა ქალი და ათლეტური შესახედაობის მამაკაცები ისხდნენ. სანდრო გირგვლიანს ლ.ბ.-ძისათვის არ უთქვამს თუ ვინ იყო ეს ქალი. კაფეში სანდროსთან შელაპარაკება არავის მოსვლია. სასაფლაოზე, როდესაც განმცხადებლების შვილს ურტყამდნენ, ლ.ბ.-ძე მას ვერ ხედავდა, მაგრამ მისი ყვირილი ესმოდა. მოგვიანებით, თავდამსხმელებს მეოთხე მამაკაცი შეუერთდა. მას იარაღი ჰქონდა. ლ.ბ.-ძის თქმით, ადვილი შესაძლებელი იყო, მას თან სხვაც ხლებოდა, ვინაიდან გირგვლიანი ძლიერი კაცი იყო და ისეთი წამების დროს, რომელზეც მის სხეულზე აღმოჩენილი კვალი მეტყველებდა, ადვილი არ იქნებოდა მისი გაკავება. ამ კაცის მოსვლის შემდეგ გაისმა განმცხადებლების შვილის განწირული ყვირილი. დროდადრო, აღნიშნული მამაკაცი გირგვლიანს ტოვებდა და ლ.ბ.-ძის საცემად მიდიოდა. იმის გამო, რომ ლ.ბ.-ძეს სახეში ურტყამდნენ წიხლებს, ის იძულებული იყო, სახე ხელებით დაეფარა და შესაბამისად, კარგად ვერ ხედავდა, რა მდგომარეობაში იყო მისი მეგობარი ან რამდენი კაცი სცემდა მას.

36. ლ.ბ.-ძე 2006 წ. 30 იანვარს გაათავისუფლეს, ვინაიდან მის წინააღმდეგ არავითარი სამხილი არ არსებობდა.

37. 2006 წ. 30 იანვარს დაიკითხა კაფე „შარდენის“ რამდენიმე კლიენტი, რომლებიც სანდრო გირგვლიანს იცნობდნენ. მათ თქვეს, რომ კაფეში ჩხუბი არ შეუმჩნევიათ.

38. დაუდგენელ დღეს, საქმეზე პასუხისმგებელმა გამომძიებელმა მობილური ტელეფონების ოპერატორებს ყველა იმ ნომრის ჩამონათვალის წარმოდგენა მოსთხოვა, რომლებიც თბილისის კონკრეტული ანტენებიდან, 2006 წ. 28 იანვარს, ღამის 12-დან 2 საათამდე და ზოგიერთი ანტენიდან - ღამის 1-დან 3:30 საათამდე

განხორციელდა. 2006 წ. 31 იანვარსა და 16 თებერვალს, ორმა ოპერატორმა აღნიშნული ინფორმაცია ცხრილის სახით წარმოადგინა.

39. 2006 წ. 30 იანვარს, გამომძიებელმა დაადგინა, რომ შესაძლოა, ლ.ბ.-ძის მიმართ დანაშაული პირადი ანგარისშემორების მოტივით ყოფილიყო ჩადენილი, ვინაიდან მან მეუღლე სხვა ქალის გამო მიატოვა. ამის შემდეგ, თბილისის საქალაქო სასამართლომ, ლ.ბ.-ძის ყოფილ და ახალ მეუღლეებს შორის 2006 წ. 31 იანვრიდან 1-ლ მარტამდე განხორციელებული სატელეფონო სატელეფონო მოსმენის ბძანება გასცა.

40. 2006 წ. 31 იანვარს, გამომძიებელმა, მოითხოვა და ერთ-ერთი მობილური ოპერატორისგან მიიღო ყველა იმ ტელეფონის ნომრების სია, რომლებზეც გ.ა.-იას, კუდ-ის უფროსის პირველი მოადგილის ტელეფონიდან, 2006 წ. 10 და 31 იანვარს შორის პერიოდში განხორციელდა.

41. 2006 წ. 31 იანვარს, დაკითხვის დროს, სანდრო გირგვლიანის მეგობარმა ქალბატომა, თ.მ.-ძემ იგივე ჩვენება მისცა, რაც 2006 წ. 13 მარტს (იხ. გვ. 98-108 ქვემოთ), იმ გამონაკლისით, რომ მას არ უხსენებია ს. გირგვლიანის მიერ გ.დ.-ძისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

42. 2006 წ. 31 იანვრის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ლ.ბ.-ძეს სახეზე და სხეულის სხვა ნაწილებზე მრავალრიცხოვანი სისხლჩაქცევები აღენიშნებოდა. ისინი მსუბუქ დაზიანებებად იქნა მიჩნეული, რასაც მის შრომისუნარიანობაზე გავლენა არ მოუხდენია.

43. 2006 წ. 6 თებერვალს პირველი განმცხადებელი დაზარალებულად იქნა ცნობილი.

44. 2006 წ. 16 თებერვალს, დაკითხვის დროს, ა.კ.-ძემ აჩვენა, რომ ს. გირგვლიანსა და თ.მ.-ს შორის საუბარი მშვიდად მიმდინარეობდა და მას არ დაუნახავს, როდის გავიდა ო.მ.-ოვი კაფედან სიგარეტის მოსატანად. მისი ჩვენების დანარჩენი ნაწილი 2006 წ. 13 მარტს მიცემული ჩვენების მსგავსი იყო (იხ. გვ. 111-112 ქვემოთ).

45. 2006 წ. 16 თებერვალს ასევე დაიკითხნენ დ.ა.-აია. ვ.ს.-ძე, გ.დ.-ძე და თ.ს.-ია. მათ მიერ მიცემული ჩვენებები ძირითადად, მოგვიანებით, 12 მარტსა და 20 ივნისს მიცემული ჩვენებების მსგავსი იყო (იხ. გვ. 113-123 ქვემოთ). თუმცა, მს მინისტრის მეუღლეს, თ.ს.-აიას არაფერი უთქვამს თ.მ.-ძისათვის „ყველაფერი რიგ ზე?“ კითხვის დასმის თაობაზე როდესაც იგი, სანდროსთან საუბრის შემდეგ, მაგიდას დაუბრუნდა.

46. 2006 წ. 16 თებერვალს, დაკითხვის დროს, ო.მ.-ოვმა აღნიშნა, რომ 2006 წ. 27 იანვარს, იგი მეგობართან და იერარქიულ ზემდგომთან, დ.ა.-აიასთან ერთად, კაფე „შარდენში“ მივიდა. იქ მან დალია. მან ვერ გაიხსენა თ.მ.-ძის მიერ სხვა მაგიდასთან გადაჯდომის ფაქტი. რაიმე ინციდენტს ან ჩხუბს ადგილი არ ჰქონია. მან თქვა, რომ მალე იპოვა მინისტრის მეუღლის მიერ მოთხოვნილი სიგარეტი სუპერმარკეტ „ბ“-სთან მდებარე 24 საათიანი მომსახურების მაღაზიაში. დაახლოებით ღამის 3 საათისთვის, სახლში ყველა კარგ განწყობაზე დაბრუნდა. ზემოაღნიშნულის გარდა, სხვა მხრივ, ო.მ.-ოვმა მოვლენები ისევე აღწერა, როგორც 2006 წ. 22 ივლისს მიცემულ ჩვენებაში (იხ. გვ. 199 ქვემოთ).

47. 2006 წ. თებერვალში დაიკითხნენ ლესელიძის ქუჩაზე მდებარე დაწესებულებათა გამყიდველები, ღამის მოვაჭრეები და დაცვის თანამშრომლები. არცერთ მათგანს აღნიშნულის მსგავსი რაიმე ფაქტი არ შეუმჩნევია.

48. 2006 წ. 28 თებერვალს, ოქროყანაში მდებარე მდიდარი ბიზნესმენის სახლზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერის ჩანაწერები მისმა დაცვის უფროსმა ამოიღო, რომელიც შსს-ს დაცვის სამსახურშიც მუშაობდა. ჩანაწერები 2006 წ. 28 იანვრის ღამის 2 და 3 საათს შორის პერიოდს მოიცავდა.

49. 2006 წ. 5 მარტს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, „შსს-ს 2006 წ. 24 თებერვლის პატაკის“ საფუძველზე, საქმის შსს-სთვის ჩამორთმევა და მისი თბილისის პროკურატურისთვის გადაცემა გადაწყვიტა.

50. სასამართლოსთვის წარდგენილ სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, აღნიშნული პატაკი წარმოადგენდა დ.ა.-აია-ს მიერ შს მინისტრისათვის გაგზავნილ გასაიდუმლოებულ შიდასაორგანიზაციო დოკუმენტს. სხვა ფაქტებს შორის, ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ დ.ა.-აია შსს-ს მხრიდან საქმის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვლევაზე იყო პასუხისმგებელი. პატაკის პირველ ნაწილში დ.ა.-აია მინისტრს იგივე ფაქტებს ატყობინებდა, რომლებიც ლ.ბ.-ძემ საკუთარ ჩვენებაში აღწერა მოტაცებასთან და ს. გირგვლიანის სიკვდილის გამომწვევ თავდასხმასთან დაკავშირებით (იხ. წე 25-28 ზემოთ). იგი ასევე განმარტავდა, რომ იმ ღამეს, რამდენიმე მეგობართან ერთად, კაფე „შარდენში“, ღამის 3:30 საათამდე იმყოფებოდა, სადაც ვ.ს.-ძის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ვ.ს.-ძის მიერ ასევე მიწვევული იყო მისი ხელქვეითი, გ.ა.-იაც. დ.ა.-აიას თქმით, იგი კაფე „შარდენიდან“ გ.ა.-იას ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრა, რათა დაედგინა, აპირებდა თუ არა იგი მისვლას. მართალია გ.ა.-იამ ჯერ დაუდასტურა, რომ მისვლას აპირებდა, მაგრამ ღამის 3 საათზე აცნობა, რომ საბოლოოდ, იგი ვეღარ შეძლებდა მისვლას.

51. იმავე პატაკით, დ.ა.-აია მინისტრს ატყობინებდა, რომ 2006 წ. 2 თებერვალს, მისი დეპარტამენტის რეგიონული სამსახურის უფროსმა მას აცნობა, რომ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით ამოღებული მერსედეს „ML“ ქუთაისში დააკავეს. დ.ა.-აია დაინტერესდა აღნიშნული ავტომანქანით და მას შემდეგ, რაც შეიტყო რომ ეს ვერცხლისფერი მერსედეს „ML“ იყო, აღნიშნულის თაობაზე სამინისტროს რამდენიმე თანამშრომლის დაკითხვა გადაწყვიტა. ამგვარად, მან შეძლო დაედგინა, რომ 2006 წ. 28 იანვარს, დაახლოებით ღამის 1:30 საათზე, მანქანამ შსს-ს ეზო დატოვა, მასში გ.ა.-იასთან ერთად, სამინისტროს კიდევ ორი თანამშრომელი, ა.ა.-ური და ა.ღ.-ავა ისხდნენ. მობილური ოპერატორისგან აუცილებელი ინფორმაციის მიღების შემდეგ, დ.ა.-აიამ შეძლო, აღედგინა გ.ა.-იას მოძრაობის მარშრუტი და მივიდა დასკვნამდე, რომ იმ ღამეს, იგი ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა და ტელეფონით ესაუბრა მ.ბ.-ძეს, სამინისტროს კიდევ ერთ თანამშრომელს.

52. დაბოლოს, იმავე წერილობით პატაკში, დ.ა.-აია მინისტრს აცნობებდა, რომ მან ჰკითხა გ.ა.-იას, იმყოფებოდა თუ არა იგი იმ ღამეს დანაშაულის ადგილზე. უცნაურად აღელვებულმა გ.ა.-იამ უარყო მისი იქ ყოფნა.

53. დ.ა.-იას თქმით, ეს ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ გ.ა.-იას, ა.ა.-ურს, ა.დ.-ავასა და მ.ბ.-ძეს შესაძლოა, კავშირი ჰქონოდათ აღნიშნული დანაშაულის ჩადენასთან. იგი მინისტრს სთხოვდა, მიეღო გადაწყვეტილება შემდგომი მოქმედების შესახებ.

### 3. გამოძიების ქ. თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარებული ნაწილი

54. 2006 წ. 6 მარტს, თბილისის პროკურატურამ გააუქმა დადგენილება პირველი განმცხადებლის დაზარალებულად ცნობის შესახებ იმ მიზეზით, რომ დაზარალებულის სტატუსის მიღების უფლება მხოლოდ დანაშაულის უშუალო მსხვერპლს - მის შვილს ჰქონდა. იმის გამო, რომ მიცემულ შემთხვევაში, უშუალო მსხვერპლი გარდაცვლილი იყო, მხოლოდ ერთ-ერთ მშობელს შეეძლო მისი უფლებამონაცვლეობა მოეთხოვა.

55. 2006 წ. 6 მარტს ლ.ბ.-ძემ, როგორც დაზარალებულმა, საქმის მწარმოებელ გამომძიებელს მიმართა განცხადებით, რონელშიც ნათქვამი იყო, რომ მას ამ საქმეში ადვოკატის დახმარება არ ესაჭიროებოდა და უარს აცხადებდა მისთვის დანიშნული ორი ადვოკატის მომსახურებაზე.

56. იმავე დღეს, ლ.ბ.-ძეს სთხოვეს სავარაუდო დამნაშავეების ამოცნობაში დახმარება, ადვოკატის გარეშე.

57. ლ.ბ.-ძემ „ყოველგვარი ეჭვის გარეშე“ ამოიცნო გ.ა.-ია, კუდ-ის უფროსის პირველი მოადგილე, როგორც ერთ-ერთი პირი, რომელიც მის გატაცებასა და ოქროყანის სასაფალაოზე თავდასხმაში მონაწილეობდა.

58. ლ.ბ.-ძემ ამოიცნო ა.დ.-ავა, გ.ა.-იას ხელქვეითი, რომელიც „შესაძლოა იყო“ მერსედეს „ML“-ის მდლოლი, მაგრამ ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო.

59. ლ.ბ.-ძემ ასევე განაცხადა, რომ ა.ა.-ური, გ.ა.-იას ხელქვეითი, ასევე „ალბათ იყო“ ის პირი, რომელიც ს. გირგვლიანის გვერდით იჯდა მანქანაში. როდესაც პროკურორმა ჰქითხა, იყო თუ არა იგი 100%-ით დარწმუნებული, ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ არ შეეძლო 100% დარწმუნებული ყოფილიყო, მაგრამ ა.ა.-ური ჰგავდა აღნიშნულ მამაკაცს.

60. დაბოლოს, როდესაც მას წარუდგინეს ოთხი უცნობი პირი, რომელთა შორის იყო მ.ბ.-ძე, კუდ-ის უფროსის მეორე მოადგილე, ლ.ბ.-ძემ განაცხადა, რომ მ.ბ.-ძის გვერდით მდგომი მამაკაცი შესაძლოა ყოფილიყო დანაშაულის ჩამდენი ერთ-ერთი პირი, მაგრამ იგი 100%-ით დარწმუნებული არ იყო. ამ მამაკაცის სახე და აღნაგობა ჰქითხა იმ კაცისას, რომელიც სანდროს სცემდა და რომელთანაც პირად მას ყველაზე ნაკლები კონტაქტი ჰქონდა.

61. 2006 წ. 6 მარტს დაავეს გ.ა.-ია, ა.დ.-ავა და ა.ა.-ური, ასევე მ.ბ.-ძე.

62. 2006 წ. 6 მარტს ლ.ბ.-ძე დაზარალებული სტატუსით დაიკითხა.

63. დაკითხვის ამსახველი ვიდეოჩანაწერის მიხედვით, გამომძიებელმა ლ.ბ.-ს ჰქითხა, ხომ არ სურდა ესარგებლა ადვოკატის დახმარებით. ლ.ბ.-მ განაცხადა, რომ არ

სურდა. ამის შემდეგ, მან დაადასტურა წინა ჩვენება და დამატებით აღნიშნა, რომ სანამ ს. გირგვლიანი მას კაფე “შარდენში” გავლას შესთავაზებდა, სანდრომ ტაქსიდან ვიღაცას დაურეკა. როდესაც კაფეში შევიდნენ, ლ.ბ.-ძე საპირფარეშოში გავიდა და შემდეგ კვლავ სანდრო გირგვლიანის მაგიდასთან დაჯდა. ამასობაში, მათ მაგიდასთან თ.მ.-ძე გადმოჯდა, მუსიკა უკრავდა. თ.მ.-ძე და განმცხადებლების შვილი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ისხდნენ, ამიტომ შეუძლებელი იყო, ლ.ბ.-ძეს გაეგო, რაზე საუბრობდნენ ისინი. ნებისმიერ შემთხვევაში, ლ.ბ.-ძესთან სალაპარკოდ მისი ერთი მეგობარი მივიდა, რომელიც მას 2-5 წუთის განმავლობაში ესაუბრა. ეს ბოლო წინადადება საქმის მასალებზე თანდართულ ოქმში არ ჩანს. ლ.ბ.-ძის თქმით, თ.მ.-ძესა და სანდრო გირგვლიანს არ უჩხუბიათ, მაგრამ მათ შორის საუბარი დაძაბული იყო.

64. ლ.ბ.-ძემ დამატებით აღნიშნა, რომ პირადად მას, კაფეში ვინმესთან კამათი არ მოსვლია. მას არ შეეძლო დანამდვილებით იმის თქმა, შეემთხვა თუ არა მსგავსი რამ ს. გირგვლიანს, ვიდრე ის საპირფარეშოში იყო გასული.

65. ლ.ბ.-ძემ განმარტა, რომ როდესაც მათ კაფე დატოვეს, მას და სანდრო გირგვლიანს დარბაზი ერთად არ გაუვლიათ, მაგრამ ქუჩაში ერთად გავიდნენ. ეს განცხადება საქმის მასალებზე თანდართულ დაკითხვის ოქმში არ ფიგურირებს. თუმცა, დაკითხვის ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა, რომ როდესაც ლ.ბ.-ძემ ეს თქვა, გამომძიებელმა მას შესთავაზა, აღნიშნული განცხადება ოქმში შემდეგი სიტყვებით შეეტანა, რაც თავად უკარნახა: „მე არ მახსოვს, გამოვედით თუ არა მე და სანდრო კაფეს კარიდან ერთად. (...) შესალოა, მე მცირე მანძილით ჩამოვრჩი მას.“ ამის შემდეგ, ლ.ბ.-ძემ დაამატა, რომ თუ სწორად ახსოვდა, კაფედან გამოსვლამდე, ის კიდევ ერთხელ შევიდა ტუალეტში. გამომძიებელმა მას უთხრა, რომ ეს განცხადება ოქმში უნდა ყოფილიყო შეტანილი.

66. გამომძიებლის შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა, რომ კაფედან გასვლისას მათ ვინმე უკან გაჰყოლოდა, ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ ასე არ ფიქრობდა.

67. დაბოლოს, გამომძიებელმა ჰკითხა ლ.ბ.-ძეს, ხომ არ ფიქრობდა, რომ თავდამსხმელებს, სანდროსთან ერთად, მისი მოკვლაც უნდოდათ. ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ ალბათ არა, ვინაიდან მოკვლის მაგივრად, მათ ის ჯერ კიდევ ცოცხალი, ადგილზე მიატოვეს.

68. 2006 წ. 6 მარტს, ლ.ბ.-ძე კიდევ ერთხელ, ადვოკატის გარეშე დაიკითხა იმ მეოთხე პირის თაობაზე, რომელიც შემთხვევის ადგილზე მოგვიანებით მივიდა.

69. ლ.ბ.-ძის თქმით, ის ვერ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ პირს თან კიდევ ვიღაც ახლდა. სწორედ ამ მამაკაცმა გაისროლა ჰაერში. გამომძიებლის კითხვაზე ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ ის ნამდვილად მიიწვია პარლამენტის ერთ-ერთმა წევრმა საკუთარ კაბინეტში, რათა სურათი ენახა და ამოეცნო ეს მამაკაცი. ლ.ბ.-ძემ თქვა, რომ დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ფიქრობდა, რომ სურათზე აღბეჭდილი მამაკაცი „ძალიან ჰგავდა“ მეოთხე პირს, რომელიც მათ სასაფლაოზე მოგვიანებით შეუერთდა. პარლამენტის წევრმა ეს პროცესი ლ.ბ.-ძის თანხმობით ჩაიწერა და ვინაიდან ამ ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცი ო.მ.-ოვი იყო, ეს

ჩანაწერი საჯარო გახდა. ლ.ბ.-ძემ გამომძიებელს უთხრა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნება ძალიან ჰგავდა „მეოთხე მამაკაცს“, მაგრამ შესაძლოა იგი ცდებოდა კიდევ.

70. 2006 წ. 6 მარტს, დაკითხვის დროს, გ.ა.-იამ თქვა, რომ 2006 წ. 27 იანვარს, იგი გვიანობამდე იყო სამსახურში. სახლში წასვლამდე, მან კაფე „შარდენში“ შევლა გადაწყვიტა ა.ა.-ურთან და ა.ღ.-ვასთან ერთად, ვ.ს.-სათვის დაბადების დღის მისალოცად. როგორც მან განმარტა, დაპატიუებული იყო. იმისათვის, რომ კაფემდე მისულიყო, მან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით დაყადაღებული და სამინისტროს ეზოში დაყენებული მერსედეს „ML“ წაიყვანა. გ.ა.-იამ განმარტა, რომ მან ა.ა.-ურს მანქანაზე დასამაგრებლად სახელმწიფო ნომრები „WAW-293“ მისცა.

71. სამმა მამაკაცმა მანქანა ლესელიძის ქუჩაზე, კაფესთან ახლოს გააჩერა. მანქანიდან მხოლოდ გ.ა.-ია გადმოვიდა. კაფეს შესასვლელთან მან უცნობი (სანდრო გირგვლიანი) დაინახა, რომელიც გ.დ.-ძეს დედას აგინებდა. ამის გაგონებაზე გ.ა.-იამ იკითხა, რაში იყო საქმე. გირგვლიანმა მასაც შეაგინა და წავიდა. გ.ა.-იამ გადაწყვიტა, უკან გაჰყოლოდა, რათა „გაერკვია თუ რატომ იგინებოდა ის“. იგი მანქანასთან დაბრუნდა და საჭესთან მჯდარ ა.ა.-ურს ამ კაცისათვის უკან გაყოლა სთხოვა. მან კოლეგებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა თან იარაღი, ვინაიდან, შესაძლოა, დაპატიმრება გამხდარიყო საჭირო. როდესაც თანამშრომლებმა უპასუხეს, რომ შეიარაღებულები არ იყვნენ, გ.ა.-იამ მ.ბ.-ძეს დაურეკა, სთხოვა, მათ დასახმარებლად მისულიყო და თან იარაღი წაედო.

72. ა.ა.-ურმა მანქანა ს. გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის გვერდით გააჩერა. გ.ა.-ია გადმოვიდა მანქანიდან და მათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები მოსთხოვა. ბ-ნმა გირგვლიანმა ძალიან აგდებული ტონით იკითხა, ვინ იყო ის. გ.ა.-იამ უპასუხა, რომ ისინი შსს-დან იყვნენ და კიდევ ერთხელ მოითხოვა საბუთები. ს. გირგვლიანმა და ლ.ბ.-ძემ მას კიდევ ერთხელ შეაგინეს. დისკუსია უფრო გამწვავდა, ა.ა.-ური გადმოვიდა მანქანიდან და უთხრა, დაწყნარებულიყვნენ. ს. გირგვლიანმა მას ხელი ჰკრა და ა.ა.-ური წაიქცა. გ.ა.-იას თქმით, გირგვლიანმა და ლ.ბ.-ძემ მათ უთხრეს, რომ სადაც უნდოდათ, იქ წავიდოდნენ საქმის გასარჩევად. ამის შემდეგ, ყველამ ერთად გადაწყვიტა მანქანაში ჩასხდომა და სადმე სხვაგან წასვლა. მათ ორჯერ დაარტყეს წრე თბილისის მთავარ მოედანს, ვიდრე გ.ა.-ია ცდილობდა გაერკვია, რატომ აგინებდა ს. გირგვლიანი გ.დ.-ძეს. ამის შემდეგ, მათ მანქანა გააჩერეს და ს. გირგვლიანსა და მის მეგობარს უთხრეს, გადასულიყვნენ, მაგრამ მათ უარი განაცხადეს, ვინაიდან ამბობდნენ, რომ ეს სალაპარაკო ადგილი არ იყო და სხვაგან უნდა წასულიყვნენ. ამიტომაც ოქროყანაში ავიდნენ და მანქანა სასაფლაოსთან ახლოს გააჩერეს. შემდეგ ყველა გადმოვიდა მანქანიდან და ჩხუბი დაიწყეს. ღამე ნათელი იყო და ხილვადობაც საკმაოდ კარგი.

73. მალე კოლეგების დასახმარებლად მ.ბ.-ძეც მივიდა. იგი ძირითადად სანდროს ეჩხუბებოდა. როდესაც ს. გირგვლიანი გაიქცა, გ.ა.-იამ უთხრა, არ დადევნებოდა მას. ჩხუბი 15 წუთს გაგრძელდა და მათ ოქროყანა დაახლოებით ღამის 2 საათზე დატოვეს.

74. გ.ა.-იას მტკიცებით, როდესაც ისინი ოქროყანიდან ბრუნდებოდნენ მას დ.ა.-აიამ და გ.დ.-ძემ დაურეკეს და ჰკითხეს, აპირებდა თუ არა ის ვ.ს.-ძის დაბადების დღეზე მისვლას (იხ. გ.154 ქვემოთ).

75. 2006 წ. 6 მარტს, დაკითხვის დროს, მ.ბ.-ძე ამტკიცებდა, რომ დილის 1:30 საათზე მისი უფროსის, გ.ა.-იას დარეკვის შემდეგ, იარაღი აიღო და შსს-ში წავიდა სამსახურეობრივი ავტომანქანის გამოსაყვანად, ვინაიდან ფიქრობდა, რომ მანქანა ვინმეს დასაკავებლად იქნებოდა საჭირო. როდესაც ლესელიძის ქუჩაზე მივიდა, მიხვდა, რომ მისი კოლეგები უკვე წასულები იყვნენ და ამიტომ დაურეკა გ.ა.-იას, რომელმაც უთხრა რომ უკვე ოქროყანაში მიდიოდნენ. გზაში მიმავალმა დაინახა მერსედესი „ML“ „რომელსაც, მისი აზრით, მისი კოლეგები იყენებდნენ“. იგი სასაფლაოსაკენ გაემართა, საიდანაც ხმაური ისმოდა. მან დაინახა, რომ ს. გირგვლიანი მიწაზე იწვა და ლ.ბ.-ძე ჩხუბობდა. შესაბამისად, მისი კოლეგები ძირითადად ლ.ბ.-ძით იყვნენ დაკავებულები. ამასობაში, ს. გირგვლიანი კვლავ ფეხზე წამოდგა და მას შეუტია. მათ ჭიდაობა დაიწყეს. ჩხუბის დროს გირგვლიანს ტანსაცმელი შემოეხია. ერთ მომენტში მ.ბ.-ძემ იფიქრა, რომ ს. გირგვლიანის ხელში დანა დაინახა, ამიტომ მან იარაღის ამოიღო და ჰაერში გაისროლა. სწორედ ამ დროს, გირგვლიანმა დრო იხელთა და გაიქცა. ჩხუბი 15 წუთზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა.

76. მ.ბ.-ძემ განაცხადა, რომ არც მას და არც მის კოლეგებს მჭრელი იარაღი არ გამოუყენებიათ და რომ მას შეეძლო მხოლოდ ევარაუდა, რომ გაქცევის შემდეგ, ს. გირგვლიანმა თავი სასაფლაოს ღობებსა თუ ბუჩქებში დაიზიანა.

77. 2006 წ. 6 მარტს, დაკითხვის დროს, ა.ღ.-ავამ დაადასტურა გ.ა.-იას ჩვენება. მან ასევე თქვა, რომ მან და მისმა კოლეგებმა ს. გირგვლიანსა და ლ.ბ.-ძეს თავი შსს-ს თანამშრომლებად წარუდგინეს. მან განაცხადა, რომ ს. გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე ავტომანქანაში საკუთარი სურვილით ჩასხდნენ. ა.ღ.-ავამ მ.ბ.-ს მსგავსად დაადასტურა, რომ ღამე ნათელი იყო და არც მას და არც მის კოლეგებს დანა ან რაიმე მჭრელი საგანი თან არ ჰქონიათ.

78. 2006 წ. 7 მარტს, დაკითხვის დროს, ა.ა.-ურმა ზუსტად ისეთივე ჩვენება მისცა, როგორც გ.ა.-იამ, ა.ღ.-ავამ და მ.ბ.-ძემ. რაც შეეხება ს. გირგვლიანის ჭრილობების გამომწვევ მიზეზებს, ა.ა.-ურმა ისეთივე ვარაუდი გამოთქვა, რაც მ.ბ.-ძემ.

79. 2006 წ. 7 მარტს ქ. თბილისის პროკურატურის პროკურორმა გ.ა. -იას, ა.ღ-ავას, ა.ა.ურსა და მ.ბ.-ძეს წაუყენა ბრალდება ჯანმრთელობის დაზიანებაში სასიკვდილო შედეგით (სსკ-ის 119-ე მუხლით) და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ორი ან მეტი პირის მიმართ, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით (სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით). 2006 წ. 8 მარტს მათ მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა დაპატიმრება.

80. 2006 წ. 8 მარტს ლ.ბ.-ძე გამომახებულ იქნა, ადვოკატის გარეშე, სასაფლაოზე ყველაზე გვიან მისული „მეოთხე მამაკაცის“ ამოსაცნობად. ამ საგამოძიებო მოქმედების ამსახველი ვიდეოჩანაწერის თანახმად, ლ.ბ.-ძისათვის წარსადგენი ოთხი

მამაკაცისგან შემდგარ მწვრივში, ო.მ.-ვი მარცხნიდან მესამე იდგა. ამის შემდეგ პროკურორმა ოთახში ლ.ბ.-ძე მოიწვია და სთხოვა ყურადღებით დაკვირვებოდა მის წინაშე მდგარ ოთხ მამაკაცს. ლ.ბ.-ძე ოდნავ შეყოყმანდა, სანამ იტყოდა: „არ შემიძლია 100%-ით დარწმუნებული ვიყო... ის კაცი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ვიცი..., ვერ ვცნობ, ვთქვათ სახის მიხედვით თუ ვიმსჯელებ..., შემიძლია ვთქვა, რომ ეს უნდა ყოფილიყო მარცხნიდან მეორე კაცი, ან მარცხნიდან მესამე კაცი.“ პროკურორმა უპასუხა: „მაშ თქვენ ამ ოთხი კაციდან დანამდვილებით ვერცერთს ვერ ცნობთ.“ ლ.ბ.-ძემ განმარტა, რომ იგი „დანამდვილებით ვერავის ცნობდა, მაგრამ ის ორი კაცი, რომლებიც მან დაასახელა, ჰგავდა იმ მოძალადეს, რომელიც სასაფლაოზე ყველაზე გვიან ამოვიდა.“ ამის შემდეგ, პროკურორმა შესთავაზა მას დაეწერა ახსნა-განმარტება მის მიერ ნაკარნახევი სიტყვებით: „ჩემს წინაშე წარმოდგენილი ოთხი პირიდან მე ვერ ვცნობ ვერავის, როგორც პირს, რომელმაც 2006 წლის 28 იანვარს ჩემი და სანდორო გირგვლიანის წინააღმდეგ უკანონო ქმედება ჩაიდინა“. ამის შემდეგ პროკურორმა უთხრა ლ.ბ.-ძეს წერა ახალი აბზაციდან განეგრძო, რაც ლ.ბ.-ძემ შეასრულა. ლ.ბ.-ძის მიერ გამოთქმული ეჭვები და მიმსგავსებები არ იქნა შეტანილი საგამოძიებო მოქმედების ოქმში, რომელიც, ამასთანავე, კიდევ ერთ შეცდომას შეიცავს: ოქმის თანახმად, ო.მ.-ოვი მარჯვნიდან მესამე იდგა და არა მარცხნიდან მესამე, როგორც ეს ვიდეოჩანაწერში ჩანს.

81. 2006 წ. 8 მარტს დაკითხვის დროს კაფე „შარდენის“ ბარმენმა განაცხადა, რომ საერთოდ მუსიკოსები მანამდე უკრავენ, სანამ კაფეში კლიენტები არიან. ოფიციანტ რ.ა.-ს თქმით, დასარტყამ ინსტრუმენტებზე დაკვრელი მუსიკოსი პარასკევობით, საღამოს 10-დან ღამის 2 საათამდე, ბონგოს ტიპის დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავს. იმ საღამოს რ.ა.-მ გ.დ.-ძე და ო.მ.-ოვი მათი კაფეში შესვლისთანავე იცნო. რ.ა.ს თქმით, იმ შემთხვევაშიც კი, მას რომ არ შეძლებოდა იმ ხმაურში რაიმე დაძაბული საუბრის მოსმენა, მას მაინც შეეძლო თავისუფლად ეთქვა, რომ არც სანდორო გირგვლიანის მაგიდასთან და არც იმ მაგიდასთან, რომელთანაც გ.დ.-ძე, ო.ნ.-ოვი და მათი მეგობრები ისხდნენ, რაიმე პრობლემას ადგილი არ ჰქონია. გ.დ.-ძის მეგობრებისგან ერთ-ერთმა, რომლის სახელიც რ.ა.-მ ვერ გაიხსენა, ჰკითხა მას თუ რა დასახელების სიგარეტები იყიდებოდა კაფეში. ვინაიდან კაფეში არ ჰქონდათ იმ დასახელების სიგარეტი, რომელიც ამ პირს უნდოდა, იგი გარეთ გავიდა, რათა ასეთი სიგარეტი სხვაგან მოეძებნა.

82. 2006 წ. 8 მარტს დაიკითხნენ კაფეს ბუღალტერი, მამაკაცი ოფიციანტი ლ.მ., კიდევ ერთი ოფიციანტი ქალბატონი და კაფეში იმ მომენტში მყოფი სამი მეპატრონე. ყველა მათგანმა განაცხადა, რომ იმ საღამოს არავითარი ჩხუბი არ მომხდარა. ლ.მ.-ს თქმით მან სახეზე იცნო გ.დ.-ძე, რომელიც მე-5 მაგიდასთან, მეგობრებთან ერთად იჯდა. ღამის 3:30 სთ-ზე, როდესაც მან დასრულა მუშაობა, ისინი ჯერ კიდევ კაფეში იყვნენ. ლ.მ.-ს თქმით, მუსიკა კაფეში საღამოს 10-დან ღამის 2 საათამდე უკრავდა.

83 მიუხედავად იმისა თუ რა არის ნათქვამი შესაბამის ოქმებში, ზემოხსენებული დაკითხვების ვიდეოჩანაწერები სასამართლოსათვის წარდგენილ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ მოიპოვება.

84. 2006 წ. 9 მარტს, ჩვენების შემთხვევის ადგილზე შემოწმების დროს, ლ.ბ.-ძემ განაცხადა, რომ ორი მამაკაცი, რომლებმაც ის მანქანიდან გადმოიყვანეს და სცემდნენ, მასთან ბოლომდე დარჩნენ. მოშორებით, ის ხედავდა სანდრო გირგვლიანს, რომელიც მიწაზე იწვა და სახეს ხელებით იფარავდა, ხოლო მას თავზე ადგა ის მამაკაცი, რომელიც მას მანქანაში იდაყვს ურტყამდა გასაჩუმებლად. ლ.ბ.-ძემ ასევე განაცხადა, რომ მეოთხე თავდამსხმელი სასაფლაოზე მათი მისვლიდან დაახლოებით 10 წუთში მივიდა. სანამ ს. გირგვლიანი გაიქცეოდა, ლ.ბ.-ძემ საშინელი ყვირილი და ჰაერში გასროლის ხმა გაიგონა. ამ საგამოძიებო ღონისძიების ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ლ.ბ.-ძემ თქვა, რომ როდესაც მან კვლავ მოახერხა წმოდგომა, დაიწყო ს. გირგვლიანის სახელის ძახილი იმ იმედით, რომ იპოვნიდა მას. როდესაც გზასთან მივიდა, იგი კვლავ აგრძელებდა ძახილს, მაგრამ უშედეგოდ. როდესაც პასუხი ვერ მიიღო, გააგრძელა სიარული. ეცადა მანქანების გაჩერებას, მაგრამ არავინ უჩერებდა მის მდგომარეობაში მყოფ, ნახევრად შიშველ მამაკაცს.

85. 2006 წ. 10 მარტს ლ.ბ.-ძე კიდევ ერთხელ, ადვოკატის გარეშე დაიკითხა. დაკითხვის დაწყებამდე, პროკურორმა მას მარტივად აუხსნა, რომ მას უფლება ჰქონდა ადვოკატის მიერ ყოფილიყო წარმოდგენილი. სხვა საკითხებთან ერთად, იგი დაიკითხა იმ წინააღმდეგობის თაობაზე, რომელიც არსებობდა მის მიერ საგამოძიებო ორგანოებისთვის მიცემულ ჩვენებებსა და ტელევიზიით გაკეთებულ მისსავე განცხადებებს შორის იმ მომენტის შესახებ, როდესაც მათ კაფე დატოვეს. ტელევიზიით მან განაცხადა, რომ კაფედან გამოსვლისას, ს. გირგვლიანს გ.ა.-იასთან შეხება არ ჰქონია.

86. ლ.ბ.-ძემ განმარტა, რომ უპირველეს ყოვლისა, კაფეში არავითარი ჩხუბის ან შელაპარაკების მსგავს ინცინდენტს ადგილი არ ჰქონია, თუმცა, მან არ გამორიცხა მის მეგობარსა და კაფეში მყოფ სხვა ადამიანებს შორის „ფარული კონფლიქტის“ არსებობის შესაძლებლობა. ამასთანავე, კაფეს გარეთ, როდესაც ისინი ქუჩაში გავიდნენ, ასევე არ მომხდარა რაიმე ინცინდენტი ან უსიამოვნება. თუმცა, მას არ შეეძლო გამოერიცხა იმის შესაძლებლობა, რომ შესაძლოა, მისგან შეუმჩნევლად, მის მეგობარს, კაფედან გამოსვლის დროს იქ მყოფთათვის უხეშად მიემართა. პროკურორმა მას შეახსენა, რომ როდესაც ს. გირგვლიანი კაფეს გასასვლელისკენ გაემართა, ის საპირფარეშოში შეყოვნდა და მართალია, ის სანდროს გაჰყვა, მაგრამ მის გვერდით არ ყოფილა. ლ.ბ.-ძე დაეთანხმა, რომ შესაძლოა, გარეთ გამოსვლისას, მის მეგობარს, მისგან შეუმჩნევლად რაიმე შემთხვეოდა. ამის შემდეგ, ოქმში შეტანის მიზნით, პროკურორმა მას შემდეგი სიტყვები უკარნახა: „მე არ მახსოვს, იყო თუ არა რაიმე პრობლემა იმ მომენტში როდესაც კაფეს ვტოვებდი, ვინაიდან თუ სწორად მახსოვს, მე საპირფარეშოში შევედი. შესაბამისად, არ შემიძლია იმის თქმა, ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე ინცინდენტს აღნიშნულ მონაკვეთში“. პროკურორმა განუმარტა, რომ „ინცინდენტში“ ის შელაპარაკებას გულისხმობდა. ლ.ბ.-ძე დაეთანხმა.

87. დაუინებით უსვამდა ხაზს იმის შესაძლებლობას, რომ ინცინდენტი შესაძლოა კაფედან გამოსვლის მომენტში მომხდარიყო, პროკურორმა ლ.ბ.-ძეს

ჰკითხა, შეეძლო თუ არა მას დანამდვილებით ეთქვა, რომ მათი კაფედან გამოსვლის მომენტში, ბრალდებული გ.ა.-ია. იქ არ იყო. ლ.ბ.-ძემ ვერ შეძლო ეთქვა, იყო თუ არა ეს ადამიანი იქ.

88. ამის შემდეგ, პროკურორმა ლ.ბ.-ძეს ტელევიზით გაკეთებულ მის კომენტართან დაკავშირებით ჰკითხა, რომლის მიხედვითაც ო.მ.-ოვი შესაძლოა ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი ყოფილიყო, რომელიც მას სასაფლაოზე თავს დაესხნენ. პროკურორმა მას შეასხენა, რომ 2006 წ. 8 მარტს, მან ვერ შეძლო ო.მ.-ოვის ამოცნობა და აღნიშნულის ახსნა-განმარტება სთხოვა. დაკითხვის ამსახველი ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ ამოიცნო ო.მ.-ოვი, ის ვერ გამორიცხავდა მისი სასაფლაოზე ყოფნის შესაძლებლობას. როდესაც მას ჰკითხეს, ნამდვილად იყო თუ არა იქ ო.მ.-ოვი, ლ.ბ.-ძემ უპასუხა, რომ ვერ იტყოდა რომ ის აქ არ იყო. ამ პასუხების ოქმში შეტანის მიზნით, პროკურორმა ლ.ბ.-ძეს შემდეგი უკარნახა: „მე არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ ო.მ.-ოვი არ იყო ერთ-ერთი იმ პირთაგანი, რომლებიც სასაფლაოზე თავს დაგვესხნენ. მე ვერ შევძელი ამ.მ.-ოვის ამოცნობა, მაგრამ ვერ გამოვრიცხავ იმის შესაძლებლობას რომ მან ან სხვა ადამიანმა მონაწილეობა მიიღო დანაშაულის ჩადენაში“.

89. 2006 წ. 10 მარტს, მეორე განმცხადებელმა პროკურორს აცნობა, რომ იგი თანახმა იყო მის მეუღლეს, პირველ განმცხადებელს, მინიჭებოდა დაზარალებულის უფლებები, ვინაიდან სსსკ-ის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ერთდროულად ორივე მშობელს არ შეეძლო მოეთხოვა დაზარალებულის უფლებამონაცვლეობა. პირველ განმცხადებელს იმავე დღეს მიენიჭა აღნიშნული სტატუსი.

90. 2006 წ. 11 მარტს, შემთხვევის ადგილზე შემოწმდა ბ.ე.-ს მიერ 2006 წ. 2 მარტს მიცემული ჩვენება. ოქროყანის მაცხოვრებელი ეს ახალგაზრდა კაცი ს. გირგვლიანის მეგობრებს მისი გვამის ტყეში პოვნაში დაეხმარა. სასაფლაოს შორიახლოს, მდინარის ხეობაში, ბ.ე.-მ აჩვენა ის ადგილი, სადაც პირველად ნახა თოვლში გადავარდნილი გვამის სისხლიანი კვალი. ის და ს. გირგვლიანის მეგობრები ერთად გაჰყვნენ სისხლის კვალს. ამ ახალგაზრდა კაცმა დაადასტურა, რომ ნაკვალევის მთელ გაყოლებაზე მხოლოდ ერთი დაჭრილი ადამიანის ნაკვალევი ჩანდა.

91. 2006 წ. 13 მარტს ჩატარებულმა საგამოძიებო ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ დამნაშავებს, კაფე „შარდენიდან“ 6,3 კმ-ით დაშორებულ ოქროყანის სასაფლაომდე და უკან გზის გასავლელად 17 წუთი და 33 წამი დასჭირდებოდათ; ო.მ.-ოვს კი კაფედან 5,5 კმ-ით დაშორებულ სუპერმარკეტ „ბ“-მდე და უკან - 18წუთი და 20 წამი.

92. 2006 წ. 14 მარტს, კაფე „შარდენის“ ხელმძღვანელობისგან მიღებული წერილის მიხედვით, მათი სამეთვალყურეო კამერა მხოლოდ ბარის ტერიტორიას აკონტროლებდა და სურათებს არ იწერდა.

93. 2006 წ. 15 მაისს, დაკითხვის დროს, კაფეს დაცვის თანამშრომლებმა თქვეს, რომ ისინი კაფეს შესასვლელში, ორ კარს შორის იდგნენ. მუსიკა ხმამაღლა უკრავდა და ხალხს ხმამაღლა უწევდა საუბარი, ერთმანეთის ხმა რომ გაეგოთ. მათ განაცხადეს, რომ კაფეს შიგნით არავითარ გაუგებრობას არ ჰქონია ადგილი. ხმამაღლი მუსიკის

გამო, ისინი ვერ შეძლებდნენ გარეთ მიმდინარე ჩხუბის ხმის გაგონებას. მათ კაფეს დიდი ფანჯრებიდან შეეძლოთ დაენახათ, რა ხდებოდა ქუჩაში მაგრამ ინცინდენტს აუცილებლად ვერ დაინახვადნენ. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი ვალდებული იყვნენ, თვალ-ყური ედევნებინათ არა ქუჩაში მიმდინარე მოვლენებისათვის, არამედ კაფეს შიგნით და შესასვლელში არსებული სიტუაციისათვის.

94. 2006 წ. 13 მარტს, პირველმა განმცხადებელმა განაცხადა, რომ მან ტელევიზიით თ.მ.-ძის ინტერვიუ იხილა, სადაც მან თქვა, რომ საღამოს დასაწყისში, შსს-ს მძღოლმა, ლ.ჩ.-შვილმა თ.ს.-აიასთვის ორი კოლოფი სიგარეტი შეიძინა. იმის გათვალისწინებით, რომ თ.ს.-აიასათვის ორი კოლოფი სიგარეტის მოსაწევად ორი საათი სავმარისი არ იქნებოდა, პირველმა განმცხადებელმა მოითხოვა, რომ იმ საღამოს კაფეში მყოფი პირებისთვის ეკითხათ ნამდვილი მიზეზი იმისა თუ რატომ გავიდა ო.მ.-ოვი კაფედან იმავე დროს, როდესაც მისი შვილი და ლ.ბ.-ძე. მან ასევე მოითხოვა, რომ ო.მ.-ოვისათვის ეკითხათ თუ როგორ მოხდა, რომ სუპერმარკეტ „ბ“-ს სამეთვალყურეო ვიდეოკამერის ჩანაწერებმა აჩვენა, რომ იგი იმ საღამოს იქ არ ყოფილა.

95. მან ასევე საგამოძიებო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება მოითხოვა სსსკ-ის 69-ე მუხლის „ი“ პუნქტის მიხედვით.

96. 2006 წ. 15 მარტს, პროკურორმა არ დააკმაყოფილა პირველი განმცხადებლის შუამდგომლობა მონაწილეობის თაობაზე იმ მიზეზით, რომ რომ მის მიერ დასმული საკითხები უკვე გარკვეული იყო და საგამოძიებო მოქმედებების ხელახალი ჩატარების საჭიროება არ არსებობდა.

97. თუმცა, განმცხადებელმა მოგვიანებით შეიტყო, რომ მის მიერ, 2006 წ. 13 მარტს დაყენებული საკითხების გამოსარკვევად, პროკურორმა 2006 წ. 13 მარტს დაკითხა ა.კ.-ძე და თ.მ.-ძე ხოლო 2006 წ. 20 ივნისს - დ.ა.-აია, ვ.ს.-ძე, თ.ს.-აია და გ.დ.-ზე, რის შესახებაც მას პირველი განმცხადებლისთვის არ უცნობებია და იგი არც საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად მიუწვევია.

#### (ა) შს მინისტრის მეუღლის მეგობართა ჯგუფის წევრების ჩვენები

##### i. ო.მ.-ძე, სანდორ გირგვლიანის მეგობარი ქალბატონი

98. 2006 წ. 13 მარტს, დაკითხვის დროს, თ.მ.-ძემ განაცხადა, რომ 2006 წ. 27 იანვარს, საღამოს, დაახლოებით 22:30 სთ-ზე, მას გაუარა მეგობარმა, ა.კ.-ძემ, რათა სახლიდან წაეყვანა საღამოს ერთად გასატარებლად. მას გაუჭირდა სახლიდან მანქანამდე მისვლა, რადგან თბილისის ქუჩები ყინულით იყო დაფარული. თ.მ.-ძემ დაინახა, რომ ა.კ.-ძე მანქანაში მარტო არ იყო. მანქანაში ასევე ისხდნენ შს მინისტრის მეუღლე, თ.ს.-აია, რომელსაც ის კარგად იცნობდა, აგრეთვე შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი ვ.ს.-ძე, რომელსაც იგი ადრე არ შეხვედროდა. მანქანას ვ.ს.-ძის

მძღოლი მართავდა. ისინი კაფე „შარდენში“ წავიდნენ. კაფეში ისინი მაგიდასთან დასხდნენ და შს მინისტრის მეუღლემ ვ.ს.-ძის მძღოლს მისთვის „კ“ ბრენდის სიგარეტის მოტანა სთხოვა. მძღოლი, ლ.ჭ.-შვილი გავიდა და ათ წუთში „კ“ ბრენდის სიგარეტის ორი კოლოფით დაბრუნდა. ამის შემდეგ, ლ.ჭ.-შვილი კაფედან გავიდა და საღამოს დარჩენილი ნაწილის განმავლობაში მანქანაში იცდიდა.

99. დაახლოებით შუაღამისას, თ.მ.-ძეს სანდრომ დაურეკა. როგორც ჩანს, ისინი ნაჩეუბრები იყვნენ და სანდროს შერიგება სურდა. თ.მ.-ძემ უარი უთხრა შეხვედრაზე, მაგრამ ს. გირგვლიანი არ მოეშვა. მაშინ თ.მ.-ძემ მას უთხრა, რომ ქალაქის სხვა ნაწილში მდებარე კაფეში იმყოფებოდა და არ სურდა მისი ნახვა. ტელეფონზე სასაუბროდ იგი კაფეს შესასვლელში გავიდა, სადაც მუსიკა ისე ხმამაღლა არ ისმოდა.

100. აღნიშნული სატელეფონო საუბრიდან დაახლოებით 30-40 წუთის შემდეგ, შს მინისტრის მეუღლესა და მის მეგობრებს დ.ა.-აია და თ.მ.-ოვი შეუერთდნენ. 5-10 წუთის შემდეგ, იქ გ.დ.-ძეც მივიდა.

101. დაახლოებით ღამის 01:15 ან 01:20 საათზე კაფე „შარდენში“ ს. გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე შევიდნენ. სანდრო თ.მ.-ძესთან მივიდა, გადაკოცნა და ჰკითხა, როგორ იყო. შემდგ ის დარბაზში მყოფ სხვა ნაცნობებთან მივიდა. 15 ან 20 წუთის შემდეგ, მან თ.მ.-ძეს ანიშნა, რომ წასვლას აპირებდა. როდესაც თ.მ.-ძემ ჰკითხა, სად მიდიოდა, ს. გირგვლიანმა უპასუხა, რომ ნასვამი იყო და სახლში უნდა წასულიყო. წასვლის ნაცვლად, იგი ლ.ბ.-ძესთან ერთად მეზობელ მაგიდასთან დაჯდა და ყავა შეუკვეთა. შემდეგ თ.მ.-ძეს ანიშნა მასთან გადასულიყო. რამდენიმე წუთის შემდეგ თ.მ.-ძემაც უხმაუროდ შეიცვალა მაგიდა. განმცხადებლების შვილმა მას ჰკითხა, ვინ არიან ის კაცები, რომლებთან ერთადაც ის იქ საღამოს გასატარებლად მივიდა. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ ისინი მისი მეგობრის მეგობრები იყვნენ და მათ კარგად არ იცნობდა. ამის გამო, ს. გირგვლიანმა ჰკითხა, რატომ ატარებდა საღამოს უცხო პირების გარემოცვაში. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას თუ ვისთან ერთად ატარებდა იგი საღამოს და გაკვირვება გამოხატა იმის გამო, რომ, ს. გორგვლიანმა კაფე „შარდენში“ ამხელა გზაზე იმისთვის გაიარა, რათა მისთვის ასეთი კითხვა დაესვა. შემდეგ ს. გირგვლიანმა ჰკითხა მას, რას აკეთებდა „ამ პედერასტან“ ერთად. იგი შს სამინსიტროს სპიკერს, გ.დ.-ძეს გულისხმობდა. თ.მ.-ძის თქმით, მათი საუბრის ტონი, რომელიც 15-20 წუთს გრძელდებოდა „უხეში“ იყო და ს. გირგვლიანი ჟესტიკულაციას მიმართავდა. ერთ მომენტში, ა.კ.-ძემ დატოვა შს მინისტრის მეუღლე და მისი მეგობრები და თ.მ.-ძესთან მივიდა რათა ეკითხა, ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა. თ.მ.-ძემ თქვა, რომ ყველაფერი რიგზე იყო. ა.კ.-ძე საპირფარეშოში გავიდა და უკან დაბრუნებულმა თ.მ.-ძეს ჰკითხა, რას აკეთებდა. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ მაგიდას მალე დაუბრუნდებოდა. საუბრის ბოლოს ს. გირგვლიანმა თ.მ.-ძეს კაფედან მასთან ერთად წასვლა შესთავაზა. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ მოგვიანებით შეუერთდებოდა და სთხოვა, ნახევარ საათში დაერეკა მისთვის. ამის შემდეგ, თ.მ.-ძე თავის მაგიდასთან დაბრუნდა. მინისტრის მეუღლემ ჰკითხა „ყველაფერი რიგზე იყო თუ არა?“. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

102. ათი წუთის შემდეგ, ს. გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე ადგნენ და კაფედან გასვლა დააპირეს. სანდრო გირგვლიანმა დამშვიდობების ნიშნად ხელი დაუქნია თ.მ.-ძეს, რომელმაც ასევე დაუქნია ხელი და უთხრა, რომ მოგვიანებით შეუერთდებოდა მას.

103. თ.მ.-ძემ თქმით, სანამ იტყოდა: „მოგვიანებით გრახავ“, მან გაიგონა, მინისტრის მეუღლე როგორ სთხოვდა ო.მ.-ოვს, მისთვის სიგარეტი ეყიდა, რადგან კოლოფში მხოლოდ 2 ან 3 ღერი იყო დარჩენილი. თ.მ.-ძის გვერდით მჯდომი ო.მ.-ოვი წამოდგა და თ.მ.-ძის ხედვის არეალი დაფარა; თ.მ.-ძე გადაიხარა და ასე უთხრა ს. გირგვლიანს, რომ მოგვიანებით შეუერთდებოდა. ო.მ.-ოვი გასასვლელისკენ იმავე დროს გაემართა, როდესაც ს. გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე გადიოდნენ. თ.მ.-ძე მისი ადგილიდან კარს ვერ ხედავდა და შესაბამისად ვერ დაინახა, ვინ გავიდა პირველი, ო.მ.-ოვი თუ ს. გირგვლიანი და მისი მეგობარი. თუმცა, ის ხედავდა საპირფარეშოს კარს და ამტკიცებდა, რომ ამ სამი მამაკაციდან საპირფარეშოში კაფედან გასვლამდე არც ერთი არ შესულა.

104. თ.მ.-ძე შეთანხმებისამებრ ელოდა ს. გირგვლიანის ზარს და საათზე ხშირად იყურებოდა. სწორედ ამის გამო, ის დარწმუნებული იყო, რომ ო.მ.-ოვი, რომელიც ს. გირგვლიანსა და ლ.ბ.-ძესთან ერთად გავიდა კაფედან, დაახლოებით 30-40 წუთის განმავლობაში იყო წასული. როდესაც ს. გირგვლიანმა არ დაურეკა, თ.მ.-ძე გაბრაზდა და წასვლა დააპირა. ა.კ.-ძემ უთხრა, რომ მალე ისედაც ყველა აპირებდა წასვლას. თ.მ.-ძეს დარჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი ო.მ.-ოვის დაბრუნებას ელოდნენ, სანამ კაფედან წავიდოდნენ.

105. ო.მ.-ოვი 30-40 წუთის შემდეგ დაბრუნდა სიგარეტით ხელში. იგი შემცივნებული ჩანდა. თ.მ.-ძემ ჰანდა, ციოდა თუ არა გარეთ. მან უპასუხა, რომ ციოდა. მან განმარტა, რომ „ვ“ ბრენდის სიგარეტი ახლომახლო ვერ ნახა და იძულებული გახდა, „სუპერმარკეტ ბ.-ში“ წასულიყო მის მოსამებნად.

106. დაახლოებით 02:50 საათზე საღამო დასრულდა, დაახლოებით დამის სამ საათზე ყველა ადგა წასასვლელად. ვ.ს.-ს მძღოლმა თ.მ.-ძე და ა.კ.-ძე სახლებში წაიყვანა. დ.ა.-იამ შემინისტრის მეუღლე წაიყვანა სახლში.

107. დამის 03:10 საათი იყო, როდესაც თ.მ.-ძე სახლში მივიდა.

108. პროკურორის კითხვაზე თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ მას ს. გირგვლიანთან ან მის მეგობარ ლ.ბ.-ძესთან დაძაბული საუბარი არ ჰქონია. გარდა ერთ-ერთისათვის „პედერასტის“ დაძახებისა გირგვლიანს მასთან ერთად მყოფი სხვა ადამიანებისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია. პროკურორის მეორე შეკითხვაზე თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ 80% იყო შანსი იმისა, რომ ეს შეურაცხყოფა სხვა ადამიანებს არ გაუგიათ, ვინაიდან ს. გირგვლიანი ნორმალური ტონით ლაპარაკობდა და მუსიკა ხმამაღლა უკრავდა. მან ასევე განაცხადა, რომ როდესაც მეგობრებთან დაბრუნდა, არ უთქვამს თუ რა უწოდა ს. გირგვლიანმა გ.დ.-ძეს. მან ასევე აღნიშნა, რომ განმცხადებლების შვილსა და მაგიდასთან მჯდარ ადამიანებს შორის კონტაქტი არ ყოფილა.

109. სატელევიზიო ინტერვიუში, თ.მ.-ძემ განაცხადა, რომ ო.მ.-ოვმა კაფე ს. გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის კვალდაკვალ დატოვა.

110. სუპერმარკეტ „ბ“-ის სამეთვალყურეო კამერის ჩანაწერების შემოწმებამ არ აჩვენა, რომ იმ საღამოს ო.მ.-ოვი იქ მივიდა.

*ii. ა.კ.-ძე, თ.მ.-ძის მეგობარი*

111. 2006 წ. 13 მარტს, ხელმეორედ დაკითხვის დროს, ა.კ.-ძემ განაცხადა, რომ ის და მისი მეგობრები თ.მ.-ძის სახლთან დაახლოებით 22:30 საათზე მივიდნენ მის წასაყვანად. მან თქვა, რომ არ შეუმჩნევია, ზუსტად რა დროს გადაჯდა თ.მ.-ძე ს. გირგვლიანის მაგიდასთან. თუმცა, თ.მ.-ძესა და ს. გირგვლიანს შორის 5-10 წუთიანი საუბარი მშვიდი იყო და სანდროს არ უსაუბრია ჯგუფის სხვა წევრებთან, რომლებთან ერთადაც ა.კ.-ძე კაფეში იმყოფებოდა. ა.კ.-ძე დარწმუნებულია, რომ მას არ გაუგია, რომ ს. გირგვლიანს ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. როდესაც თ.მ.-ძე მაგიდასთან დაბრუნდა, ა.კ.-ძემ მას ჰქონდა, ვინ იყო ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ესაუბრებოდა. თ.მ.-ძემ უპასუხა, რომ ის მისი მეგობარი იყო და უნდოდა რომ თ.მ.-ძე კაფედან მასთან ერთად წასულიყო. ა.კ.-ძემ უთხრა, რომ მასაც შეეძლო წასულიყო, თუკი მის მეგობარს ასე სურდა. თ.მ.-ძე კარგ ხასიათზე იყო. ა.კ.-ძემ დაადასტურა, რომ ერთ მომენტში, ო.მ.-ოვი კაფედან გავიდა შს მინისტრის მეუღლისათვის სიგარეტის საყიდლად. მისი აზრით, ის დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში იყო წასული. მან დაადასტურა, რომ საღამოს დასაწყისში, შს მინისტრის მეუღლეს ერთი ან ორი კოლოფი სიგარეტი ჰქონდა თან. ა.კ.-ძე არ ეწეოდა. მან კატეგორიულად უარყო, რომ თ.მ.-ძისა და სანდროს ლაპარაკის დროს, ის თ.მ.-ძესთან მივიდა და ჰქონდა მას, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა.

112. დაკითხვის ოქმის თანახმად, დაკითხვა ვიდეოაპარატურით იწერებოდა, მაგრამ საქმის მასალების ჩანაწერების საწინააღმდეგოდ, აღნიშნული დაკითხვის ვიდეოჩანაწერი სასამართლოსათვის წარდგენილ სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ იდო.

*iii. დ.ა.-აია. შეს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი*

113. 2006 წ. 12 მარტსა და 20 ივნისს დაიკითხვის დროს, დ.ა.-აიამ გაიმეორა, რომ ის კაფეში ო.მ.-ოვთან ერთად, დაახლოებით ღამის 11:30 საათზე, სამსახურეობრივი ავტომანქანით მივიდა. მან დაადასტურა, რომ შს მინისტრის მეუღლემ ო.მ.-ოვს „კ“ ბრენდის სიგარეტის მოტანა სთხოვა. დ.ა.-აიამ ო.მ.-ოვს თავის დაკვრით ანიშნა, ისე მოქცეულიყო, როგორც სთხოვეს და სამსახურის მანქანის გასაღები მისცა. მოგვიანებით დ.ა.-აიამ შეიტყო, რომ კაფედან გასვლისას, ო.მ.-ოვმა დ.ა.-აიას მძღოლს სთხოვა, მანქანა წაეყვანა და სიგარეტი მოეტანა. დ.ა.-აიას თქმით,

ო.მ.-ოვი დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში იყო წასული და უკან სიგარეტის კოლოფით დაბრუნდა, რომელიც მან, მისივე თქმით, „სუპერმარკეტ „ბ“-ს ახლოს იყიდა. დ.ა.-აიას თქმით, ო.მ.-ოვი მშვიდად გამოიყურებოდა.

114. დ.ა.-აიამ თქვა, რომ იმ საღამოს მას სიგარეტი არ მოუწევია. მან დაადასტურა, რომ რამდენჯერმე ესაუბრა გ.ა.-იას ტელეფონით, რათა გაეგო, მივიდოდა თუ არა იგი წვეულებაზე დასასწრებად. თავდაპირველად, მან დაუდასტურა, რომ მისვლას აპირებდა, მაგრამ დაახლოებით ღამის 3 საათისათვის გ.ა.-იამ თქვა, რომ საბოლოოდ, ვეღარ ახერხებდა მისვლას. კაფეში მისვლის შემდეგ, დ.ა.-იამ ო.მ.-ოვის მობილური ტელეფონი გამოიყენა თავისი SIM ბარათით, ვინაიდან მისი ტელეფონის ბატარეა დაცლილი იყო.

115. დ.ა.-აია ამტკიცებდა, რომ მისი ჯგუფის არცერთ წევრს არავითარი ჩხუბი ან ინცინდენტი არ ჰქონია კაფეში მყოფ სხვა ადამიანებთან.

116. დაბოლოს, დ.ა.-აიამ განმარტა, რომ მან შს მინისტრს დაუყოვნებლივ აცნობა მისი ერთ-ერთი დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსის მიერ 2006 წ. 2 თებერვალს მიწოდებული ინფორმაციის შესახებ (იხ. წე50-52 ზემოთ). მინისტრმა მას წერილობით უბრძანა, გაეგრძელებინა გამოძიება და საქმეზე ჭეშმარიტება დაედგინა.

#### iv. ვ.ს.-ძე, შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროსი

117. 2006 წ. 12 მარტსა და 20 ივნისს დაკითხვის დროს, ვ.ს.-ძემ დაადასტურა ის, რაც თ.მ.-ძემ თქვა კაფეში მათ მისვლამდე პერიოდის შესახებ. თუმცა, მან დაამატა, რომ წასვლამდე, მან დაურეკა დ.ა.-აიას და საერთო მეგობრის, გ.ა.-აიას წაყვანაც სთხოვა. დ.ა.-აიას თქმით გ.ა.-ია უნდა შეერთებოდა მათ, მაგრამ, საბოლოოდ, იგი არ მივიდა.

118. ვ.ს.-ძემ დაადასტურა, რომ ერთ მომენტში თ.მ.-ძე სხვა მაგიდასთან გადაჯდა და რომ მეორე მომენტში, შს მინისტრის მეუღლემ ო.მ.-ოვს სიგარეტის მოტანა სთხოვა. ვ.ს.-ძის თქმით ო.მ.-ოვი 15-20 წუთის შემდეგ დაბრუნდა. ვ.ს.-ძე არ ეწეოდა. მან ასევე თქვა, რომ მის მეგობრებსა და კაფეში მყოფ სხვა ადამიანებს შორის არავითარ ინციდენტს ან ჩხუბს არ ჰქონია ადგილი.

#### v. თ.ს.-აია, შს მინისტრის მუზლე

119. 2006 წ. 12 მარტსა და 20 ივნისს დაკითხვის დროს, თ.ს.-აიამ აღნიშნა, რომ მას და ა.კ.-ს ვ.ს.-ძემ სახლში გაუარა თავისი სამსახურეობრივი ავტომანქანით, რომელსაც მისი მძღოლი მართავდა. ამის შემდეგ, ისინი თ.მ.-ძის მოსაყვანად წავიდნენ და კაფეში დაახლოებით საღამოს 11 საათზე მივიდნენ. დ.ა.-აია და ო.მ.-ოვი

დაახლოებით ღამის 12:30 საათზე მივიდნენ, ხოლო გ.დ.-ძე - დაახლოებით 01:15 საათზე. მისი ჩვენების დანარჩენი ნაწილი ვ.ს.-ძის მიერ აღწერილ ვერსიას ემთხვევა.

120. თუმცა, თ.ს.-აიამ დაადასტურა, რომ მას შემდეგ, რაც თ.მ.-ძე მაგიდასთან სანდროსთან საუბრის შემდეგ დაბრუნდა, მან ჰქოთხა, ხომ „ყველაფერი რიგ ზე იყო“. თ.მ.-ძემ, რომელიც მშვიდად გამოიყურებოდა, უპასუხა, რომ ყველაფერი კარგად იყო. თ.ს.-აიამ დაადასტურა, რომ მოგვიანებით ო.მ.-ოვს „კ“ ბრენდის სიგარეტის მიტანა სთხოვა. ო.მ.-ოვი 20-25 წუთის შემდეგ დაბრუნდა. თ.ს.-აიამ თქვა, რომ კაფეში მისვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, ვ.ს.-ს მძღოლმა მას ორი კოლოფი სიგარეტი მიუტანა, რომელიც სუპერმარკეტ „ბ“-ს ახლოს იყიდა. თ.ს.-აიამ ასევე აღნიშნა, რომ მის მეგობრებსა და კაფეში მყოფ სხვა პირებს შორის არავითარ ჩხუბს არ ჰქონია ადგილი. შუაღამის დადგომასთან ერთად, ვ.ს.-ს ყველამ ერთად მიულოცა დაბადების დღე.

121. თ.ს.-აია სახლში დ.ა.-აიამ მიიყვანა სამსახურეობრივი მანქანით. მათთან ერთად მანქანაში ო.მ.-ოვი და გ.დ.-ძე ისხდნენ.

*vi. გ.დ.-ძე, შსს-ს პრეს-სამსახურის უფროსი და მინისტრის სპიკერი*

122. 2006 წ. 20 ივნისს დაკითხვის დროს, გ.დ.-მ განმარტა, რომ მისმა მეგობარმა, შს მინისტრის მეუღლემ დაურეკა და უთხრა, რომ კაფე „შარდენში“ აპირებდა ვახშმობას და სთხოვა, მისულიყო. გ.დ.-ძე კაფეში დაახლოებით ღამის 11:50 სთ-ზე მივიდა. პროკურორის კითხვაზე გ.დ.-ძემ უპასუხა, რომ ჩვეულებრივ, ის არ ეწევა, მაგრამ იმ საღამოს მოწია სიგარეტი, რომელიც მაგიდაზე იდო. მართლაც, იმ საღამოს, ყველა, დ.ა.-აიასა და ვ.ს.-ძის გარდა, იმავე სიგარეტს ეწეოდა. რაღაც მომენტში, მან შენიშნა, რომ სიგარეტი აღარ იყო, თუმცა, მოგვიანებით ვიღაცამ კიდევ მოიტანა სიგარეტი. მას არ შეუნიშნავს, ვინ გავიდა ახალი სიგარეტის საყიდლად.

123. გ.დ.-ძემ არ იცოდა, იმ საღამოს კაფეში მისი კოლეგა, გ.ა.-იაც უნდა მისულიყო. მან არ იცოდა, ჰქონდა თუ არა დებოლი რაიმე ჩხუბს მის მეგობრებსა და კაფეში მყოფ სხვა პირებს შორის და არ გაუგია, რომ ვინმეს მისთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა.

*vii. ლ.ჭ.-შვილი, ვ.ს.-ძის მძღოლი*

124. 2006 წ. 12 მარტს დაკითხვის დროს, ვ.ს.-ძის მძღოლმა დაადასტურა, რომ საღამოს დასაწყისში, მინისტრის მეუღლეს ორი კოლოფი სიგარეტი მიუტანა. მოგვიანებით, როდესაც წვეულების დასრულებას მანქანაში ელოდებოდა, მას ო.მ.-ოვმა დაურეკა და სთხოვა, მისულიყო ახლომდებარე ავტოსადგომზე, სადაც დ.ა.-აიას სამსახურეობრივი ავტომანქანა იდგა. ლ.ჭ.-შვილმა მანქანა დაკეტა და ო.მ.-ოვისაკენ

გაემართა. როდესაც მან კაფე „შარდენს“ ჩაუარა, დაინახა გ.ა.-ია, რომელიც სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. იგი მიესალმა მას, მაგრამ პასუხი არ მიუღია. გ.ა.-ია მარტო იყო. ავტოსადგომზე მისვლისას ო.მ.-ოვმა ლ.ჭ.-შვილს უთხრა, რომ ნასვამი იყო და არ უნდოდა დ.ა.-აიას სამსახურეობრივი მანქანის წაყვანა სიგარეტის საყიდლად. მან ლ.ჭ.-შვილს სთხოვა, საჭესთან დამჯდარიყო. ისინი სიგარეტის მოსამებნად გავიდნენ და იპოვეს სუპერმარკეტ „ბ“-ს ახლოს. კაფეში დაახლოებით 30 წუთის შემდეგ დაბრუნდნენ.

### (ბ) გამომიების შემდგომი ეტაპები

125. 2006 წ. 22 მარტს, შემთხვევის ადგილზე განხორციელდა ს. გირგვლიანის მეგობრის, გ.გ.-ს ჩვენების შემოწმება, რომელმაც მისი გვამი აღმოაჩინა. მან განმარტა, რომ პოლიცია ადგილზე მათ მისვლამდე მივიდა და რომ სასაფლაოზე, თოვლში ბევრი ნაკვალევი ჩანდა. გ.გ.-მ აჩვენა ადგილი ერთი ხის ძირში, სადაც მან დაინახა, როგორც მან აღიქვა, სისხლიანი სახით დატოვებული კვალი. მეგობრებმა გაიარეს სასაფლაო და მდინარის ხეობის დაათვალიერებას შეუდგნენ. მათ დახმარება სთხოვეს სოფლის ახალგაზრდა მაცხოვრებელს, რომელიც ჩიტებზე ნადირობდა (იხ. გ. 19 ზემოთ). მოშორებით, ახალგაზრდამ სისხლის დიდი ლაქის მსგავსი აღმოაჩინა. მათ დაინახეს, რომ აღნიშნულ ლაქას სხვა ლაქები მოჰკვებოდა, რომელთაგან ზოგიერთი იმაზე მიანიშნებდა, რომ დროის რეგულარული ინტერვალებით, სანდრო გირგვლიანი ძირს, თოვლზე წვებოდა დასასვენებლად. ერთ მომენტში, მათ გააცნობიერეს, რომ როგორც ჩანს, განმცხადებლების შვილი ტყის კიდიდან გადავარდა და ისევ მაღლა, ტყისკენ აძრომა სცადა. ტყის განაპირას იგი ეკალ-ბარდებში გაიხლართა და მაყვლის ბუჩქებში ჩავარდა.

126. 2006 წ. 23 მარტს, პირველმა განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა საქმის მწარმოებელ გამომძიებელთან, რომელშიც აღნიშნა, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის 86ვ2 მუხლის დარღვევით, ოთხივე ბრალდებული თბილისის მე-7 საპყრობილები, ერთსა და იგივე საკანში ჰყავდათ მოთავსებული. იგი აცხადებდა, რომ ეს საშუალებას აძლევდა ბრალდებულებს, შეეთანხმებინათ თავიანთი ჩვენებები და ამით ხელი შეეშალათ საქმეე ჭეშმარიტების დადგენისთვის. სსსკ-ის 161ვ1 მუხლის თანახმად, მან მოითხოვა პატიმრების დაუყოვნებლივ განცალკევება ერთმანეთისგან.

127. იმავე დღეს, პირველმა განმცხადებელმა იგივე შუამდგომლობით მიმართა ბ.ა.-აიას, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსსა და გენერალურ პროკურორს.

128. 2006 წ. 30 მარტს, პირველმა განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა იმის გამო, რომ 2006 წ. 23 მარტის საჩივარზე მას პასუხი არ მიუღია.

129. 2006 წ. 29 მარტს, პირველმა განმცხადებელმა საქმის მწარმოებელ გამომძიებელთან საჩივარი შეიტანა იმის გამო, რომ ზემოხსენებული ბ.ა.-აია,

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც ასევე დ.ა.-აიას ძმა იყო, ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ოთხ ბრალდებულს რაც შეიძლება კომფორტულად ეგრძნო თავი ციხეში მათ შორის, მათთვის ალკოჰოლის, მედიკამენტებისა და ნარკოტიკების მიწოდების გზითაც. მეზობელ საკნებში მყოფ პატიმრებს ხშირად ესმოდათ მათი სიცილისა და დროსტარების ხმა. პირველი განმცხადებელი ამბობდა, რომ ბ.ა.-აია მათ ასე კარგად იმიტომ ეპყრობოდა, რომ ამ უკანასკნელებს ხელი არ დაედოთ მისი ძმის, დ.ა.-აიასთვის. მან მოითხოვა, რომ სახელმწიფო ორგანოებს შეეწყვიტათ ბრალდებულებისთვის სასმელისა და ნარკოტიკების მიწოდება და 48 საათის განმავლობაში განეხორციელებინათ სამედიცინო შემოწმება მათ სისხლში ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკების არსებობის დასადგენად. მან, როგორც დაზარალებულის უფლებამონაცვლემ, ასევე მოითხოვა აღნიშნულ შემოწმების პროცედურაში მონაწილეობის ნებართვა.

130. ამ საჩივარს არავითარი მოქმედება არ მოჰყოლია.

131. 2006 წ. 27 აპრილს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსმა განაცხადა, რომ ოთხი ბრალდებული 2006 წ. 8-დან 23 მარტამდე, მართლაც ერთ საკანში იყო მოთავსებული, რადგან თბილისის მე-7 საპყრობილები სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა. მას შემდეგ, რაც რემონტი დასრულდა, ისინი ერთმანეთისგან განაცალკევეს. სახელმწიფოს მიერ, ზეპირი მოსმენისათვის სასამართლოსათვის წარდგენილი დოკუმენტები ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბრალდებულები ერთსა და იმავე საკანში ჰყავდათ მოთავსებულები. არსებობს ასევე დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა, რომ 2006 წ. 21 თებერვალსა და 25 მარტს, ერთ-ერთმა კომპანიამ მე-7 საპყრობილები სარემონტო სამუშაოები ჩაატარა.

132. 2006 წ. 28 აპრილს, შეტანილ იქნა ცვლილება „პატიმრობის შესახებ“ კანონში და 8682 მუხლიდან ამოღებულ იქნა სიტყვები: „ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულ პირებს ათავსებენ ცალ-ცალკე“.

133. პირველი განმცხადებელი მიიჩნევდა, რომ ის კომფორტი და ლმობიერება, რომელსაც სახელმწიფო ორგანოები აშკარად იჩენდნენ ოთხი ბრალდებულის მიმართ, იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ ბრალდებულებს არ მიეცათ კაფე „შარდენში“ მყოფი შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებისა და შს მინისტრის მეუღლის საწინააღმდეგო ჩვენებები. მან განაცხადა, რომ ფაქტიურად, გ.ა.-აია, ა.ა.-ური და ა.ღ.-ავა, სამი ბრალდებული კაფესთან მას შემდეგ მივიდნენ, რაც ისინი სამინისტროს პრესსპიკერის შეურაცხყოფის გამო, მისი შვილის დასასჯელად, ტელეფონით გამოიძახეს.

134. 2006 წ. 25 აპრილს, თბილისის პროკურატურამ თხოვნით მიმართა კუდ-ს, რომელსაც დ.ა.-აია ხელმძღვანელობდა, გადაეცა მისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებშიც ავტომანქანა მერსედეს „ML“ მკიცებულების სახით ფიგურირებდა.

135. აღნიშული მასალებიდან ჩანს, რომ ავტომანქანა 2005 წ. 19 ოქტომბერს იქნა ამოღებული, როგორც დანაშაულებბრივი საქმიანობის შედეგად შეძენილი ნივთი.

2005 წ. 13 დეკემბერს, როდესაც აღნიშნულ საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, ავტომანქანის მფლობელმა გენერალურ პროკურორისა და შე მინისტრის სახელზე შეიტანა საჩივარი, 2005 წ. 6 დეკემბერს, მან დაინახა, როგორ დადიოდა თბილისის ქუჩებში მისი ავტომანქანა ახალი ნომრით (WAW 293). მან განაცხადა, რომ უკან გაჰყვა ავტომანქანას და სურათები გადაუღო, ხოლო მძღოლს კი ჰკითხა თუ რა უფლებით ატარებდა ჩამორთმეულ ავტომანქანას. პასუხად, მძღოლი მას დაემუქრა. აღნიშნავდა რა, რომ შეეძლო მძღოლის ამოცნობა, ავტომანქანის მფლობელმა დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყება მოითხოვა. 2005 წ. 13 დეკემბერს გენ. პროკურატურამ საჩივარი კუდ-ს გადაუგზავნა „დაუყოვნებლივ შემოწმებისათვის“. თუმცა, აღნიშნულ საჩივარს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. 2006 წ. 4 თებერვალს, საქმის მწარმოებელმა გამომძიებელმა გ.ა.-იას გამოართვა მანქანის გასაღები, რათა მანქანა ქუთაისში გაეგზავნა და აღმოაჩინა, რომ ლუქი გახსნილი იყო. მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა მის ზემდგომს ქუთაისში და ზომების მიღება სთხოვა.

136. 2006 წ. 1 მაისს, ს. გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის საქმის მწარმოებელი გამომძიებლის შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ოთხი ბრალდებულის შსს-ში დაკავებული დაკავებული თანამდებობებიდან გათავისუფლების შესახებ.

137. 2006 წ. 1 მაისს, პირველმა განმცხადებელმა მოითხოვა, რომ მინისტრის მეუღლე, გ.დ.-ძე, დ.ა.-აია, ვ.ს.-ძე, ო.მ.-ოვი, ა.კ.-ძე და თ.მ.-ძე კიდევ ერთხელ, მისი თანდასწრებით დაკითხულიყვნენ, ვინაიდან მის მიერ მოპოვებულმა სუპერმარკეტ „ბ“-ს სამეთვალყურეო ვიდეოკამერის ჩანაწერებმა არ აჩვენა, რომ ო.მ.-ოვი იმ ღამეს იქ იმყოფებოდა. მან ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი შუამდგომლობა 2006 წ. 13 მარტსაც დააყენა და უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ მის მიერ დასმული საკითხები უკვე გამოკვლეული იყო. მან მოითხოვა ინფორმაცია იმ საგამომძიებო ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მის საჩივარში დასმულ საკითხებთან დაკავშირებით გატარდა, ასევე, შესაბამისი დასკვნები.

138. 2006 წ. 9 მაისს, მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან შესაბამისი ადამიანები უკვე რამდენჯერმე დაიკითხნენ პირველი განმცხადებლის საჩივარში დასმული საკითხების დაზუსტების მიზნით. მათი ჩვენებების შინაარსის გასაცნობად, განმცხადებელს საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე უნდა მოეცადა, როდესაც მას მიეცემოდა სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის შესაძლებლობა.

139. 2006 წ. 3 მაისს, გამომძიებელმა განმცხადებლები და პირველი განმცხადებლის მამა დაკითხვაზე მიიწვია განმცხადებლის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადების შესახებ, რომლის თანახმად მესამე პირის მეშვეობით მოქმედმა უცნობმა პირმა, სიჩუმის სანაცვლოდ, ოჯახს თანხა შესთავაზა. 2006 წ. 4 მაისს განმცხადებლებმა და პირველი განმცხადებლის მამამ განაცხადეს, რომ მათ აღშფოთება გამოხატეს ასეთი წინადადების გამო და რომ პირი, ვინც მათ ასეთი შეთავაზება გადასცა, სიცოცხლის დაკარგვის საფრთხის ქვეშ დადგებოდა თუ

სიმართლე ბოლომდე ითქმებოდა. აღნიშულმა პირმა მათ უთხრა, რომ თუ ისინი არ დათანხმდებოდნენ ფულის აღებაზე და არ გაჩუმდებოდნენ, მათი სიცოცხლესაც საფრთხე დაემუქრებოდა.

140. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2006 წ. 3 მაისს, პროკურატურამ ოთხ ბრალდებულს, მათი ადვოკატის თანდასწრებით, საპროცესო გარიგება შესთავაზა. კერძოდ, მათ შესთავაზეს პირობითი მსჯავრი თუ ისინი დაასახელებდნენ შსს-ს რომელიმე მაღალჩინოსანს ან სხვა პირს, რომელსაც დანაშაულთან კავშირი ჰქონდა.

141. შესაბამისი ვიდეოჩანაწერების თანახმად, ოთხივე ბრალდებულმა უარყო აღნიშნული წინადადება. ა.ა.-ურმა უპასუხა: „ყველა, ვინც იქ იყო, ახლა ციხეშია.“ ა.ღ.-ავამ თქვა: „სახელებს არ ვასახელებ. როგორც პირველი დაკითხვის დროს ვთქვი, არაფერი ვიცი და ამ საქმეში არავინ მონაწილეობდა“ მ.ბ.-ძემ განაცხადა, რომ დანაშაულში არავინ, მათ შირის შს მინისტრის მეუღლის მეგობრები არ მონაწილეობდნენ. შეთავაზების სრულად წაკითხვის შემდეგ, მან თქვა, რომ „მართალია, თავისუფლება მისთვის ძვირფასი იყო,“ მაგრამ მას არ შეეძლო შეთავაზების მიღება. გ.ა.-იამ თქვა: „მე არ შემიძლია დავასახელო რომელიმე მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც ამ საქმეში მონაწილეობდა.“ პროკურორმა მას განმარტება სთხოვა. გ.ა.-აიამ უპასუხა, რომ მას არ შეეძლო შეთავაზების მიღება. პროკურორმა კიდევ ერთხელ ჰკითხა: „თქვენ ამბობთ, რომ სხვა არავინ მონაწილეობდა, ასეა?“ გ.ა.-იამ დაუდასტურა. პროკურორისა და მისი ადვოკატის დახმარებით, მან ოქმში დააფიქსირა: „შსს-ს არცერთი ჩარმომადგენელი და არც სხვა რომელიმე პირი არ მონაწილეობდა ამ დანაშაულში; ამიტომ მე არ შემიძლია ვინმეს დასახელება და შესაბამისად, უარს ვამბობ შემოთავაზებაზე“.

142. 2006 წ. 18 მაისს, ერთ-ერთმა მობილურმა ოპერატორმა პროკურორს გადასცა კომპაქტ-დისკი იმ ნომრების ნუსხით, რომლებსაც გ.ა.-ია ეკონტაქტებოდა აღნიშნულ ღამეს. ნუსხაში ასევე მითითებული იყო სხვადასხვა სატელეფონო ზარების მომსახურე ანტენების მდებარეობა. ეს ჩამონათვალი აჩვენებდა, რომ გ.ა.-ია კაფე „შარდენის“ სიახლოეს დამის 01:56 საათზე იმყოფებოდა და რომ მოგვიანებით, 02:17 და 02:35 სთ-ზე მან ორჯერ ისაუბრა ოქროყანის ანტენიდან. 02:54 სთ-ზე ის უკვე თბილისის ცენტრში იყო, მთავარ მოედანთან და კაფე „შარდენთან“ ახლოს. სხვა ნომრებთან დაკავშირებით, სიაში მითითებული იყო ის ნომრებიც, რომლებსაც გ.ა.-ია ესაუბრა, რასაც ადგილი არ ჰქონია აღნიშნულ ორ ზართან დაკავშირებით. თუმცა, ამ ინფორმაციის საქმის სხვა ტომის მასალებთან შედარებით გაირკვა, რომ 02:17 და 02:35 სთ-ზე, გ.ა.-იას, ოქროყანაში ყოფნის დროს, დ.ა.-აიამ დაურეკა.

143. 2006 წ. 16 მაისს, ოთხმა ბრალდებულმა უარი თქვა მათი ჩვენებების შემთხვევის ადგილზე შემოწმებაზე.

#### 4. სასამართლო სხდომა

144. 2006 წ. 21 ივნისს წინასწარი გამომიება დასრულდა. პირველ განმცხადებელსა და ლ.ბ.-ძეს გასაცნობად გადაეცათ სისხლის სამართლის საქმის ხუთი ტომი. 2006 წ. 22 ივნისს ს. გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის მთლიანი საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა განსახილველად.

145. 2006 წ. 20 ივნისს გ.ა.-იას. ა.ა.-ურს. ა.ღ.-ავასა და მ.ბ.-ძეს ბრალი წარედგინათ ჯანმრთელობის დაზიანებაში სასიკვდილო შედეგით და თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობით და სხვისი ნივთის განადგურებით (სსკ-ის 119-ე მუხლი, 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა”, „გ”, და „თ” ქვეპუნქტები და 18781 მუხლი). გარდა ამისა, გ.ა.-ია სსკ-ის 333გ1 მუხლით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში იქნა ბრალდებული. საბრალდებო დასკვნას თან დაერთო საგამომიებო ორგანოების მიერ გამომიების დროს მოპოვებული მტკიცებულებების ნუსხა.

146. 2006 წ. 27 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის განხილვა დაიწყო. იმის გამო, რომ პირველ განმცხადებელს სსკ-ის 69-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამომიების მიმდინარეობის პერიოდში საქმის მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა, ხოლო საქმის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ 2006 წ. 24 ივნისამდე ინფორმირებული არ იყო, მან განაცახდა, რომ კიდევ სამი დღე ესაჭიროებოდა სისხლის სამართლის საქმის ხუთი ტომის გასაცნობად და თავისი პოზიციის მოსამზადებლად. ამასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაზარალებულისგან განსხვავებით, წინასწარი გამომიების განმავლობაში, ბრალდებულებს შეუზღუდავად შეეძლოთ საქმის მასალების გაცნობა, სსკ-ის 76გ3 მუხლის შესაბამისად.

147. 2006 წ. 27 ივნისს მისი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ პირველ განმცხადებელსა და მის ადვოკატს მიუწვდებოდათ ხელი საქმის მასალებზე როგორც წინასწარი გამომიების მიმდინარეობისას, ისე საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ და მათ ექნებოდათ საქმის გაცნობის შესაძლებლობა საქმის სასამართლოში განხილვის დროსაც.

148. 2006 წ. 27 ივნისის სასამართლო სხდომაზე, ლ.ბ.-ძემ მთლიანად დაადასტურა წინასწარი გამომიების სტადიაზე მიცემული ყველა ჩვენება. მან განმარტა, რომ ის და ს. გირგვლიანი კაფედან ერთად გამოვიდნენ, რომ გ.ა.-აიაც შეიარაღებული იყო მას გ.ა.-ია და ა.ღ.-ავა სცემდნენ. იარაღის მუქარით მას ტანისამოსის გახდა აიძულეს. თავდამსხმელებმა მისი ტანისამოსი თან წაიღეს და იგი საცვლისა და წინდების ამარა დატოვეს. მან ბოლომდე ვერ ამოიცნო ო.მ.-ოვი, მაგრამ 70%-ით იყო დარწმუნებული, რომ ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცი თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი იყო (იხ. გვ. 80 ზემოთ).

149. სასამართლოს 2006 წ. 29 ივნისის სხდომაზე თ.მ.-ძემ სრულად დაადასტურა წინასწარი გამომიების დროს მიცემული ჩვენებები. მისი აზრით ს.

გირგვლიანი მიხვდა, რომ ის კაფე „შარდენში“ იმყოფებოდა, ვინაიდან სატელეფონო საუბრის დროს გაიგონა „ბონგო“ დოლის ხმა (იხ. გ 99 ზემოთ). როდესაც ის ს. გირგვლიანს მის მაგიდასთან ესაუბრებოდა, მისი მეგობრებისკენ ზურგით იჯდა და არ შეეძლო ეთქვა, გაიგო თუ არა გ.დ.-ძემ ს. გირგვლიანის მიერ მასზე ნათქვამი შეურაცხყოფა. თ.მ.-ძეს „კ“ ბრენდის სიგარეტი არ მოუწევია. მისი თქმით ასეთ სიგარეტს მხოლოდ მინისტრის მეუღლე ეწეოდა. მაგიდასთან არავის უკითხავს, აპირებდა თუ არა გ.ა.-ია მისვლას.

150. 2006 წ. 30 ივნისს, დ.ა.-აიამ სრულად დაადასტურა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. მან გაიმეორა, რომ მობილური ტელეფონი, რომლითაც ის კაფეში სარგებლობდა, ო.მ.-ოვს ეკუთვნოდა, თუმცა შიგნით მისი SIM ბარათი იდო, ვინაიდან მისი ტელეფონის ბატარეა დაცლილი იყო. მან დაამატა, რომ ტელეფონის ნომერი (877 79 89 60), რომელიც ყველაზე ხშირად ფიგურირებდა იმ დამეს კაფეში მყოფი შსს-ს მოხელეების მიერ განხორციელებული და მიღებული ზარების ნუსხაში, მის კოლეგას, მ.-ელს ეკუთვნოდა.

151. თუმცა, სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოიპოვებოდა შესაბამისი მობილური ოპერატორის 2006 წ. 2 მარტით დათარიღებული წერილი, რომლის თანახმად, ნომერი 877 79 89 60 შპს „ფალკოს“ თანამშრომელს, ვინმე კ.ნ.-ძეს ეკუთვნოდა. გარდა ამისა, ზოგი პირის მიერ მიღებული და განხორციელებული სატელეფონო ზარების შესახებ მონაცემები, რომლებიც გამოძიების მიერ სხვადასხვა ეტაპზე იქნა მოპოვებული და საქმის მასალებზე თანდართული, მიუთითებს, რომ დანაშაულის დამეს, აღნიშნულ ნომერს დაუკავშირდნენ:

- გ.ა.-ია: დამის 00:31, 01:04, 01:26, 01:46, 02:01 და 02:12 საათზე;
- დ.ა.-ია: დამის 01:28 საათზე;
- გ.დ.-ძე: დამის 01:32, 01:36, 01:45 საათზე;
- ო.მ.-ოვი: დამის 01:26 და 01:27 საათზე.
- 

გარდა ამისა, აღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ გ.დ.-ძე და ვ.ს.-ძე კიდევ ერთ სატელეფონო ნომერს, 877 76 76 90, რამდენჯერმე დაუკავშირდნენ 01:50 და 01:55 საათს შორის პერიოდში და რომ დ.ა.-აიამ გ.დ.-ძეს დამის 01:56 საათზე დაურევა.

152. 2006 წ. 30 ივნისს დაკითხვის დროს, შს მინისტრის მეუღლემ, თ.ს.-აიამ სრულად დაადასტურა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. მან დაამატა, რომ მისთვის არავის უთქვამს, რომ დაბადების დღეზე გ.ა.-იაც იყო მიწვეული. დ.ა.-აია ხშირად საუბრობდა ტელეფონით, მაგრამ ხმაურის გამო მას არ ესმოდა, რის შესახებ დაუბრობდა იგი.

153. 2006 წ. 30 ივნისს, ვ.ს.-ძემ სრულად დაადასტურა მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. მან თქვა, რომ დ.ა.-აიასგან გაიგო, რომ კაფეში, წვეულებაზე გ.ა.-იაც აპირებდა მისვლას.

154. 2006 წ. 30 ივნისს დაიკითხა გ.დ.-ძე, რომელმაც ასევე სრულად დაადასტურა მის მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. და დაამატა, რომ მისთვის არავის უთქვამს, რომ წვეულებაზე გ.ა.-იაც იყო მიპატიული (იხ. გ74 ზემოთ). მან ასევე განაცხადა, რომ არ იყო გამორიცხული დ.ა.-აიას ან სხვა ვინმეს მისი ტელეფონი გამოეყენებინა, რომელიც მაგიდაზე იდო. რაღაც მომენტში, მის ტელეფონზე ვიღაცამ დარეკა და დ.ა.-აიასთან დალაპარაკება ითხოვა. პირადად მას ბრალდებულებისთვის არ დაურეკავს. გ.დ.-ძემ დაამატა, რომ კაფეში მისთვის შეურაცხყოფა არავის მიუყენებია.

155. 2006 წ. 39 ივნისს, ჩვენების მიცემის დროს, ო.მ.-ოვმა და ა.კ.-ძემ სრულად დაადასტურეს წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები. ო.მ.-ოვმა თქვა, რომ არ იცოდა კაფეში მყოფი მისი ჯგუფის წევრები გ.ა.-იასაც ელოდებოდა. ა.კ.-ძემ თქვა, რომ კარგად არ ახსოვდა, თუმცა ვერ გამორიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ მართლაც მივიდა სანდრო გირგვლიანის მაგიდასთან თ.მ.-ძისთვის რაღაცის სათქმელად.

156. 2006 წ. 3 ივლისის სასამართლო სხდომაზე, ლ.ჭ.-შვილმა დაადასტურა მის მიერ გამოძიების დროს მიცემული ჩვენება. მან დაამატა, რომ ო.მ.-ოვმა მას უცხო ნომრიდან დაურეკა.

157. 2006 წ. 3 ივლისის სხდომაზევე გ.ა.-იამაც დაადასტურა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები და დაამატა, რომ როგორც კუდ-ის უფროსის მოადგილეს, მას არ ესაჭიროებოდა ვინმეს ბრძანება იმ ადამიანის დასაკავებლად, რომელიც მის ცხვირწინ არღვევდა კანონს. თუმცა, მან აღიარა, რომ გარკვეული დროის შემდეგ, კამათი გასცდა ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებს ს. გირგვლიანმა შეურაცხყოფა მიაყენა გ.დ.-ძის დედას და კაფეში მყოფი „კაგებეშნიკების დედებს“. გ.ა.-იამ განაცხადა, რომ იმ საღამოს მას იარაღი თან არ ჰქონდა. ოქროყანისკენ მიმავალი გზიდან მან დარეკა გ.დ.-ძის ნომერზე, რათა დ.ა.-აიას დალაპარაკებოდა, რომელთანაც სხვა გზით დაკავშირება ვერ შეძლო.

158. იმავე სასამართლო სხდომაზე, ა.ა.-ურმა, ა.ღ.-ავამ, და მ.ბ.-ძემ უარი განაცხადეს ჩვენების მიცემაზე და დუმილი არჩიეს.

159. 2006 წ. 3 ივლისის სასამართლო სხდომაზე, პირველმა განმცხადებელმა სსსკ-ის 69-ე მუხლის „კ“ პუნქტის, ასევე 439გ4, 440-3გ1 და 485გ2 მუხლების თანახმად, სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, საჯაროდ და მხარეთა მონაწილეობით გამოეკვლია შემდეგი მტკიცებულებები („14 მტკიცებულება“):

i. შემთხვევის ადგილზე, 2006 წლის 9 მარტს გადაღებული ლ.ბ.-ძის ჩვენების შემოწმების დამადასტურებელი ვიდეოჩანაწერი;

ii. შემთხვევის ადგილზე, 2006 წლის 22 მარტს გადაღებული, გ.გ.-ს ჩვენების შემოწმების ვიდეოჩანაწერი;

iii. შემთხვევის ადგილზე, 2006 წლის 11 მარტს გადაღებული, ბ.ე.-ს ჩვენების შემოწმების ვიდეოჩანაწერი;

*iv-vii.* 2006 წ. 6 მარტის ვიდეოჩანაწერები, რომლებიც ლ.ბ.-ძის მიერ გ.ა.-იას, ა.ა.-ურის, ა.ღ.-ავასა და მ.ბ.-ძის ამოცნობას ასახავს;

*viii.* 2006 წ. 8 მარტის ვიდეოჩანაწერი, რომელიც ლ.ბ.-ძის მიერ ო.მ.-ოვის ამოცნობას აჩვენებს;

*ix.* 2006 წ. 6 მარტის ლ.ბ.-ძის მეორე დაკითხვის ვიდეოჩანაწერი;

*x.* 2006 წ. 10 მარტის ლ.ბ.-ძის დამატებითი მოსმენის ვიდეოჩანაწერი;

*xi.* 2006 წ. 13 მარტის თ.მ.-ძის დამატებითი დაკითხვის ვიდეოჩანაწერის ორი კასეტა.

*xii.* კომპაქტ-დისკი, რომელზეც თბილისიდან ოქროყანისაკენ მიმავალ გზაზე (თბილისი-კოჯორს მონაკვეთი) ბიზნესმენ ბ.პ.-ს სახლში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერიდან ამოღებული ჩანაწერებია დატანილი;

*xiii.* 2006 წ. 13 მარტის თ.მ.-ძის დამატებითი დაკითხვის მასალების შემცველი ოთხი კომპაქტ-დისკი;

*xiv.* შემთხვევის ადგილზე სანდრო გირგვლიანის სავარაუდო მოძრაობის ნახაზი.

160. 2006 წ. 3 ივლისს, სასამართლომ ეს შუამდგომლობა მხოლოდ *iii.* და *xii.* მტკიცებულებებთან მიმართებით დააკმაყოფილა და ისიც იმ პირობით, რომ აღნიშნული ვიდეოჩანაწერების მხოლოდ მოკლე წერილობითი აღწერის გამოქვეყნებას დათანხმდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პირები, რომელთა ჩვენებებიც სხვა კომპაქტ-დისკებზე იყო ჩაწერილი, სასამართლოს უკვე დაკითხული ჰყავდა. გარდა ამისა, საგამოძიებო მოქმედებების ვიდეოჩანაწერები საქმის მასალებს თან ერთვოდა და პირველ განმცხადებელს ისინი ეჭვეჭვებოდეს დაუყენებია.

161. 2006 წ. 5 ივლისს პირველმა განმცხადებელმა მოითხოვა, რომ სასამართლოს სსსკ-ის 484-ე მუხლის შესაბამისად, სხდომაზე განესაჯაროებინა და გამოკვლია საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები.

162. იმავე სხდომაზე, სასამართლომ უარი განაცხადა აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, აღნიშნა რა, რომ მტკიცებულებები სხდომაზე უკვე განსაჯაროებული იყო და მათი ხელახალი გამოკვლევა საჭირო აღარ იყო.

163. 2006 წ. 5 ივლისის სხდომაზე, ლ.ბ.-ძის ადვოკატმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, ორი სატელეფონო ოპერატორისაგან გამოეთხოვა ინფორმაცია არამხოლოდ ოთხი ბრალდებულის მიერ განხორციელებული და მიღებული ზარების, არამედ იმ შვიდი პირის სატელეფონო ზარების შესახებაც, რომლებიც კაფეში იმავე მაგიდასთან ისხდნენ, სადაც შს მინისტრის მეუღლე. შუამდგომლობას პირველი განმცხადებელიც დაეთანხმა, რომელმაც აღნიშნა, რომ საქმის მასალებს თან არ ერთვოდა აუცილებელი ინფორმაცია იმ სატელეფონო ზარების შესახებ, რომლებიც შესაძლოა განხორციელებულიყო ოთხ ბრალდებულსა და კაფეში მყოფ მათ მეგობრებს, ან ბრალდებულებს, კაფეში მყოფ მათ მეგობრებსა და ვ.ს.-ს მძღოლს შორის, რომელიც მანქანაში იცდიდა. მისი თქმით, ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელი იყო დადგენა, მართლა მოუვიდა თუ არა გ.ა.-იას შელაპარაკება მის შვილთან, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კაფეში მყოფ შსს-ს თანამდებობის პირებთან; ანდა, როგორც მას ეეჭვებოდა, მისი შვილის მიერ შეურაცხყოფის

მიყენების შემდეგ, დაურეკეს თუ არა მათ გ.ა.-იას, რათა ის სანდროს დასასჯელად მისულიყო.

164. 2006 წ. 5 ივლისის სხდომაზე, აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

165. 2006 წ. 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე, ლ.ბ.-ძემ მისი ხელახალი დაკითხვა მოითხოვა. მან თქვა, რომ მას შემდეგ, რაც კვლავ ნახა ო.მ.-ოვი, მოუსმინა და დააკვირდა მას მოწმის სახით დაკითხვის დროს, მას შეეძლო დარწმუნებით ეთქვა, რომ ის ნამდვილად იყო ის პირი, რომელიც სასაფალოზე სხვა თავდამსხმელებს შეუერთდა და განსაკუთრებული სისასტიკით მიიღო მონაწილეობა მისსა და სანდროზე თავდასხმაში. ლ.ბ.-ძემ ასევე განაცხადა, რომ პროცესის დაწყების შემდეგ, იგი მ.ბ.-ძესაც და ახლა უკვე დარწმუნდა, რომ მომხდარის დროს იგი ოქროყანაში არ ყოფილა. ყველაფერი, რაც მან სასაფლაოზე სხვებზე გვიან მისული მეოთხე მამაკაცის შესახებ თქვა, შესაბამისად ეხებოდა ო.მ.-ოვს და არა მ.ბ.-ძეს. ლ.ბ.-ძის განმარტებით, გამოძიების დროს, მას სჯეროდა, რომ ის და პროკურორი ერთ მხარეზე იყვნენ, მაგრამ მოგვიანებით იგი მიხვდა, რომ პროკურორი დაჟინებით უჭერდა მხარს სანდროსა და გ.ა.-აიას შორის კაფეს შესასვლელში მომხდარი კონფლიქტის ჰიპოთეზას. 2006 წ. 6 მარტს ჩატარებული სხვადასხვა ამოცნობის ღონისძიებების დროს, პროკურორმა მას ურჩია, არ მოეთხოვა ადვოკატის დახმარება, რადგან ეჭვმიტანილები ახლად დააკავებულები იყვნენ და დროის დაკარგვა არ შეიძლებოდა. პროკურორმა ასევე ურია ალ.ბ.-ძეს, რომ „უკეთესი“ იქნებოდა თუ ის არ ამოიცნობდა ო.მ.-ოვს.

166. 2006 წ. 5 ივლისს, ლ.ბ.-ძის წინააღმდეგ დაიწყო გამოძიება მართლმსაჯულებისთვის შეგნებულად ხელის შეშლის გამო, რაც გამოიხატა მის მიერ აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემით (იხ. წგ 194-203 ქვემოთ).

167. 2006 წ. 5 ივლისს, სასამართლო სხდომის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება, მიეცა მხარეებისათვის ერთი საათი საბოლოო განცხადებების გასაკეთებლად. პირველმა განმცხადებელმა გააპროტესტა და განაცხადა, რომ ერთი კვირა სჭირდებოდა, ვინაიდან მას არ ჰქონდა საკმარისი დრო საქმის მასალების სათანადოდ შესასწავლად არც იმ პერიოდში, როდესაც საქმე განსახილველად სასამართლოს გადაეგზავნა და არც სასამართლოში საქმის განხილვის დროს, რომელიც სულ 9 დღეს გაგრძელდა. იმისათვის, რომ მას შესძლებოდა საკუთარი უფლებების დაცვა, ერთი კვირა ესაჭიროებოდა.

168. მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

169. 2006 წ. 5 ივლისს ლ.ბ.-ძის ადვოკატმა, დანაშაულის ღამეს გ.ა.-იას, დ.ა.-აიას, გ.დ.-ძისადა ო.მ.-ოვის მიერ მიღებული და განხორციელებული ზარების შესახებ არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, შუამდგომლობით მიმართა მოსამართლეს, თბილისის მობილური ქსელების ორი ოპერატორისაგან გამოეთხოვა ინფორმაცია, 877 79 89 60, 877 48 48 45, 899 96 00 01 და 899 75 10 89 ტელეფონების ნომრების აბონენტთა ვინაობის შესახებ (იხ. წგ 150-151 ზემოთ). პირველმა განმცხადებელმა დამატებით მოითხოვა ინფორმაციის გამოთხოვა ა.ა.-ურის, ა.ღ.-ავას, მ.ბ.-ძისა და

მინისტრის მეუღლის მაგიდასთან მყოფი მეგობრების სატელეფონო ზარების შესახებ. პროკურორმა პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ მოცემულ ინფორმაციას არაფერი ჰქონდა საერთო წარდგენილ ბრალდებებთან.

170. იმავე დღეს, მოსამართლემ ეს შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ადვოკატებმა მოსამართლის აცილება მოითხოვეს და განაცხადეს, რომ თუ მას საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება მნიშვნელოვნად არ მიაჩნდა, იგი აშკარად მიკერძოებული იყო და სამართლიან გადაწყვეტილების ვერ გამოიტანდა. მოსამართლემ აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმთავითვე უარი განაცხადა.

171. 2006 წ. 6 ივლისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2006 წ. 28 აპრილს სსკ-ის 119-ე მუხლის გაუქმების გამო, ამ მუხლის საფუძველზე წაყენებული ბრალდებები აღნიშული კოდექსის 117გხ მუხლით გადააკვალიფიცირა. შესაბამისად მან გ.ა.-ია დამნაშავედ სცნო წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლისთვის საშიში ძლადობით თავისუფლების უკანონო აღკვეთაში (სსკ-ის 143გ2 მუხლის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტები), ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 117გ6 მუხლი), სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში (სსკ-ის 333გ1 მუხლი) და სხვისი ნივთის განადგურებაში (სსკ-ის 187გ1 მუხლი). ა.ა.-ური, ა.ღ.-ავა და მ.ბ.-ძე დამნაშავეებად იქნენ ცნობილნი სსკ-ის ზემოაღნიშული 143გ2 „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 117გ6 და 187გ1 მუხლებით.

172. გ.ა.-იას სასჯელის სახით განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა (7 წლით თავისუფლების აღკვეთა სსკ-ის 143გ2 მუხლის „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა 117გ6 მუხლით და თითო წლით თავისუფლების აღკვეთა 333გ1 და 187გ1 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის). დანარჩენ სამ განსასჯელს სასჯელის სახით განესაზღვრათ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა თითოეულს (6 წლით თავისუფლების აღკვეთა 143გ2 „ა“, „გ“ და „თ“ ქვეპუნქტებით, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა 117გ6 მუხლით და 1 წლით თავისუფლების აღკვეთა 187გ1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის).

173. პროკურორმა განაჩენი გაასაჩივრა და სასჯელების რვა და ცხრა წლამდე გაზრდა მოითხოვა. სსსკ-ის 25გ1 მუხლის შესაბამისად, პირველმა განმცხადებელმა მხარი დაუჭირა სააპელაციო საჩივარს. მან საჭიროდ არ მიიჩნია ცალკე სააპელაციო საჩივრის შეტანა, ვინაიდან სააპელაციო სასამართლო საქმეს მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ბრალდების ფარგლებში განიხილავდა (სსსკ-ის 450-ე მუხლი) და მას არ შეეძლო არც დანაშაულის გადაკვალიფიცირება განზრახ მკვლელობად დამამძიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 109-ე მუხლი), როგორც ამას პირველი განმცხადებელი ისურვებდა და არც საქმის გაგზავნა დამატებითი გამოძიებისათვის (სსსკ-ის 498-ე და 501-504-ე მუხლები).

174. 2006 წ. 18 ივლისს მსჯავრდებულები მოთავსებულ იქნენ ავჭალის №10 საპურობილები.

175. 2006 წ. 20 და 26 ივლისსა და 11 სექტემბერს, პირველმა განმცხადებელმა განცხადებით მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელმაც საქმე 1-ლი ინსტანციით განიხილა, ხოლო 2006 წ. 3 აგვისტოს იმავე სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარეს და საქმის სააპელაციო სასამართლოში გაგზავნამდე საქმეზე დართული 14 მტკიცებულების ნახვა მოითხოვა (სსსკ-ის 69-ე მუხლის „თ“ პუნქტი და 485გ2 მუხლი). სასამართლოს თავმჯდომარემ განცხადება უპასუხოდ დატოვა. 2006 წ. 11 სექტემბერს, პირველმა განმცხადებელმა კიდევ ერთხელ შეიტანა განცხადება აღნიშნული მოთხოვნით. 2006 წლის 18 სექტემბერს მას უპასუხეს, რომ საქმის მასალები და აღნიშნული მტკიცებულებები უკვე სააპელაციო სასამართლოში იყო გადაგზავნილი.

176. 2006 წ. 6, 17 და 30 ოქტომბერს, ასევე 24 ნოემბერსა და 8 დეკემბერს, პირველმა განმცხადებელმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა და 14 მტკიცებულების ნახვა მოითხოვა. განცხადებაში მან აღნიშნა, რომ 2006 წ. 3 ივლისს, 1-ლი ინსტანციის სასამართლომ მას უარი უთხრა იგივე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და რომ 2006 წ. 20 და 26 ივლისსა და 11 სექტემბერს, მან მსგავსი მოთხოვნებით უშედეგოდ მიმართა სასამართლოს თავმჯდომარეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოხსენებული მტკიცებულებების ნახვის გარეშე მისთვის შეუძლებელი იქნებოდა სააპელაციო სასამართლოში საკუთარი უფლებების დაცვა.

177. არცერთ განცხადებას პასუხი არ მოჰყოლია, გარდა 2006 წ. 8 დეკემბრის განცხადებისა, რომელიც იმავე დღეს არ იქნა დაკმაყოფილებული. მოგვიანებით, პირველმა განმცხადებელმა, აღნიშნული უარი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

178. 2006 წ. 8 დეკემბერს, განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს შემდეგი შუამდგომლობით მიმართა:

- ორი მობილური ოპერატორისაგან გამოეთხოვა ინფორმაცია 2006 წ. 28 იანვრის ღამის 12-დან დღის 12 საათამდე შუალედში, ოთხი მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული და მიღებული სატელეფონო ზარების შესახებ; ინფორმაცია კაფეში, თ.მ.-ძის მაგიდასთან მყოფი შვიდი ადამიანის, ასევე ლ.ჭ.-შვილის მიერ მიღებული და განხორციელებული ზარების შესახებ; ამასთანავე, მოთხოვნილ ინფორმაციაში ასევე უნდა ყოფილიყო მითითებული შესაბამისი ანტენების ადგილმდებარეობა;

- მიეცა მისთვის საშუალება, გაცნობოდა ოქროყანისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ბიზნესმენის სახლში დამონტაჟებული სამეთვალყურეო ვიდეოკამერის მიერ, 2006 წ. ღამის 12-დან დღილის 12 საათამდე შუალედში განხორციელებულ ჩანაწერებს. პირველმა განმცხადებლმა განმარტა, რომ საგამოძიებო ორგანოებმა საქმის მასალებს თან დაურთეს მხოლოდ ღამის 2-დან 3 საათამდე შუალედში განხორციელებული ვიდეჩანაწერები, რომლებიც არ ასახავდა აღნიშნულ გზაზე ღამის 2 საათამდე და ღამის 3 საათის შემდეგ დაფიქსირებულ მოძრაობას;

- მოწმის სახით დაეკითხა გ.დ.-ძე, თ.მ.-ძე, თ.ს.-აია და ა.კ.-ძე, რათა გადაემოწმებინა მათ მიერ იმ ღამეს გამოყენებული სატელეფონო ნომრები.

179. 2006 წ. 8 დეკემბერს, პირველ განმცხადებელს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა.

180. 2006 წ. 8 დეკემბერს, პირველმა განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით, მოწმის სახით მოეწვია შსს-ს ორი გამომძიებელი, რომლებიც გამომიებას 2006 წ. 5 მარტამდე აწარმოებდნენ და დაკითხა ისინი იმ ჩანაწერებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ მობილური სატელეფონო კომპანიებისგან ამოიღეს, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეს თან არ დაურთეს. მან სააპელაციო სასამართლოს ასევე სთხოვა ამ ჩანაწერებისა და სხვა ნებისმიერი მტკიცებულებების ამოღება, რომელიც აღნიშნულმა გამომძიებლებმა შესაძლოა, მოიპოვეს, მაგრამ საქმეს თან არ დაურთეს.

181. აღნიშნული შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა.

182. 2006 წ. 11 დეკემბერს, ოთხმა მსჯავრდებულმა სასამართლო პროცესზე დასწრებაზე უარი განაცხადა და სააპელაციო სასამართლოს აცნობეს, რომ ისინი ადვოკატის მიერ იქნებოდნენ წარმოდგენილნი.

183. იმავე დღეს, 2006 წ. 11 დეკემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. ლ.ბ.-ძის მიერ ო.მ.-ოვის ამოცნობასთან დაკავშირებით, სასამართლომ მისი განცხადებები უსაფუძვლოდ მიიჩნია და აღნიშნა, რომ მ.ბ.-ძემ უკვე აღიარა, რომ სწორედ იგი იყო მეოთხე თავდამსხმელი, რომელიც სასაფლაოზე ბოლოს მივიდა. დაბოლოს, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო ვერ განიხილავდა ო.მ.-ოვის მონაწილეობის საკითხს, ვინაიდან სასამართლოსათვის გადაცემულ საქმეში ო.მ.-ოვი არ ფიგურურებდა (სსსკ-ის 450-ე მუხლი).

184. 2006 წ. 29 დეკემბერსა და 2007 წ. 4 იანვარს, პირველმა განმცხადებელმა შუამდგომლობა დააყენა სააპელაციო სასამართლოს წინაშე, რათა 14 მტკიცებულების ნახვის შესაძლებლობა მოსცემოდა და კასაციის დროს საკუთარ უფლებების უკეთ დაცვა შესძლებოდა. ამ შუამდგომლობაზე მას პასუხი არ მიუღია.

185. 2006 წ. 21 დეკემბერს, პირველმა განმცხადებელმა საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურორს და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებათა განადგურების საფუძვლით, წინასწარი გამომიების დაწყება მოითხოვა იმ გამომძიებელთა მიმართ, რომელთა წარმოებაშიც იმყოფებოდა მისი შვილის საქმე. კერძოდ, იგი აცხადებდა, რომ:

- დამნაშავეთა ქმედება განზრახ არასწორად იქნა კვალიფიცირებული, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, როდესაც სინამდვილეში, მისი შვილი სსკ-ის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (ჩადენილი ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით, ანგარებით ან შეკვეთით) მსხვერპლი გახდა;

- საგამომიებო ორგანოებმა არ გაითვალისწინეს საქმის მასალების გარემოებებიდან გამომდინარე იმის შესაძლებლობა, რომ დ.ა.-აია, ვ.ს.-ძე, გ.დ.-ძე, ო.მ.-ოვი, თ.ს.-აია, თ.მ.-ძე და ა.კ.-ძე ან რომელიმე მათგანი დანაშაულის თანამონაწილე ყოფილიყო;

- შსს-ს საგამომიებო ორგანოებმა, რომლებიც წინასწარ გამოძიებას აწარმოებდნენ, 2006 წ. 28 იანვარსა და 5 მარტს შორის პერიოდში გაანადგურეს მტკიცებულებები. კერძოდ, პირველი განმცხადებლის თქმით, რომ მას შემთხვევით ჩაუკარდა ხელში 2006 წ. 31 იანვრისა და 1 თებერვლის გადაწყვეტილებები, რომელთა მიხედვითაც თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერად ცნო საგამომიებო მოქმედებები, რომელთა საფუძველზეც მობილური კომპანიებისგან მოპოვებულ იქნა ინფორმაცია ყველა სატელეფონო ზარების შესახებ, რომლებიც ა.ღ.-ავასა და მ.ბ.-ძის ტელეფონებზე და 2006 წ. 10 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით იქნა მიღებული ან განხორციელებული. თუმცა, ამ ზარების ჩანაწერები, მათი ამოღების ოქმები, გამომძიებლის შუამდგომლობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართ ამ ჩანაწერების ამოღების ნებართვის შესახებ და ზემოაღნიშნული ორი გადაწყვეტილება საქმის მასალებში არ ფიგურირებდა, რის გამოც სასამართლოს მისი განხილვის შესაძლებლობა არ მიეცა. იმის გამო, რომ ამგვარი ინფორმაცია საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა, განმცხადებელი ვარაუდობდა, რომ აღნიშნული მტკიცებულებები განადგურდა ან დამალეს. ამ მტკიცებულებების მაგივრად, თბილისის პროკურატურის გამომძიებლებმა, 2006 წ. 11 მაისს, საქმის მასალებს თან დაურთეს იგივე სატელეფონო ზარების ჩანაწერების მხოლოდ გარკვეული ნაწილი. კერძოდ, ინფორმაციის ნაწილი, რომელიც ეხებოდა 2006 წ. 28 იანვარს, დამის 01:28 და 02:58 საათებს შორის შუალედში მიღებულ და განხორციელებულ ზარებს. თუმცა, ეს არასრული ინფორმაცია ეფექტური გამოძიების მიზანს არ ემსახურებოდა.

186. მას შემდეგ, რაც გენ. პროკურორმა შუამდგომლობაზე პასუხი არ გასცა, 2007 წ. 16 თებერვალს, პირველმა განმცხადებელმა კიდევ ერთხელ შეიტანა ასეთივე საჩივარი და დაუყოვნებლივ პასუხი მოითხოვა.

187. გენ. პროკურორმა არც ამჯერად გასცა პასუხი საჩივარს.

188. 2007 წ. 11 იანვარს, პირველმა განმცხადებელმა საკასაციო წეით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს მიერ 2006 წ. 11 სექტემბრის გადაწყვეტილება და ყველა პროცესუალური განჩინება, მათ შორის, 2006 წ. 8 დეკემბრის განჩინებაც, მისთვის სხვადასხვა მტკიცებულებების გაცნობის შუამდგომლობაზე უარის თქმის შესახებ. კერძოდ, მან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და პროცესუალური განჩინებების გაუქმება და საქმის ხელახალი განხილვისთვის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნება მოითხოვა. განმცხადებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მიზანს სრული და ამომწურავი გამოძიების ჩატარება წარმოადგენდა. ეს რომ ადრე გაკეთებულიყო, დადგინდებოდა დანაშაულებრივი კავშირის არსებობა ოთხ მსჯავრდებულსა და კაფეში მყოფ მინისტრის მეუღლის მეუღლებს შორის.

189. 2007 წ. 16 თებერვალს, პირველმა განმცხადებელმა, საჩივრის განხილვის დროს, უზენაესი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა მისთვის 14 მტკიცებულების გაცნობის საშუალების მიცემის მიზნით. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ამ მტკიცებულებების გაცნობის გარეშე, იგი ვერ შეძლებდა მისი, როგორც დაზარალებულის ინტერესების დაცვას (სსსკ-ის 15 წგ 3 და 5, 69-ე მუხლის „ლ“ პუნქტი, 447§1 და 485§2 მუხლების). მისი შუამდგომლობა უპასუხოდ დარჩა.

190. ლ.ბ.-ძემ და ოთხმა მსჯავრდებულმა ასევე შეიტანა საკასაციო საჩივრები.

191. 2007 წ. 27 ივლისს, უზენაესმა სასამართლომ, როგორც ბოლო ინსტანციამ, დაადგინა, რომ ოთხი თანამდებობის პირის დამნაშავედ ცნობა სხვისი ნივთის განადგურების ნაწილში (სსკ-ის 187გ1 მუხლი) სათანადოდ არ იყო დასაბუთებული. ამ ნაწილში მსჯავრდებულები გამართლდნენ, შედეგად, თითოეულ მათგანს სასაჯელის ვადა 6 თვით შეუმცირდა, მაგრამ დანარჩენ ნაწილში, ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელი დარჩა.

192. რაც შეეხება საჩივარს მტკიცებულებების გაცნობის შესახებ შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი 1-ლი ინსტანციის სასამართლოში იქნა განხილული და მას შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი გარემოება არ წარმოქმნილა, რომელიც სსსკ-ის 553გ4 მუხლის გამოყენებას მიზანშეწონილს გახდიდა. გარდა ამისა, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები არ გასაჩივრებულა. დაბოლოს, პირველი განმცხადებლის შუამდგომლობების მიზანი ოთხი მსჯავრდებულის გარდა, სხვა პირების სამართალში მიცემაც იყო. თუმცა, სსსკ-ის 15გ5 და 439გ3 მუხლების მიხედვით, სასამართლო არ იყო სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო და მის მიერ საქმის განხილვა ტარდებოდა მხოლოდ სამართალში მიცემის სტადიაზე დადგენილი ბრალდების ფარგლებში (450-ე მუხლი).

193. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებსა და დაზარალებულებს 2007 წ. 30 ივლისს ჩაბარდათ.

##### 5. სისხლისსამართლებრივი დევნა ლ.ბ.-ძის მიმართ მართლმსაჯულებისთვის განზრახ ხელის შეშლის გამო

194. 2006 წ. 5 ივლისის სასამართლო სხდომაზე, ო.მ.-ოვის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის შემდეგ, ლ.ბ.-ძეს არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით მართლმსაჯულებისათვის განზრახ ხელის შეშლის ბრალდება წაუყენეს (სსკ-ის 371-ე მუხლი).

195. 2006 წ. 11 ივლისს, იგი ამ საქმეზე მისი ადვოკატის თანდასწრებით დაიკითხა. მან განმარტა, რომ 2006 წ. 6 მარტს, სხვადასხვა პირების ამოცნობის პროცედურის დროს (იხ. გ56 ზემოთ), მას თან არ ახლდა ადვოკატი, რომელსაც მისთვის შესაბამისი რჩევის მიცემა შეეძლო. მეორეს მხრივ, გამომძიებელმა მასზე ზეგავლენა მოახდინა იმის თქმით, რომ „ძალიან სერიოზული იქნება თუ ის შესაბამის ადამიანს არ ამოიცნობდა და ამიტომ კარგად უნდა დაფიქრებულიყო.“ ლ.ბ.-ძემ გ.ა.-იას ამოცნობა ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეძლო. სხვა ეჭვმიტანილებთან დაკავშირებით, გამომძიებელმა მას უთხრა, რომ საკმარისი იქნებოდა თუ ის მათ შორის ფიზიკურ მსგავსებას აღნიშნავდა. ლ.ბ.-ძემ გაიხსენა, რომ როდესაც იგი პარლამენტარის კაბინეტში მიიწიეს, მან თქვა, რომ ფოტოზე აღბეჭდილი მამაკაცი

ჰეთი მეოთხე პირს, რომელიც სასაფლაოზე მოგვიანებით მივიდა, მაგრამ ვინაიდან დარწმუნებული არ იყო, გადაწყვიტა, მისთვის ასეთი რამ არ დაებრალებინა. მას საკუთარი ეჭვების გაქარწყლების საშუალება არ მიეცა მანამ, სანამ ო.მ.-ოვი სასამართლოში ჩვენების მიცემის დროს არ ნახა. მხოლოდ მაშინ, ო.მ.-ოვის საუბრისა და მოძრაობის მანერით დარწმუნდა, რომ იგი ნამდვილად მეოთხე თავდამსხმელი იყო. იმისათვის, რომ საბოლოოდ დარწმუნებულიყო, მან პირველი განმცხადებლისაგან ო.მ.-ოვის დაკითხვის ვიდეოჩანაწერი ითხოვა, რომელიც, როგორც სჩანს, ფარულად იქნა ჩაწერილი. აღნიშნული ჩანაწერის რამდენჯერმე ნახვის შემდეგ, ლ.ბ.-ძემ ო.მ.-ოვი დარწმუნებით ამოიცნო. მან გაიმეორა, რომ ვერ გამორიცხავდა შესაძლებლობას, რომ სასაფლაოზე ოთხზე მეტი თავდამსხმელი ყოფილიყო, მაგრამ მან მხოლოდ ოთხი მათგანი დაინახა. ლ.ბ.-ძემ აღნიშნა, რომ მან სასამართლოში რამდენჯერმე განაცხადა, რომ არ იცოდა, ვინ იყო მ.ბ.-ძე. მან ასევე დააზუსტა, რომ 2006 წ. 6 მარტს მას არ ამოუცვნია ეს პირი, როგორც მეოთხე თავდამსხმელი (იხ. გ60 ზემოთ). მეოთხე თავდამსხმელმა მას სახეში წიხლი ჩაარტყა, თავზე და თვალთან იარაღი დაადო, მოკვლით ემუქრებოდა და იარაღის კონდახი ჩაარტყა. ამის შემდეგ, იგი ს. გირგვლიანის საცემად გაემართა და შემდეგ ისევ ლ.ბ.-ძეს მიუბრუნდა. ლ.ბ.-ძის თქმით, როდესაც ყველაფერი დამთავრდა და იგი მარტო დარჩა თავდამსხმელებთან, ო.მ.-ოვმა მეგობრებს შესთავაზა, შიშველი და ცემისგან დალურჯებული მსხვერპლისთვის მობილური ტელეფონით სურათი გადაეღოთ.

196. ამ დაკითხვის ოქმის ბოლოს აღნიშნულია, რომ ადვოკატს ლ.ბ.-ძისთვის რამდენიმე დამატებითი შეკითხვის დასმა უნოდა, მაგრამ გამომძიებელმა მას ამის უფლება არ მისცა.

197. 2006 წ. 12 ივლისს, ლ.ბ.-ძემ, როგორც ბრალდებულმა, მოითხოვა ო.მ.-ოვის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღმდეგ, რომელშიც თვითონ დაზარალებული იქნებოდა. მან ასევე მოითხოვა სამედიცინო შემოწმება, რომელიც გამოავლენდა, რამდენად სერიოზული იყო მის მიმართ 2006 წ. 28 იანვარს განხორციელებული ძალადობის შედეგები.

198. 2006 წ. 13 ივლისს, მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მართლმსაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე მისი და არა ო.მ.-ოვის მიმართ მიმდინარეობდა. მას აცნობეს პროკურატურის ორგანოებში შუამდგომლობის დაყენების უფლების შესახებ.

199. 2006 წ. 22 ივლისს, ო.მ.-ოვი საქმეზე მოწმის სტატუსით დაიკითხა. მან თქვა, რომ 2006 წ. 27 იანვარს, დაახლოებით შუაღამისას, მას სამსახურში დაურეკა დ.ა.-აიამ და სთხოვა, ჩასულიყო სამინისტროს ეზოში, რათა სამსახურეობრივი ავტომანქანით ერთად წასულიყვნენ. ისინი უკვე ქალაქში იყვნენ, როდესაც დ.ა.-აიამ მას უთხრა, რომ კაფე შარდენში, ვ.ს.-ძის დაბადების დღეზე მიდიოდა. ვინაიდან დ.ა.-აიას ტელეფონის ბატარეა დაცლილი იყო, ო.მ.-ოვმა მას საკუთარი ტელეფონი ათხოვა, რომელშიც დ.ა.-აიამ საკუთარი SIM ბარათი ჩადო. კაფეში ო.მ.-ოვმა ნახა მინისტრის მეუღლე, ადრე ნახსენები ახალგაზრდა ქალები და ვ.ს.-ძე. ო.მ.-ოვმა ალკოჰოლური სასმელი შეუკვეთა. კაფეში მისვლიდან დაახლოებით საათნახევრის

შემდეგ, მინიტრის მეუღლემ მას „კ“ ბრენდის სიგარეტის მოტანა სთხოვა, ვინაიდან ეს ბრენდი კაფეში არ იყიდებოდა. დ.ა.-აიამ მას თავისი მანქანის გასაღები მისცა. ო.მ.-ოვი ნასვამი იყო და არ უნდოდა საჭესთან დაჯდომა. შესაბამისად, გ.დ.-ძის მობილური ტელეფონით დაურევა ვ.ს.-ძის მძღოლს და წაყვანა სთხოვა. კაფედან გასვლამდე, იგი საჭირო ოთახში შევიდა. გარეთ იგი ვ.ს.-ძის მძღოლს შეხვდა, რომელმაც დ.ა.-აიას მანქანით წაიყვანა სიგარეტის მოსაძებნად. მათ სიგარეტი სუპერმარკეტ „ბ“-სთან, ღამის მორიგე გამყიდველთან შეიძინეს. ამის შემდეგ, იგი კაფეში დაბრუნდა. იგი დაახლოებით 20-25 წუთის განმავლობაში იყო წასული. ო.მ.-ოვის თქმით, ლ.ბ.-ძის 2006 წ. 5 ივლისის განცხადება სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და პირველი განმცხადებლისა და ხელისუფლების მოწინააღმდეგე აქტივისტების მიერ განხორციელებული ზეწოლის შედეგი იყო.

200. 2006 წ. 6 ივლისს, პირველმა განმცხადებელმა საჩივრით მიმართა გენ. პროკურორს და მოითხოვა ო.მ.-ოვის, როგორც მთავარი ეჭვმიტანილის დაუყოვნებლივ დაკავება და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღმვრა ლ.ბ.-ძის მიერ, 2006 წ. 5 ივლისს გაკეთებული განცხადებებისა და სსსკ-ის 22-ე, 261-ე და 263გ1 მუხლების შესაბამისად, ხოლო მას თავად დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი უნდა მიეღო. მან მოითხოვა, რომ საქმე ჩამორთმეოდა ქ. თბილისის პროკურატურას, რომელმაც ვერ უზრუნველყო გამოძიების სწორად წარმართვა და ო.მ.-ოვის საქმის გამოძიება გენ. პროკურატურას აეღო თავის თავზე.

201. 2006 წ. 11 ივლისს, მისი მოთხოვნა ქ. თბილისის პროკურატურას გადაეგზავნა, რომელმაც 2006 წ. 25 ივლისს პირველ განმცხადებელს აცნობა, რომ ლ.ბ.-ძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში გადამოწმდებოდა მის მიერ 2006 წ. 5 ივლისს გაკეთებული განცხადებების სისწორე და „ობიექტური და კანონიერი“ გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული.

202. 2006 წ. 3 აგვისტოს, პირველმა განმცხადებელმა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ლ.ბ.-ძის წინააღმდეგ აღმრული საქმის თბილისის პროკურატურისათვის ჩამორთმევა და საქმის გენ. პროკურატურის მიერ გამოძიება მოითხოვა. ეს მოთხოვნა, უსაფუძვლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა გენ. პროკურატურის პროკურორის 2006 წ. 4 აგვისტოს დადგენილებით.

203. არც პირველ განმცხადებელსა და არც მის ადვოკატს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაეგოთ თუ რა შედეგით დასრულდა მოჰყვა ლ.ბ.-ძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე. მთავრობის პასუხის მიღების შემდეგ (იხ. § 5 ზემოთ და § 294 ქვემოთ), მომჩინანა მხარემ შეიტყო, რომ საქმე გამოძიება შეწყდა.

#### 6. მსჯავრდებულთა შეწყალება და პირობითი ვადამდე გათავისუფლება

204. 2008 წ. 24 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა, 363 სხვა პატიმართან ერთად, გადაწყვიტა შეეწყალებინა გ.ა.-ია, ა.ა.-ური, ა.ღ.-ავა და მ.ბ.-ძე და გაენახევრებინა მათი სასჯელის მოუხდელი ნაწილი.

205. იმის გამო, რომ აღნიშნული შეწყალების აქტი მათთვის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას წარმოშობდა, ოთხივე მსჯავრდებულმა 2009 წ. 14 აგვისტოს, განცხადებით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამის ორგანოს და პირობით ვადამდე გათავისუფლება მოითხოვა. მათ განცხადებებზე თანდართული, სასაჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გაცემული ცნობების თანახმად, მსჯავრდებულები გამოიჩეოდნენ კარგი ყოფაქცევით (სიმშვიდე, თავაზიანობა და ციხის ადმინისტრაციასთან კარგი დამოკიდებულება) და თავისუფლების აღკვეთის პერიოდში არც ერთ მათგანს არ მიუღია რაიმე საყვედლი. მსჯავრდებულების სასარგებლოდ, 2009 წ. 21 აგვისტოს, საბჭოს მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელშიც გ.ა.-იას, ა.ა.-ურის, ა.ღ.-ავასა და მ.ბ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაული აღწერის მიზნით, აღინიშნა, რომ მათ „ურთიერთშეღაპარაკების ნიადაგზე, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მოქალაქეებს“, თბილისის საქალაქო სასამართლომ, 2009 წ. 5 სექტემბერს მიიღო გადაწყვეტილება ოთხი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნულმა პირებმა მოიხადეს 2008 წ. 24 ნოემბერს შემცირებული სასჯელის 2/3 (სსსკ-ის მუხლი 72გ8) და რომ სასამართლომ გაითვალისწინა მათი კარგი ყოფაქცევა. სასამართლოს აზრით, სასჯელის მთლიანად მოხდა საჭირო აღარ იყო მათი გამოსწორებისათვის.

#### 7. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

206. 2009 წ. 6 ივლისს, მეორე განმცხადებელმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა, რომ მისთვის მიყენებული მორალური ზიანის სანაცვლოდ, ოთხ მსჯავრდებულს 200,000 ლარი, დაახლოებით 84,000 ევრო გადაეხადა. მან განაცხადა, რომ მისი ერთადერთი შვილის მკვლელობა და სიკვდილამდე წამება იმ გაუსაძლისი ტკივილის წყარო იყო, რომელიც მას მთელი ცხოვრება თან გაჰყვებოდა.

207. მისი სარჩელის განხილვის მიზნით, მეორე განმცხადებელს 3,000 ლარის (დაახლ. 1,262 ევროს) ოდენობის სახელმწიფო ბაჟის გადახდა დაეკისრა.

208. 2010 წ. 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, 1-ლი ინსტანციის სასამართლომ, ოთხივე მოპასუხეს, სოლიდარულად, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მეორე განმცხადებლის სასარგებლოდ, 40,000 ლარის (დაახლ. 16,832 ევრო) გადახდა დააკისრა. მათვე დაეკისრათ მოსარჩელისთვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 600 ლარის (დაახლ. 254 ევროს) ანაზღაურებაც.

209. როგორც 2010 წ. 23 დეკემბერს, განმცხადებლებმა განაცხადეს და 2011 წ. 24 თებერვალს, მთავრობამაც დაადასტურა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წ. 5 თებერვლის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და აღსრულებას დაექვემდებარა.

## **II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა**

### **ა. სისხლის სამართლის კოდექსი**

210. 2006 წ. 28 აპრილის კანონით, სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე, 117-ე, 143-ე, 187-ე, 333-ე და 3711-ე მუხლებში შევიდა ცვლილებები.

კოდექსის შესაბამისი დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

#### **მუხლი 59 წე 1 და 4**

(2006 წ. 29 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციით)

„დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის.

თუ დანაშაულთა ერთობლიობა შედგება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულთაგან, ანდა ნაკლებად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთაგან, საბოლოო სასჯელის დანიშვნისას უფრო მკაცრი სასჯელი შთანთქავს ნაკლებად მკაცრს ანდა ნაწილობრივ ან მთლიანად შეიკრიბება ამ დანაშაულთათვის განსაზღვრული სასჯელები. ამასთან, დანიშნული საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღმატებოდეს ოც წელს.“

#### **მუხლი 59§1**

(2006 წ. 29 დეკემბრის რედაქციით)

„დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისათვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდება მათი შეკრება.“

სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 წე 2 და 3 მუხლის მიხედვით 117§6 მუხლითა და 143§2 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, ხოლო, ხოლო 187§1 მუხლითა და 333§1 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება.

#### **მუხლი 108 – „განზრახ მკვლელობა“**

„ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე.“

#### **მუხლი 109 (2006 წ. 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) –**

„განზრახ მკვლელობა დამამდიმებელ გარემოებებში“

„განზრახ მკვლელობა (...);

(ვ) განსაკუთრებული სისასტიკით; (...)

(თ) პირთა ჯგუფის მიერ;

(ი) ანგარებით ან შეკვეთით;

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით.“

**მუხლი 117 (2006 წ. 28 აპრილის შემდგომ მოქმედი რედაქციით, რომელიც წინამდებარე საქმეში იქნა გამოყენებული) – „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება“**

„1. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, (...), რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის (...) ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ხუთ წლამდე.“

2. იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხიდან ექვს წლამდე. (...)

5. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

(ე) ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან ცხრა წლამდე.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან ათ წლამდე.

7. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი:

(ა) ორი ან მეტი პირის მიმართ ;

(ბ) განსაკუთრებული სისასტიკით

(გ) ანგარებით ან შეკვეთით; (...)

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ცხრიდან თორმეტ წლამდე.

8. ამ მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე.“

**მუხლი 119 (გაუქმდა 2006 წ. 28 აპრილის კანონით) –**

**„ჯანმრთელობის დაზიანება სასიკვდილო შედეგით“**

„ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.“

**მუხლი 143 გვ 2 და 3 (2006 წ. 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) –**

**„თავისუფლების უკანონო აღკვეთა“**

„2. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი:

ა) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ;

გ) ორი ან მეტი პირის მიმართ;

თ) სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (...),

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

3. იგივე ქმედება, ჩადენილი:

(ა) ორგანიზებული ჯგუფის მიერ;

(ბ) რამაც გამოიწვია გაუფრთხილებლობით ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (...);

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთიდან ხუთმეტ წლამდე.“

**მუხლი 187გ1 (2006 წ. 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) –**

**„ნივთის დაზიანება ან განადგურება“**

„სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ას ოთხმოც საათამდე ან

გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.“

**მუხლი 333§1 (2006 წ. 28 აპრილამდე მოქმედი რედაქციით) –  
„სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“**

„მოხელის (...) მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ისჯება ჯარიმით (...) ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების (...) ვადით სამ წლამდე.“

**მუხლი 371<sup>1</sup> (დაემატა 2006 წ. 28 აპრილის კანონის საფუძველზე) –  
„მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემა“**

„1. მართლმასაჯულებისათვის შეგნებულად ხელის შეშლა, რაც გამოიხატა მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.  
2. იგივე ქმედება, ჩადენილი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე.“

**ბ. შესაბამის პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი  
(სსკ)**

211. სსკ-ის 62§§ 1 და 2 მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეების გამომიება ძირითადად შსს-ს პრეროგატივაა, მაგრამ ისეთი გამომიება, სადაც სხვებთან ერთად პოლიციელები, გამომძიებლები, მაღალი რანგის სამხედრო პირები ან სასჯელაღსრულების ორგანოების წარმომადგენლები არიან ჩარეულები, გენ. პროკურატურას გადაეცემა.

თუ სსკ-ის 68§2 მუხლის მიხედვით, დანაშაულს შედეგად მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის ერთ-ერთ უახლოეს ნათესავს. თუ გარდაცვლილ მსხვერპლს რამდენიმე თანაბარი უფლებამონაცვლე ჰყავს, მაშინ მემკვიდრეები ერთმანეთში უნდა შეთანხმდნენ თუ ვის უნდა მიენიჭოს დაზარალებულის სტატუსი.

სსკ-ის 347§2 მუხლი, სადაც ამოცნობაში მონაწილე დაზარალებულის ან მოწმის უფლებებია აღწერილი, არაფერს ამბობს იმის თაობაზე, შეუძლია თუ არა დაზარალებულს ან მოწმეს, აღნიშნული საგამომიებო მოქმედების შესრულების დროს, ადვოკატის დახმარებით ისარგებლოს.

სსკ-ის 498-ე და 501-504-ე მუხლების თანახმად, საქმის განმხილველ სასამართლოს საქმის განხილვა შეუძლია მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომელიც პროკურორმა საბრალდებო დასკვნაში მიუთითა და საქმის მასალებისა და საბრალდებო დასკვნის საფუძველზე გამოიტანოს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლოს არ შეუძლია საქმის დამატებითი

გამოძიებისათვის დაბრუნება თუ თავად პროკურორი, სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში თვითონ არ მიიღებს გადაწყვეტილებას განსასჯელისთვის უფრო მძიმე ბრალდების წაყენების თაობაზე.

სსსკ-ის სხვა, საქმისათვის მნიშვნელოვნებანი დებულებები შემდეგია:

#### **მუხლი 25§1**

„დაზარალებულსა და მის წარმოამდგენელს უფლება აქვთ მხარი დაუჭირონ პროკურორის მიერ ფორმულირებულ სახელმწიფო ბრალდებას.“

#### **მუხლი 69**

„დაზარალებულს (...) აქვს უფლება: (...)

- ი) მონაწილეობა მიიღოს თავისი შუამდგომლობით ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებაში;
- კ) საქმის საბრალდებო დასკვნით სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ, გაეცნოს საქმის მთელი მასალის ასლს და ნივთიერ მტკიცებულებებს; (...)
- მ) მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში: წარმოადგინოს მტკიცებულებანი და გამოიკვლიოს პროცესის სხვა მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებანი; (...)"

#### **მუხლი 261**

„დანაშაულის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამომძიებელი, პროკურორი, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, ვალდებულნი არიან დაიწონ წინასწარი გამომიება.“

#### **მუხლი 263§1**

„წინასწარი გამომიების დაწყების საფუძველია ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლებიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს ფიზიკურმა ანდა იურიდიულმა პირმა, (...), ანდა ისინი მოძიებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, აგრეთვე უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის ორგანოს მიერ საქმის გამომიებისას აღმოჩენილი ცნობები, (...).“

#### **მუხლი 439§4**

„სასამართლო უზრუნველყოფს მხარეთა მიერ მტკიცებულებების წარდგენისა და გამოკვლევისათვის საჭირო პირობებს, ამასთან, იცავს მიუკერძოებლობას (...).“

#### **მუხლი 440 წქ 1 და 3**

„საქმის განხილვისას პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა უზრუნველყოს მტკიცებულებათა უშუალო გამოკვლევა (...). საჭიროების შემთხვევაში – საჯაროდ წაიკითხოს საგამომიებო მოქმედების ოქმი და დოკუმენტები.“

წინასწარი გამომიების მასალები შეიძლება სასამართლოში გამოქვეყნდეს მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“

### **მუხლი 450**

„საქმის სასამართლო განხილვა ტარდება განსასჯელის მიმართ მხოლოდ იმ ბრალდების ფარგლებში, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროკურორმა ბრალდება შეცვალა განსასჯელის სასარგებლოდ.“

### **მუხლი 484 გვ 1 და 3**

„მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით, სასამართლო სხდომის მდივანი საჯაროდ კითხულობს წინასწარი გამოძიების დროს საქმისთვის დართულ წერილობით მტკიცებულებებსა და საგამოძიებო მოქმედების ოქმს. ამასთანავე, ირკვევა საკითხი ამ მტკიცებულებათა მიღების ხერხების, სანდოობის, შესახებობისა და დასაშვებობის თაობაზე.

მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებს საჯაროდ კითხულობენ და ურთავენ საქმეს.“

### **მუხლი 485გ2**

„წინასწარი გამოძიების დროს საქმისთვის დართულ ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე უშუალოდ სასამართლო განხილვისას მხარეთა (...) მიერ წარმოდგენილ საგანს სასამართლო ათვალიერებს სასამართლო სხდომის დარბაზში მხარეთა მონაწილეობით. (...)"

## **გ. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია მსგავსი დანაშაულების ჩადენისათვის სასჯელის დანიშვნის პრაქტიკის შესახებ**

212. მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების თანახმად, რომლებიც უზენაესი სასამართლოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებულ ოფიციალურ შემაჯამებელ სტატისტიკურ მონაცემებს ეფუძნება, 2006 წელს, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, (სსკ-ის მუხლი 117გ6), სამი პირი იქნა მსჯავრდებული, რომელთაგან თითოეულს მიესაჯა რვა წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის შემსუბუქების გარეშე.

213. იმავე წელს, 199 პირი იქნა დაკავებული თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის, რომელიც ჩადენილ იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (სსკ-ის მუხლი 143გ2), რომელთაგან 105-ს პირობითი მსჯავრი დაედო. ამ სასჯელების ხანგრძლივობა ერთიდან რვა წლამდე მერყეობდა; 78 პირს სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, 36 პირს - ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 44 პირს კი ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა. 2007 წელს, იმავე დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელთა ვადა სამიდან შვიდ წლამდე მერყეობდა.

214. 2006 წელს 32 პირი იქნა მსჯავრდებული სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის (სსკ-ის მუხლი 333გ1). მათგან 17-ს მიესაჯა

ორი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შემსუბუქების გარეშე, ხოლო 15-ს პირობითი მსჯავრი დაედო. მხოლოდ ორ შემთხვევაში ჩამოერთვათ მსჯავრდებულებს, დამატებით, თანამდებობის დაკავების უფლება.

215. სახელმწიფო ასევე წარმოადგინა მრავალი (30-ზე მეტი) განაჩენი, რომლებიც 2006 წელს იქნა გამოტანილი 1-ლი ინსტანციის სხვადასხვა სასამართლოების მიერ, მათ შორის, სხვა მუხლებთან ერთად, სისხლის სამართლის ზემოთ მითითებული სამი მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის. თუმცა, აღნიშნულ განაჩენებში არსებული დიდი მოცულობის ინფორმაცია არ იქნა წარმოდგენილი ანალიტიკური, სათანადოდ შეჯამებული ფორმით და არც ის იყო ნათელი, უცვლელად იქნა თუ არა ეს განაჩენები დატოვებული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების მიერ და, შესაბამისად, გახდა თუ არა ისინი საბოლოო თავდაპირველი სახით.

216. სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, განმცხადებლებმაც წარმოადგინეს უზენაესი სასამართლოს მიერ 2006-2008 წლებში მიღებული არაერთი გადაწყვეტილება, რომლებითაც უცვლელი დარჩა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების გამამტყუნებელი განაჩენები სსკ-ის სხვადასხვა მუხლების, მათ შორის 11786, 14382 და 33381 მუხლების შესაბამისად. ამ მოცულობითი ინფორმაციის დიდი ნაწილიც ასევე არ იქნა წარმოდგენილი ანალიტიკური, სათანადოდ შეჯამებული ფორმით და, ამდენად, გაუგებარი დარჩა მისი არსი.

217. თუმცა, ამ განაჩენებს შორის, როგორც თავად განმცხადებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, იყო სასამართლოების განაჩენი გ.ზ.-ძის საქმეზე, რომელმაც საქართველოში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. კერძოდ, როგორც შესაბამისი საქმის მასალებიდან გამოირკვა, ქუჩაში უცნობ პირთან ურთიერთშელაპარაკების დროს, 14 წლის მოზარდმა ამ უცნობს, ჯიბის დასაკეცი დანით, მარჯვენა მხარში ჭრილობა მიაყენა. მოგვიანებით ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ჭრილობა ზედაპირული ხასიათისა იყო და მას ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება არ გამოუწვევია. აღნიშნული ქმედება კვალიფიცირებულ იქნა, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა და მოზარდს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წ. 19 მარტის განაჩენით, განესაზღვრა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის შემსუბუქების გარეშე. უზენაესმა სასამართლომ, 2007 წ. 1 ნოემბრის განჩინებით, განაჩენი უცვლელი დატოვა.

## სამართალი

### I. კონვენციის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

218. კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე, განმცხადებლები ჩივიან, რომ მათი შვილი შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ იქნა მოკლული, ხოლო შესაბამისმა ორგანოებმა არ ჩაატრეს ეფექტური გამოძიება. კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად:

„1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი. სიცოცხლის ხელყოფა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შედეგად, ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

- ა) ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალდობისაგან;
- ბ) კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;
- გ) კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.“

219. აღნიშნავს რა, რომ განმცხადებელთა პრეტენზიები კონვენციის მე-2 მუხლის როგორც არსებით, ასევე პროცედურულ მხარეს ეხება, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, პირველ რიგში განიხილოს აღნიშნული დებულების პროცედურული ნაწილი.

#### ა. დასაშვებობა

220. სასამართლო აცხადებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები არ ეწინააღმდეგება კონვენციის 35-ე (§3) მუხლს. ის ასევე აცხადებს, რომ არ არსებობს დაუშვებლობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, განაცხადი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

#### ბ. არსებითი განხილვა

##### 1. რამდენად ეფექტური იყო ძკვლელობის გამოძიება

###### (ა) მთავრობის არგუმენტები

221. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელთა შვილის სიკვდილის გამოძიება სრულად აკმაყოფილებდა კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს მიუკერძოებლობისა და გულმოდგინების შესახებ. მიუკერძოებლობასთან

დაკავშირებით, მთავრობა ამტკიცებდა, რომ შსს-ს, სსსვ-ის 62-ე მუხლიდან გამომდინარე, ჰქონდა უფლებამოსილება, ჩატარებინა გამოძიება 2006 წ. 28 იანვარსა და 5 მარტს შორის პერიოდში, რადგან ამ შუალედში არ არსებობდა რაიმე, თუნდაც მცირედი ეჭვი იმისა, რომ საქმეში სამინისტროს რომელიმე თანამშრომელი ფიგურირებდა. ასეთი ეჭვი გაჩნდა მხოლოდ 2006 წ. 5 მარტს, რის შემდეგაც საქმე დაუყოვნებლივ გადაეცა პროკურატურის ორგანოებს.

222. შსს-ს მიერ ჩატარებული შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების განხორციელების წესიც კი გამორიცხავდა ყოველგვარ ეჭვს საქმის მწარმოებელი გამომძიებლების მიუკერძოებლობის შესახებ. მაგალითად, დროულად და ჯეროვნად იქნა მიღებული ყველა ზომა, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ავტომანქანის დადგენას, ხოლო, როდესაც კუდ-ის უფროსმა დ.ა.-აიამ, თავისი ერთერთი ხელქვეითისაგან, შეიტყო იმის შესახებ, რომ მის მოადგილეს გ.ა.-იას ინტერესი ჰქონდა მსგავსი ავტომანქანის, ვერცხლისფერი „მერსედეს ML“-ის მიმართ, რომელიც სხვა, ამ საქმესთან კავშირის არმქონე სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების სახით იყო ამოღებული, კუდ-ის უფროსმა, გამოიტანა რა გარკვეული ლოგიკური დასკვნები, სიფხიზლე გამოჩინა და დაუყოვნებლივ მოახსენა ამ ფაქტის შესახებ შს მინისტრს. მართლაც, როგორც შემდგომში გამოირკვა, 2006 წ. 28 იანვარს, დაახლოებით დამის 1.00 საათზე, გ.ა.-იამ, ა.ა.-ურმა და ა.ღ.-ავამ სწორედ აღნიშნული მანქანით დატოვეს შსს-ს ტერიტორია, ხოლო შესაბამისი მობილური ტელეფონების ნომრების შესახებ ინფორმაციის ამოღების შედეგად დადგინდა ის ფაქტი, რომ გ.ა.-იას მობილური ტელეფონი, დამის 2.00 და 3.00 საათს შორის შუალედში, ოქროყანის სასაფლაოს ახლოს განლაგებული ანტენების მომსახურების ზონაში მუშაობდა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაუყოვნებლივ ეცნობა შს მინისტრს, რომელმაც, თავის მხრივ, იგი გენ. პროკურორს გადასცა.

223. მთავრობისთვის ის ფაქტი, რომ გამოძიების პროცესში მოპოვებული გარკვეული მტკიცებულებები, განსაკუთრებით ინფორმაცია მ.ბ.-ძისა და ა.ღ.-ავას მიერ განხორციელებული და მიღებული სატელეფონო ზარების შესახებ, რომელიც სასამართლოს 2006 წ. 31 იანვრისა და 1 თებერვლის ბრძანებების საფუძველზე იქნა ამოღებული (იხ. გ185 ზემოთ), საბოლოო ჯამში, არ დაერთო სისხლის სამართლის საქმეს, არ წარმოადგენდა გამოძიების მიუკერძოებელი და ყოვლისმომცველი ხასიათის დამაკანინებელ გარემოებას. ამის მიზეზი ის იყო, რომ, ჯერ ერთი, მტკიცებულებები, რომლებიც საქმეს არ დაერთო, არ იყო მნიშვნელოვანი ამ საქმის განხილვისათვის და, მეორეც, არასდროს იყო გვიანი ამ ინფორმაციის ხელახლა მოპოვება, რადგან მონაცემები შესაბამისი სატელეფონო ზარების შესახებ შესაბამისი მობილური სატელეფონო კომპანიების მონაცემთა ბაზებში ინახებოდა.

224. ასევე, მთავრობის მტკიცებით, ყველა პირი, რომელთანაც ოთხ დამნაშავეს, 2006 წ. 28 იანვარს, დამის 12.00 და დღის 15.00 საათებს შორის შუალედში, სატელეფონო კავშირი ჰქონდა, სათანადო წესით იქნა დადგენილი და დაკითხული. მაგრამ, ვინაიდან ამ პირების მონაწილეობა დანაშაულში არ გამოიკვეთა, მათი დაკითხვის ოქმები ცალკე, კონფიდენციალურ „ოპერატიულ დოსიეში“ იქნა

დაარქივებული, რადგან მათი გასაჯაროება ეწინააღმდეგებოდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კანონიერ მოთხოვნებს.

225. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ განმცხადებელთა შეშფოთება იმის თაობაზე, რომ 2006 წ. 8 და 23 მარტს შორის პერიოდში ოთხი ბრალდებულის სასჯელაღსრულების მე-7 დაწესებულების ერთ საკანში მოთავსებამ ხელი შეუშალა საქმეზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას, აშკარად უსაფუძვლო იყო. მათი ერთ საკანში მოთავსება აუცილებელი იყო იმ დროს, იმ დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისა და თავისუფალი საკნების სიმცირის გამო. იმ პოლიტიკური სკანდალიდან გამომდინარე, რომელიც ქვეყანაში განმცხადებლების შვილის გარდაცვალებას მოჰყვა, ბრალდებულების სასჯელაღსრულების რომელიმე სხვა დაწესებულებაში მოთავსება არ შეიძლებოდა, რადგან მხოლოდ მე-7 დაწესებულებაში იყო შესაძლებელი, იქ დაწესებული განსაკუთრებით მკაცრი უსაფრთხოების რეჟიმის გამო, ბრალდებულებისათვის სათანადო დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ბრალდებულებს ვერც სხვა საკნებში, სხვა პატიმრებთან ერთად შეასახლებდნენ, რადგან ამ საკნებში ყველა პატიმარი მაფიის ხელმძღვანელი იყო, რაც სამართალდამცავი ორგანოების დაკავებული თანამშრომლებისათვის აშკარა საფრთხეს წარმოადგენდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობის განცხადებით, ოთხივე ბრალდებული 2006 წ. 6 მარტს დაიკითხა, რაც წინ უსწრებდა 8 მარტს, როდესაც ისინი ერთ საკანში იქნენ მოთავსებულნი. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო ვინმეს გამოეთქვა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ოთხმა ბრალდებულმა თავიანთი ჩვენებები საკანში ყოფნის დროს შეათანხმეს ერთმანეთთან, რადგან ისინი, მთელი პროცესის განმავლობაში, დუმილს ინარჩუნებდნენ.

226. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ განმცხადებელთა მტკიცება, რომ დანაშაულის ჩადენაში „გარკვეული სხვა“ პირები მონაწილეობდნენ, სრულიად უსაფუძვლო იყო. სინამდვილეში, ჯეროვნად იქნა გამოვლენილი და დაკითხული ყველა პირი, ვისაც პირდაპირი ან არაპირდაპირი შეხება ჰქონდა დანაშაულის ირგვლივ არსებულ გარემოებებთან; ამ პირების ერთმანეთთან შეთავსებადი განცხადებები შეესაბამებოდა სხვა მტკიცებულებების საფუძველზე დადგენილ გარემოებებს. გარდა ამისა, მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სათანადო ორგანოები იმდენად ყურადღებით მოეკიდნენ თავიანთ მოვალეობებს ჭეშმარიტების ძიებაში, რომ მათ საპროცესო შეთანხმებაც კი შესთავაზეს ოთხ დამნაშავეს, რათა ამ გზით გამოევლინათ სხვა პოტენციური ეჭვმიტანილები.

227. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ ლ.ბ.-ძეს ამოცნობის პროცედურების დროს ადვოკატი იმ მიზეზით არ ეხმარებოდა, რომ მან თავად განაცხადა უარი ამ უფლების გამოყენებაზე, ხოლო შესაბამისი შიდასამართლებრივი ნორმა (სსსკ-ის 347-ე მუხლი) არ ავალდებულებდა სახელმწიფოს, უზრუნველეყო მისთვის, როგორც დაზარალებულისათვის, სავალდებულო იურიდიული დახმარება.

228. რაც შეეხება განმცხადებელთა შესაძლებლობას, გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს და მონაწილეობა მიეღოთ საგამოძიებო მოქმედებებში,

მთავრობამ აღიარა, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე მათ, როგორც დაზარალებულებს, ასეთი უფლება მართლაც არ გააჩნდათ. თუმცა, მთავრობამ განცხადა, რომ მხარეთა თანასწორობის პრინციპი ამ პირების სტატუსს არ ეხებოდა, რადგან აღნიშნული პრინციპი მხოლოდ დაცვისა და ბრალდების მხარეებზე ვრცელდებოდა და არა დაზარალებულებზე. მთავრობის განმარტებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სისტემა არ წარმოადგენდა „ბოროტმოქმედის მიმართ მსხვერპლის შურისძიების სისტემას“; ბოროტმოქმედი პასუხის აგებდა არა მსხვერპლის, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე. აქედან გამომდინარე, მსხვერპლის ინტერესებს პროკურორის ინტერესები მოიცავდა, რომლის მონაწილეობა საქმეში საკმარისი იყო კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მსხვერპლის უფლებების დასაცავად.

229. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსხვერპლს, მას შემდეგ, რაც ის დაზარალებულის სტატუსს შეიძენდა, ასევე შეეძლო მოეთხოვა გარკვეული საპროცესო უფლებების განხორციელება, მათ შორის ისეთების, როგორებიცაა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება და ჭეშმარიტების დადგენაში პროკურორისთვის დახმარების გაწევა. მაგრამ დაზარალებულის უფლებები არ შეიძლებოდა გათანაბრებულიყო პროცესის ძირითადი მხარეების - ბრალდებულისა და პროკურორის უფლებებთან. მოცემულ საქმეში, პირველმა განმცხადებელმა, შეიძინა რა დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, მოიპოვა უფლება, წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები, მონაწილეობა მიეღო წარდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევაში, დაეყენებინა სხვადასხვა სახის საპროცესო შუამდგომლობები, მათ შორის შუამდგომლობა გამოძიებისაგან გარკვეული სახელმწიფო მოხელეების ჩამოშორების შესახებ, გამოეთქვა თავისი აზრი ნებისმიერ საკითხზე, რომელსაც შეხება ჰქონდა გამოძიებასთან და სხვა. სახელმწიფომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ ანიჭებდა გარდაცვლილის ნათესავებს უფლებას, წინასწარი გამოძიების ეტაპზე ჰქონდათ შეუზღუდავი უფლება, გაცნობოდნენ საქმის მასალებს მთლიანად და, ამასთანავე, ის ფაქტი, რომ მოცემულ საქმეში პირველ მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სასამართლოში საქმის განხილვის სტადიაზე გაცნობოდა საქმის მასალებს მთლიანად, ეფექტიანი გამოძიების მიზნებისათვის საკმარისი ზომა იყო.

230. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ მართალია, განმცხადებლებს არ მიუწვდებოდათ ხელი 14 მტკიცებულებაზე, მაგრამ რეალურად, ამ გარემოებას პრობლემა არ შეუქმნია, რადგან საქმის სასამართლოში განხილვის დროს მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ ყველა იმ საგამოძიებო მოქმედების ოქმს, რომელიც ვიდეოფირზე აღიბეჭდა.

231. დაბოლოს, მთავრობის განცხადებით, მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელები მათ მიერ ჩადენილი დანამაულების სიმძიმის თანაზომიერი იყო, მითუმეტეს, რომ მათ ასევე ჩამოერთვათ, გათავისუფლების შემდეგ გარკვეული წლების განმავლობაში, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლებაც. მთავრობამ ასევე განმარტა, რომ 2006 წელს, სამსახურეობრივი

უფლებამოსილების გადამეტებისათვის სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მსჯავრდებულ პირებს შორის მხოლოდ ერთს ჩამოერთვა საჯარო სასამხურში თანამდებობის დაკავების უფლება (იხ. გ214 ზემოთ).

### (ბ) განმცხადებელთა არგუმენტები

232. განმცხადებელთა თქმით, სსკ-ის 62გ2 მუხლის თანახმად, შსს-ს არ უნდა ჩაეტარებინა გამოძიება საქმის საწყის სტადიაზე, რადგან არსებობდა ეჭვი, რომ დანაშაულის ჩადენაში სამინისტროს მაღალჩინოსნები მონაწილეობდნენ. საქმის გარემოებები ადასტურებს, რომ ყველაზე გვიან, 2006 წ. 31 იანვარს მაინც, სამინისტროს უკვე ჰქონდა ეჭვი, რომ მისი გარკვეული თანამშრომლები, კერძოდ, გ.ა.-ია, ა.ღ-ავა და მ.ბ.-ძე დანაშაულის მონაწილეები იყვნენ. განმცხადებელთა აზრით, ჯეროვანი ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის აშკარა უქონლობასთან ერთად, გამოძიებას აკლდა გულმოდგინება შემდეგი მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო.

233. პირველ რიგში, განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულის ღამეს კაფე „შარდენში“ შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის თითოეული წევრის მიერ მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული და მიღებული ზარების შესახებ ინფორმაცია, სრული სახით, საგამოძიებო ორგანოებს არასდროს ამოუღიათ. მათ ასევე სავალალოდ მიიჩნიეს ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალებს თან დაერთო ოთხი მსჯავრდებულის მიერ განხორციელებული და მიღებული ზარების მხოლოდ შერჩეული ნაწილი და, რომ გამოძიებამ საერთოდ არ მიიჩნია საჭიროდ თბილისი-კოჯრის გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის მიერ ღამის 3.00 საათის შემდეგ დაფიქსირებული ფაქტების ამსახველი ვიდეოჩანაწერის ამოღება. ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ საქმეს თან დართვოდა აღნიშნული დროის შემდეგ განხორციელებული ჩანაწერებიც, რათა დადგენილიყო, ხომ არ ავიდა შემთხვევის ადგილზე, მტკიცებულებების განადგურების მიზნით, შსს-ს რომელიმე წარმომადგენელი. განმცხადებლებმა ასევე განცახადეს, რომ გამოძიებამ არ დაადგინა, თუ ვინ იყო 8-77-79-89-60 ტელეფონის ნომრის მფლობელი, რომელთანაც იმ ღამეს რეგულარულ კონტაქტში იყვნენ არა მხოლოდ ოთხი მსჯავრდებული, არამედ კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის გარკვეული წევრებიც. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ ნომერზე დარეკა გ.ა.-იამ ღამის 2.12 საათზე, ანუ ძალიან მალე მას შემდეგ, რაც სანდრო გირგვლიანი და ლ.ბ.-ძე გაიტაცეს.

234. განმცხადებლებმა სასამართლოს ყურადღება ასევე მიაპყრეს იმ ფაქტს, რომ კაფე „შარდენის“ დაცვის თანამშრომლებმა არ დაადასტურეს, რომ შეამჩნიეს კაფეს შესასვლელში მათ შვილსა და გ.ა.-იას შორის რაიმე ინციდენტი. უფრო მეტიც, ვინაიდან დადგენილი ფაქტია, რომ ო.მ.-ოვმა კაფე ზუსტად იმ დროს დატოვა, როდესაც კაფედან სანდრო გავიდა, იგი მაინც უნდა შესწრებოდა ასეთ ინციდენტს. ასევე არ იყო დამარწმუნებელი განცხადებები იმის თაობაზე, რომ ო.მ.-ოვმა კაფე

მინისტრის მეუღლისთვის სიგარეტის შესაძენად დატოვა, რადგან საღამოს დასაწყისში, მინისტრის მეუღლეს ორი კოლოფი სიგარეტი ჰქონდა და ორი საათი ნამდვილად არ იყო საკმარისი დრო იმისთვის, რომ მას მთელი სიგარეტი მოეწია.

235. განმცხადებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ოთხივე ბრალდებული გამომიების საწყის სტადიაზე, 15 დღის განმავლობაში, ერთ საკანში იყო მოთავსებული. ამ უკანონ მოქმედებამ მათ მისცა შესაძლებლობა, ერთმანეთთან შეეთანხმებინათ თავიანთი ცრუ ვერსიები. გარდა ამისა, საპყრობილის ადმინისტრაციის მიერ მათთვის გამორჩეული კომფორტის უზრუნველყოფა ასევე შეიძლებოდა ახსნილიყო, როგორც მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავდა მათ სტიმულირებას, არ გაემხილათ ჭეშმარიტება.

236. როგორც განმცხადებლებმა ასევე აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ლ.ბ.-ძემ არაერთხელ დასახელა ო.მ.-ოვი, როგორც ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ განხორციელებულა. საგამომიებო ორგანოებმა უარი თქვეს, შეემოწმებინათ მეორე ვერსია, რომლის თანახმადაც გ.ა.-იას განმცხადებელთა შვილთან არავითარი დამოუკიდებელი ინციდენტი არ ჰქონია, არამედ გამოძახებულ იქნა შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მიერ იმ მიზნით, რათა სანდრო გირგვლიანი გ.დ.-ძის შეურცხყოფისათვის დაესაჯა. განმცხადებლებმა ძლიერი წუხილი გამოხატეს იმის გამო, რომ საგამომიებო ორგანოებმა არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება ამ ძალზე სერიოზულ განცხადებას.

237. წუხილის კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი იყო ის, რომ განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, პროცესის რომელიმე ეტაპზე გაცნობოდნენ 14 მტკიცებულებას. სახელმწიფოს ამგვარი ქმედება არამხოლოდ უკანონო იყო (იხ. სსსკ-ის 69-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი, 439§4 მუხლი, 440 -ე მუხლი და 485§2 მუხლი), არამედ ართმევდა მათ შესაძლებლობას, გამოევლინათ და ემტკიცებინათ წინააღმდეგობები სხვადასხვა საგამომიებო მოქმედებების ვიდეოჩანაწერებსა და ამავე საგამომიებო მოქმედებების ოქმებს შორის. უფრო მეტიც, არსებობდა აშკარა მინიშნებები იმაზე, რომ გამომმიებლებმა, რომელთა წარმოებაშიც იმყოფებოდა საქმე, გაანადგურეს მნიშვნელოვანი მტკიცებულებები. მაგალითად, მართალია, ცნობილი იყო, რომ 2006 წ. 31 იანვარს გამომმიებლებმა მოიპოვეს 2006 წ. 10 და 31 იანვარს შორის პერიოდში ა.ღ-ავასა და მ.ბ.-ძის მიერ განხორციელებული და მიღებული სატელეფონო ზარების შესახებ მონაცემები, რომლებიც შიდა სასამართლოების მიერ კანონიერ მტკიცებულებებად იქნა ცნობილი, ეს მონაცემები არასდროს დართვია სისხლის სამართლის საქმის მასალებს. განმცხადებლებისთვის კი ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ინფორმაციას, რადგან მის საფუძველზე მათ შეეძლოთ გაექარწყლებინათ გამომიების ოფიციალური ვერსია დანაშაულის ჩადენაში ამ ორი პირის მონაწილეობის შესახებ.

238. მთავრობის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ გამომიების პროცესში პროკურატურის უფლებამოსილებები ვერ იქნებოდა კომპენსაცია დაზარალებულის მიერ საკუთარი საპროცესო უფლებების გამოყენების შეუძლებლობის სანაცვლოდ. ჯერ ერთი, ვერაფერი გამოასწორებდა

განმცხადებელთათვის გამოძიების ეტაპზე საქმის მასალების ხელმიუწვდომლობას, რის გამოც მათთვის სრულიად უცნობი იყო, თუ რა პროგრესი იქნა მიღწეული გამოძიების მსვლელობის დროს, ამიტომ ისინი სრულიად მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზეც, შიდა სასამართლოებმა მათ არ მისცეს საკმარისი დრო და საშუალებები საქმის სრულად შესწავლისათვის. უფრო მეტიც, აშკარა იყო, რომ პროცესის განვითარება არასდროს ყოფილა განმცხადებელთა მხარეზე, რადგან იგი მუდმივად უარს აცხადებდა დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებისა და სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის ნებართვის შესახებ მათი მრავალრიცხოვანი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. პირიქით, საქმის შესაბამისი გარემოებები აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ პროცესის განვითარება მსჯავრდებულებთან ერთად, დაზარალებულების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტი შექმნა.

239. განმცხადებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მათი შვილის მკვლელობა შიდა სასამართლოების მიერ კვალიფიცირებული უნდა ყოფილიყო, როგორც განზრახ მკვლელობა დამამდიმებელ გარემოებებში (სსკ-ის 109-ე მუხლი) და არა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. სანდრო გირგვლიანის სხეულზე აღმოჩენილი დაზიანებების ხასიათი აშკარად მიუთითებდა, რომ ბოროტმოქმედთა მიზანი იყო, მოეკლათ მსხვერპლი, მისთვის დანით ჭრილობის მიყენების გზით. მოკვლის განზრახვა ასევე ნათელი იყო იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი ორივე მსხვერპლს პისტოლეტით ემუქრებოდა და გასროლაც განახორციელა. განმცხადებლებმა ისიც განაცხადეს, თუმცა შემდგომი განმარტებების გარეშე, რომ 2006 წ. 28 აპრილს, სსკ-ში შეტანილი ცვლილებები და დამატებები ოთხი მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემსუბუქების მიზანს ემსახურებოდა. მათ ასევე განაცხადეს, რომ მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელები აშკარად არასაკმარისი იყო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან შედარებით. აღნიშნეს რა, რომ მსჯავრდებულებს, დამატებითი სასჯელის სახით, არ ჩამოერთვათ მომავალში საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ გამორიცხული არ იყო, მკვლელებს ერთ მშვენიერ დღეს კვლავ დაეკავებინათ თანამდებობა საჯარო სამსახურში.

240. დაბოლოს, მიუთითეს რა საქმის სხვადასხვა ტომებში დაცულ სხვადასხვა დოკუმენტებზე და წარმოადგინეს რა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომების ვიდეოჩანაწერები, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ არსებობდა სხვადარღვევებიც გამოძიების პროცესში და რომ სასამართლოში საქმის განხილვა არასამართლიან პირობებში მიმდინარეობდა.

## გ) სასამართლოს შეფასება

### i. ზოგადი პრინციპები

241. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი ნორმების დაწესების გზით, რათა აღკვეთოს პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, რასაც ზურგს უნდა უმაგრებდეს სამართალდამცავი სისტემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ასეთი ნორმების დარღვევის პრევენცია, დამრღვევთა გამოვლენა და დასჯა. იგი ასევე შეიცავს ნაგულისხმევ მოთხოვნას, რომ როდესაც ადგილი აქვს პირის მკვლელობას, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ეფექტიანი ოფიციალური გამოძიება. ასეთი გამოძიების ჩატარების ვალდებულება წარმოიშობა ყველა შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მკვლელობას და სხვა საეჭვო გარემოებებში გარდაცვალებას, განურჩევლად იმისა, ბოროტმოქმედები კერძო პირები იყვნენ, სახელმწიფოს წარმომადგენლები, თუ უცნობი პირები (იხ. Angelova and Iliev v. Bulgaria, no. 55523/00, § 92, ECHR 2007-IX, and Rantsev v. Cyprus and Russia, no. 25965/04, § 232, ECHR 2010-... (ამონარიდები)).

242. გამოძიება იმ თვალსაზრისით უნდა იყოს ეფექტიანი, რომ მის საფუძველზე შესაძლებელი უნდა გახდეს შესაბამისი ფაქტების დადგენა, დამნაშავე პირების გამოვლენა და დასჯა. სახელმწიფო ორგანოებს მართებთ, მიიღონ მათთვის შესაძლებელი გონივრული ზომები, რათა უზრუნველყონ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულების დაცვა. გამოძიების დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს ყველა შესახები ელემენტის გულმოდგინე, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. უფრო მეტიც, კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნები სცილდება ოფიციალური გამოძიების ეტაპს, თუ ამ უკანასკნელის შედეგად საქმის განხილვა შიდა სასამართლოებში გრძელდება: მთელი პროცესი, მათ შორის საქმის სასამართლოში განხილვის სტადიაზეც, უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს, რომლებიც მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, კანონის მეშვეობით დაიცვას ადამიანის სიცოცხლე. მართალია, არ არსებობს აბსოლუტური ვალდებულება, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მსჯავრდებით ან მისთვის კონკრეტული სასჯელის შეფარდებით დასრულდეს, ნებისმიერი ხარვეზი გამოძიებაში, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს, დაადგინოს საქმის გარემოებები ან დანაშაულის ჩამდენი პირი, იმის მანიშნებელია, რომ არ იქნა უზრუნველყოფილი ეფექტიანობის სათანადო ხარისხი. ეროვნულმა სასამართლოებმა არცერთ შემთხვევაში არ უნდა დაუშვან, რომ სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები დაუსჯელი დარჩეს (იხ. Mojsiejew v. Poland, no. 11818/02, § 53, 24 March 2009, and Esat Bayram v. Turkey , no. 75535/01, § 47, 26 May 2009).

243. იმისათვის, რომ გამოძიება ეფექტიანი იყოს, გამოძიებაზე პასუხისმგებელი და მისი წარმმართველი პირები დამოუკიდებელნი და

მიუკერძოებელნი უნდა იყვნენ, როგორც სამართლის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ არამხოლოდ არ უნდა არსებობდეს იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირი მოვლენების მონაწილე პირებთან, არამედ ისინი პრაქტიკულადაც დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. ეფექტიანი გამოძიება, რომელსაც მოითხოვს მე-2 მუხლი, განამტკიცებს საზოგადოების რწმენას, რომ ხელისუფლებას ძალუძს უზრუნველყოს სამართლის უზენაესობა, რათა აღვეთოს უკანონო ფარული გარიგებების ნებისმიერი გამოვლინება ან მართლსაწინააღმდეგო ქმედებების მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება და როდესაც საქმეში სახელმწიფოს წარმომადგენლების ან სახელმწიფო ორგანოების ხელი ურევია, უზრუნველყოს, რომ მათ პასუხი აგონ თავიანთი ქმედებებისათვის, რომლებსაც შედეგად ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. ყველა შემთხვევაში, მსხვერპლის ახლო ნათესავი ჩაბმული უნდა იყოს პროცესში, თანაც იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად (იხ., მაგ., Ramsahai and Others v. the Netherlands [GC], no. 52391/99, გვ. 321-332, ECHR 2007-...; Khaindrava and Dzamashvili v. Georgia , no. 18183/05, გვ. 59-61, 8 June 2010; Tahsin Acar v. Turkey [GC], no. 26307/95, გვ. 222-225, ECHR 2004-III, and Güleç v. Turkey, 27 July 1998, გვ. 82, Reports of Judgments and Decisions 1998-IV).

## ii. აღნიშნული პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

244. უდავოა, რომ გამოძიება განმცხადებელთა შვილის სიკვდილის გარემოებების გამოსარკვევად ნამდვილად ჩატარდა. მაგრამ საქმის შესაბამისი გარემოებების ჯეროვანი შეფასების საფუძველზე, სასამართლოს გაუჩნდა ძალზე სერიოზული წუხილი ამ გამოძიების კეთილსინდისიერებისა და ეფექტიანობის თაობაზე, რისი გაქარწყლებაც სახელმწიფომ ვერ მოახერხა ვერც წერილობითი და ვერც ზეპირი განმარტებებით.

(ა) გამოძიების იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შსს-ს მიერ ჩატარდა

245. სასამართლო აღნიშნავს, რომ შსს-ს მიერ მიღებულმა პირველივე ზომებმა, რომლებიც 2006 წ. 28 იანვარს სანდორ გირგვლიანის გვამის აღმოჩენის შემდეგ განხორციელდა, შემდეგი ორი ფაქტი გამოავლინა - რომ გარდაცვლილი და ლ.ბ.ძე კაფე „შარდენში“ იმავე დროს იმყოფებოდნენ, როდესაც იქ შს მინისტრის მეუღლის მეგობრები იყვნენ შეკრებილნი, რომელთა უმრავლესობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირებს წარმოადგენდა და რომ კაფედან გარეთ გასვლის შემდეგ, ორ მსხვერპლს თავს დაესხნენ უცნობი პირები, რომლებიც ისე იქცეოდნენ, როგორც პოლიციელები (იხ. ლ.ბ.-ძისა და კაფეს თანამშრომლების ჩვენებები, რომლებიც მათ გამომძიებელს 2006 წ. 28, 29 და 30 იანვარს მისცეს, ზემოთ

§§ 24-30, 33 და 35). უფრო მეტიც, თ.მ.-ძის - სანდრო გირგვლიანის მეგობარი ქალის, რომელიც წარმოადგენდა უშუალო მეკავშირეს სანდრო გირგვლიანსა და კაფეში მყოფ შს მინისტრის მეუღლის მეგობრებს შორის - ადრეულმა განცხადებებმა, აგრეთვე გამომძიებლის მოულოდნელმა ინტერესმა შესაბამის პერიოდში გ.ა.-იას მიერ განხორციელებული და მიღებული სატელეფონო ზარების მიმართ აჩვენა, რომ ყველაზე გვიან 2006 წ. 31 იანვარს მაინც, გამომძიებელმა უკვე იცოდა, რომ არსებობდა კაშშირი განმცხადებელთა შვილსა და ზემოხსენებულ ჯგუფს შორის და მას ჰქონდა გარკვეული საფუძველი, ეჭვი მიეტანა კუდ-ის უფროსის პირველ მოადგილე გ.ა.-იაზე (იხ. გვ. 40 და 41 ზემოთ). გარდა ამისა, როგორც განმცხადებლებმა განაცხადეს და შემდგომში სახელმწიფომაც დაადასტურა, 31 იანვარსა და 1-ლ თებერვალს გამომძიებელმა ასევე ამოიღო იმ ტელეფონის ნომრების ნუსხა, რომლებიც კავშირში იყო ა.ღ.-ავასა და მ.ბ.-ძის ნომრებთან, რომელი ფაქტიც ადასტურებს, რომ იმ დროისთვის გამომძიებელს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდა გარკვეული ეჭვი სამართალდამცავი ორგანოს იმ ორი თანამშრომლის მიმართაც (იხ. გვ. 185 და 223 ზემოთ).

246. მაგრამ, აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, რომლებიც გამომძიების უკვე საწყის ეტაპზე შს-ს წარმომადგენლების გარკვეულ როლზე მიანიშნებდა, აღნიშნული ორგანო, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, 2006 წ. 5 მარტამდე, კვლავ გამომძიების მწარმოებელ ორგანოდ რჩებოდა (იხ. გვ. 49 ზემოთ). აღნიშნული პერიოდის განმავლობაში სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი საგამომძიებო მოქმედება განახორციელა, როგორებიცაა შესაბამისი მოწმეების დაკითხვა, შესაბამის დროს თბილისში განლაგებული ანტენების მომსახურების ზონაში მომუშავე მობილური სატელეფონო ნომრების შესახებ მონაცემების შეგროვება, მათ შორის, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმ ნომრების შესახებაც, რომლებიც სამინისტროს ხსენებულ თანამშრომლებს ეკუთვნოდა, თბილისი-კოჯრის გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერების ამოღება, რომელმა მტკიცებულებამაც შემდგომში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ო.მ.-ოვის სავარაუდო მონაწილეობის შემოწმების მიზნისათვის, და სხვა (იხ. გვ. 48 ზემოთ).

247. ამგვარი ინსტიტუციური კავშირი და, უფრო მეტიც, იერარქიული სუბორდინაცია საქმეში მონაწილე შს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და საქმის მწარმოებელ გამომძიებლებს შორის, კიდევ უფრო გამაონებელი ხდება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დ.ა. -აია, კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის წევრი და, ამავე დროს გ.ა.-იას უშუალო უფროსი, მოგვიანებით გახდა პირი, რომელიც ხელმძღვანელობდა სამინისტროში სანდრო გირგვლიანის სიკვდილის გარემოებების გამომძიებას. ასეთი ინტერესთა კონფლიქტის უმართლობას, სასამართლოს აზრით, კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ ეს გარემოება საზოგადოებისთვის დამალული იყო: გამომძიებაში დ.ა.-აიას მონაწილეობის შესახებ მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები სამინისტროს 2006 წ. 24 თებერვლით დათარიღებულ პატაკში, რომელიც იმ დროს საიდუმლო, შიდასაორგანიზაციონ დოკუმენტი იყო (იხ. გვ. 10 და 50-52 ზემოთ).

248. აღნიშნული პატაკის შინაარსი ასევე ადასტურებს, რომ მინიმუმ 2006 წ. 2 თებერვალს მაინც დ.ა.-აიამ უკვე იცოდა, რომ დანაშაულში შესაძლოა მისი კოლეგები მონაწილეობდნენ, თუმცა, ამის მიუხედავად, მან არ აიცილა თავი საქმის გამოძიებისაგან. უფრო მეტიც, თუ დ.ა.-აიას განცხადებებს დაუჯერება, სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ თვით შე მინისტრმაც კი, მას შემდეგ, რაც შეიტყო, რომ ამ საქმესთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონოდათ მის ხელქვეითებს და, შესაძლოა მის მეუღლესაც, დაუყოვნებლივ არ გადასცა სისხლის სამართლის საქმე სხვა უწყებას, რაც შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი პროფესიონალური და წინდახედული გადაწყვეტილება იქნებოდა, არამედ, პირიქით, დ.ა-აიას გამოძიების გაგრძელება დაავალა (იხ. გ 116 ზემოთ).

249. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ 2006 წ. 26 იანვრიდან 5 მარტამდე პერიოდში, როდესაც გამოძიებას აწარმოებდა შეს, რომელი პერიოდის განმავლობაშიც განხორციელდა გადამწყვეტ მტკიცებულებათა შეგროვება, გამოძიებას აშკარად აკლდა ჯეროვანი დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა გამოძიების შემდგომ მსვლელობაზე (იხ., როგორც უახლესი პრეცედენტი, Kolevi v. Bulgaria, no. 1108/02, გვ 208 and 212, 5 November 2009).

(ვ) გამოძიების იმ ნაწილის შესახებ, რომელიც ქ. თბილისის პროკურატურის მიერ ჩატარდა

250. გადააქვს რა ყურადღება იმ გარემოებებზე, რომლებიც ეხება ქ. თბილისის პროკურატურაში ჩატარებულ გამოძიებას, სასამართლოს მიიჩნევს, რომ ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დარღვევა, რომელიც ამ ორგანომ დაუშვა, არის მისი ჯიუტი უარი, ნება დაერთო განმცხადებლებისთვის, მონაწილეობა მიეღოთ მნიშვნელოვან საგამოძიებო მოქმედებებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამას დაბეჯითებით ითხოვდნენ. სამწუხაროა, რომ შესაბამისი შიდა კანონმდებლობისა და პრაქტიკის თანახმად (იხ. სსსკ-ის 69-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი), წინასწარი გამოძიების ეტაპზე განმცხადებლებს არ მიუწვდებოდათ ხელი სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ არც კი შეატყობინა მათ თუ რა დასკვნებამდე მივიდა ის იმ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, რომლებიც მათ გარეშე ჩატარდა (იხ., მაგ., გვ 94-97, 137 და 138 ზემოთ). ამან განაპირობა ის, რომ წინასწარი გამოძიების მიმდინარეობის პროცესში განმცხადებლები სრულ ვაკუუმში იმყოფებოდნენ, რის გამოც მათ აშკარად წაერთვათ შესაძლებლობა, დაეცვათ საკუთარი კანონიერი საპროცესო უფლებები, როცა კი გამოძიება დასრულდა (იხ. Slimani v. France, no. 57671/00, გვ 44 და 46-48, ECHR 2004-IX (ამონარიდები); Orhan v. Turkey, no. 25656/94, გ 346, 18 June 2002; Beker v. Turkey, no. 27866/03, გ 49, 24 March 2009 და ზემოთ მითითებული Güleç, გ 82).

251. სასამართლო აღნიშნავს, რომ არც მეორე დაზარალებულს - ლ.ბ.-ძეს მისცემია შესაძლებლობა, ეფექტიანი მონაწილეობა მიეღო საგამოძიებო

მოქმედებებში, რადგან, გარდა იმისა, რომ მას არ ჰყავდა კვალიფიციური ადვოკატი, წინასწარი გამოძიების ეტაპზე არც მას მიუწვდებოდა ხელი საქმის მასალებზე. თუმცა, რადგან იგი დანაშაულის შემდეგ ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი პირი და დანაშაულის უშუალო თვითმხილვები იყო, ლ.ბ.-ძე იყო განსაკუთრებული, უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყარო. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს გააჩნდათ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ვალდებულება, მიეღოთ ქმედითი ზომები, რათა უზრუნველეყოთ იგი ყველა აუცილებელი საშუალებით, რომელიც მას თავისი საპროცესო უფლებების სრულად და ეფექტურად რეალიზაციის შესაძლებლობას მისცემდა.

252. წინასწარი გამოძიების პროცესში ლ.ბ.-ძის უმწეო მდგომარეობის თვალსაჩინო მაგალითია შემდეგი ეპიზოდი. არ იცოდა რა იმ დროისთვის თუ რა მტკიცებულებები მოიპოვებოდა სისხლის სამართლის საქმის მასალებში, კერძოდ ბრალდებულ გ.ა-იას თეორია, რომ მისი კონფლიქტი სანდრო გირგვლიანთან კაფე „შარდენის“ შესასვლელში დაიწყო, ლ.ბ.-ძეს, ცხადია, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის, ზუსტად გაეხსენებინა, კაფედან იგი სანდრო გირგვლიანთან ერთად გამოვიდა თუ ცალკე, და ასევე ისიც, დაინახა თუ არა მან, რომ კაფედან გამოსვლისას, მის მეგობარს ვიღაცასთან ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა. აქედან გამომდინარე, ლ. ბ-ძე სრულიად მოუმზადებელი იყო ამ თემაზე პროკურორის ბუნდოვანი, მაგრამ მეთოდური შეკითხვების სერიაზე პასუხის გასაცემად. სინამდვილეში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის ეტაპზე, საქმის მასალების გაცნობის შემდეგ შეიძლებოდა ლ.ბ.-ძე მიმხდარიყო, თუ რატომ უჭერდა ასე ძლიერ მხარს პროკურორი ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ შესაძლოა ლ.ბ-ძე და სანდრო გირგვლიანი კაფედან ცალცალკე გამოვიდნენ (იხ. გვ. 65, 71, 86-87 და 165 ზემოთ).

253. სასამართლო გვერდს ვერ აუვლის სხვა ეპიზოდებსაც, რომლებიც ადასტურებს, რომ ქ. თბილისის პროკურატურას საგამოძიებო მოქმედებები აშკარად არასწორი მიმართულებით მიჰყავდა. მაგალითად, როგორც 2006 წ. 8 მარტს ჩატარებული ამოცნობის პროცედურის ვიდეოჩანაწერიდან ირკვევა, ლ. ბ.-ძემ, გარკვეული ყოყმანით, ო.მ.-ოვი ერთ-ერთ ბოროტმოქმედს მიამსგავსა. თუმცა, პროკურორმა ეს ფაქტი არ შეიტანა საგამოძიებო მოქმედების ოქმში. ამის შემდეგ, 2006 წ. 10 მარტს დაკითხვისას, ლ.ბ.-ძემ კვლავ დააფიქსირა თავისი ეჭვი, რომ შესაძლოა დანაშაულში ო.მ.-ოვიც მონაწილეობდა, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ამ სერიოზულ განცხადებას ჯეროვანი ყურადღებით მოკიდებოდა (იხ. Brecknell v. the United Kingdom, no. 32457/04, გვ. 70 and 75, 27 November 2007), პროკურორმა დაზარალებულის დაკითხვის ოქმში მისი სიტყვების პარაფრაზირება მოახდინა, თანაც იმგვარად, რომ მთლიანად უგულებელყო მიღებული ინფორმაციის შინაარსი და მნიშვნელობა (იხ. გვ. 80 ზემოთ). მსგავსი წინააღმდეგობა არსებობს, ლ.ბ.-ძისა და სანდრო გირგვლიანის კაფე „შარდენიდან“ გამოსვლის თაობაზე ლ.ბ.-ძის სინამდვილეში გაკეთებულ განცხადებებსა და იმ ჩანაწერს შორის, რომელიც

პროკურორმა 2006 წ. 6 მარტს, ლ.ბ.-ძის პირველი დაკითხვის დროს, დაკითხვის ოქმში შეიტანა. ასევე არ შეიტანა პროკურორმა ოქმში ლ.ბ.-ძის განცხადება, რომლის თანახმადაც, ზუსტად იმ დროს, როდესაც სანდრო გირგვლიანს მკვეთრი მანერების თანხლებით საუბარი ჰქონდა თ.მ.-ძესთან, ლ.ბ.-ძესთან იმავე მაგიდაზე მისი ერთი მეგობარი გადმოჯდა სალაპარაკოდ (იხ. წყ 63 და 65 ზემოთ). სასამართლოს მიაჩნია, რომ ამით პროკურორმა დაამახინჯა მოწმის განცხადებები საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

254. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ მომჩივნების გამუდმებული მოთხოვნების მიუხედავად, პროკურატურამ, გამოძიების მიზნებისათვის, არ გამოავლინა და არ დაკითხა ის პირები, რომლებთანაც დანაშაულის ღამეს კავშირი ჰქონდათ, როგორც ოთხ მსჯავრდებულს, ისე კაფეში მსხდომ შე მინისტრის მეუღლის ჯგუფს. ასეთი ზომების მიღება აუცილებელი იყო, რათა შემოწმებულიყო მომჩივნების განცხადებები იმის შესახებ, რომ ა რსებობდა რაღაც დანაშაულებრივი კავშირი დანაშაულის უშუალო ამსრულებლებსა და კაფეში მყოფ შე მინისტრის მეუღლის ჯგუფს შორის. სასამართლო აღნიშნავს, მაგალითად, რომ, როგორც ამას საქმის მასალები ადასტურებს, ერთ კონკრეტულ ნომერზე - 8-77-79-89-60 - დანაშაულის ღამეს ყველაზე ხშირად რეკავდნენ არა მხოლოდ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი - გ.ა.-ია, არამედ კაფეში შეკრებილი შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებიც. დ.ა.-აიამ თავის ჩვენებაში აღნიშნა კიდეც, რომ ეს ნომერი მათ საერთო მეგობარს - მ-ელს ეკუთვნოდა. თავის მხრივ, ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა შესაბამისი მობილური სატელეფონო კომპანიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, აღნიშნული ნომერი ვინმე კ.ნ.-ძეს - შპს „ფალკოს“ თანამშრომელს ეკუთვნოდა. ამ აშკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, სახელმწიფო ორგანოებმა თავი არ შეიწუხეს და არ დაადგინეს, თუ ვი ნ იყო აღნიშნული ნომრის ნამდვილი მფლობელი და არ უზრუნველყვეს ამ პირის მოყვანა და მოწმის სახით დაკითხვა, რათა პროცესის თითოეულ მონაწილეს შესძლებოდა იმის გამორკვევა, თუ რის შესახებ ესაუბრებოდა აღნიშნული პირი კაფე „შარდენში“ მსხდომ შსს-ს მაღალი თანამდებობის პირებსა და გ.ა.-იას სწორედ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი, თავის კოლეგებთან, სამინისტროს სხვა თანამშრომლებთან ერთად, სანდრო გირგვლიანისა და ლ.ბ.-ძის წინააღმდეგ დანაშაულს სჩადიოდა.

255. რაც შეეხება მთავრობის მტკიცებას, რომ რეალურად საგამოძიებო ორგანოებმა დაკითხეს ყველა ის პირი, ვისთანაც დანაშაულის ღამეს სატელეფონო კავშირი ჰქონდა ოთხ ბოროტმოქმედს, მაგრამ გადაწყვიტეს, არ შეეტანათ ეს ინფორმაცია საქმის მასალებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს მტკიცება, თუ იგი მისაღები იქნებოდა, მხოლოდ დაამძიმებდა არსებულ მდგომარეობას. მართლაც, მთავრობის ასეთი პოზიცია საფუძველს უმაგრებს მომჩივნათა განცხადებებს, რომელთა დამტკიცებასაც ისინი დაბეჯითებით ცდილობდნენ შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე, რომ გამომძიებლებმა გადამალეს ძალზე მნიშვნელოვანი მტკიცებულებები (იხ. წყ 186 და 224 ზემოთ). სასამართლოს მიაჩნია, რომ ყველა იმ პირის ვინაობის დადგენას, ვისთანაც შესაბამის პერიოდში კავშირი

ჰქონდა ოთხ მსჯავრდებულს, აშკარად ჰქონდა შემხებლობა საქმის გულმოდგინე და ობიექტურ გამოძიებასთან. რაც შეეხება განმარტებებს იმ პირების პირადი ცხოვრების დაცვის აუცილებლობის შესახებ, გარდა იმისა, რომ სასამართლოს უჭირს დაინახოს რაიმე დამარწმუნებელი ძალა ამ დაუსაბუთებელ და ბუნდოვან არგუმენტში, სასამართლოს უბრალოდ სურს აღნიშნოს, რომ პროკურატურას შეეძლო მიეცა მომჩივნებისა და შიდა სასამართლოებისთვის შესაძლებლობა იმისა, რომ ეს პირები, მინიმუმ, ანონიმური მოწმეების სახით დაეკითხათ (შდრ., სხვა მრავალ პრეცედენტთან ერთად, Kornev and Karpenko v. Ukraine, no. 17444/04, § 56, 21 October 2010).

256. სასამართლო ასევე გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურამ არ გამოიკვლია სანდრო გირგვლიანის სხეულის სხვადასხვა ნაწილებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ჭრილობების, განსაკუთრებით ყელის არეში მიყენებული ჭრილობების გარემოებები. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ჭრილობათა უმრავლესობა, მათ შორის ხახის არეში მიყენებული ფატალური ჭრილობა მიყენებული იყო მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი საგნით, შესაძლოა დანით, პროკურატურამ თავი არ შეიწუხა, რათა გამოეძიებინა და აეხსნა, საქმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების კონტექსტში, თუ როგორ, რომელი მჭრელი იარაღით და ოთხი ბრალდებულისგან რომლის მიერ იქნა მიყენებული ეს ჭრილობები (იხ. Vachkovi v. Bulgaria , no. 2747/02, §91, 8 July 2010). სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ამ უმნიშვნელოვანესი ელემენტის დადგენის შემთხვევაში, გარკვეული შედეგები დადგებოდა, მათ შორის, დანაშაულის ჯეროვანი კვალიფიკაციის მხრივაც (იხ. წე 271 და 272 ქვემოთ). ამის სანაცვლოდ, სერიოზული ნიშნების მიუხედავად, რომლებიც მისგან სიფრთხილეს მოითხოვდა, პროკურატურამ უბრალოდ გაიზირა ბრალდებულთა განცხადებები, რომ მათ არ გამოუყენებიათ რაიმე მჭრელი იარაღი და, რომ სანდრო გირგვლიანს ეს ჭრილობები მავთულის ღობეზე გადასვლისას ან მაყვლის ბუჩქებში გავლისას უნდა მიეღო. ასეთი არადამაჯერებლი განცხადებები პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კვალიფიციური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნებს ჭრილობების წარმოშობის შესახებ (იხ. Velikova v. Bulgaria, no. 41488/98, § 73, ECHR 2000-VI).

257. სასამართლო ასევე საგანგაშოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ პროკურატურამ და სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა - უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის სათავეში დ.ა.-აიას ძმა იდგა (იხ. წე 127-129 ქვემოთ) - არ უზრუნველყვეს ოთხი ბრალდებულის სხვადასხვა საკნებში მოთავსება, რასაც იმ დროს ცალსახად მოითხოვდა „პატიმრობის შესახებ“ კანონის 86§2 მუხლი. განურჩევლად იმისა, შეათანხმეს თუ არა ამის წყალობით ბრალდებულებმა ერთმანეთთან თავიანთი ჩვენებები, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ კანონის ასეთი აშკარა უგულებელყოფა ვერაფრით შეუწყობდა ხელს გამოძიების მიმართ განცხადებლებისა და მთლიანად საზოგადოების ნდობის განმტკიცებას.

258. ყველა ზემოთ აღწერილი მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსათვის, რათა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გამოკვლევის გარეშეც

დაასკვნას, რომ საქმის გამოძიების იმ ნაწილს, რომელიც ქ. თბილისის პროკურატურაში ჩატარდა, აშკარად აკლდა ჯეროვანი გულმოდგინება, ობიექტურობა და, რაც ყველაზე მთავარია, კეთილსინდისიერება. გარდა ამისა, არ მისცა რაგანმცხადებლებსა და მეორე დაზარალებულს შესაძლებლობა, გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს ან, მინიმუმ, რეგულარულად მიეღოთ ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, რასაც დაემატა გარკვეული სხვა დარღვევებიც, პროკურატურამ არ შეასრულა თავისი ვალდებულება, დაეცვა დაზარალებულების ინტერესები და უზრუნველეყო გამოძიებაზე ჯეროვანი საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელება (იხ. Medova, cited above, § 109).

(გ) საქმის სასამართლოში განხილვის შესახებ

259. სასამართლოს მიაჩნია, რომ საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე მთავარი ნაკლი იყო შიდა სასამართლოების სისტემატური უარი, მიეცათ განმცხადებლებისთვის საკმარისი დრო და საშუალებები საქმის მასალების შესასწავლად, რითაც განმცხადებლებს წაერთვათ უფლება, ჯეროვნად მოემზადებინათ თავიანთი პოზიცია სასამართლოში გამოსასვლელად და მიეღოთ ეფექტიანი მონაწილეობა სასამართლო პროცესში. მართლაც, გამაოგნებელია ის ფაქტი, რომ ასეთი რთული სისხლის სამართლის საქმის განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ 9 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა (იხ. გვ. 146 და 171 ზემოთ). ასეთი პერიოდის განმავლობაში დაზარალებულები ან თუნდაც მოსამართლეები ვერაფრით შეძლებდნენ ესოდენ დიდი მოცულობის საქმის შესწავლას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ განმცხადებლებს არ მიეცათ შესაძლებლობა, გაცნობოდნენ 14 მტკიცებულებას, რომლებიც საქმის ხერხემალს წარმოადგენდა. ეს მტკიცებულებები, ორიგინალის სახით, სასამართლო სხდომაზე არასდროს გამოქვეყნებულა და არც შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით გამოკვლეულა. ის თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლებისთვის, რომ ჰქონდათ აღნიშნული ვიდეოჩანაწერების და არამხოლოდ მათი წერილობითი აღწერილობების გაცნობის საშუალება, კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება იმ ფონზე, რომ, როგორც სასამართლომ ზემოთ უკვე აღნიშნა (იხ. გვ. 252 და 253 ზემოთ), პროკურატურას გააჩნდა მიდრეკილება, დაემახინჯებინა ფაქტები შესაბამის ოქმებში.

260. ვინაიდან ბრალდებულებს, სსსკ-ის 763 მუხლის შესაბამისად, ჰქონდათ შეუზღუდვავი შესაძლებლობა, ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების სტადიაზე გაცნობოდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, განმცხადებლების, როგორც დაზარალებულის სტატუსის მქონე პირების მდგომარეობა საქმის სასამართლოში განხილვის დროს, განსასჯელებთან შედარებით, აშკარად წამგებიანი იყო. ამასთანავე, სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ ნორმალურ პირობებში, სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვის პროცესში, რომელიც ეფუძნება

მხარეთა შეჯიბრებითობას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მოსამართლის წინაშე, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უმტკიცესი დაცვის მექანიზმები და ეფექტიანი პროცედურა, რომლის საფუძველზეც უნდა იქნეს დადგენილი ფაქტები და პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (იხ. Brecknell, cited above, §§ 65 and 66). სასამართლო, იზიარებს რა განმცხადებელთა არგუმენტებს, აღნიშნავს, რომ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების ფონზე, პროკურატურის მიერ საპროცესო უფლებების ქონა ვერ ჩაითვლებოდა დაზარალებულთა საპროცესო უფლებების უქონლობის კომპენსაციად, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნულ ორგანოს, გამოძიების წარმოების პროცესში, აშვარად აკლდა კეთილსინდისიერება და ინტერესი განმცხადებელთა მოთხოვნების მიმართ.

261. უფრო მეტიც, გარდა იმისა, რომ შიდა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გამოიკვლიეს ზემოხსენებული 14 მტკიცებულება, მათ ასევე უგულებელყვეს განმცხადებელთა მრავალრიცხოვანი შუამდგომლობები საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისათვის პირდაპირი მნიშვნელობის მქონე დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების შესახებ. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ინფორმაცია აუცილებელი იყო ოთხ ბოროტმოქმედსა და კაფე „შარდენში“ შს მინისტრის მეუღლის მაგიდასთან მსხდომ გარკვეულ პირებს შორის შესაძლო დანაშაულებრივი კავშირის არსებობის შესამოწმებლად, შიდა სასამართლოებმა უარი თქვეს დაეცვათ და ჯეროვნად გამოიკვლიათ ინფორმაცია ყველა იმ სატელეფონო ზარის შესახებ, რომელიც დანაშაულის დამეს განხორციელებულ ან მიღებულ იქნა ყველა ზემოაღნიშნული პირის მიერ. ასევე სამწუხაროა ისიც, რომ სასამართლოებმა უგულებელყვეს განმცხადებელთა განცხადებები, რომ შსს-ს და ქ. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის გამომძიებლებმა გაანადგურეს ან გადამალეს მტკიცებულებები, რადგან მათ სისხლის სამართლის საქმის მასალებს თან დაურთეს მხოლოდ ბოროტმოქმედთა მიერ განხორციელებული და მიღებული ზარების შესახებ ინფორმაციის მხოლოდ ნაწილი, მაშინ, როდესაც რეალურად მათ მობილური სატელეფონო კომპანიებისაგან აღნიშნული ინფორმაცია მთლიანად მოიპოვეს (იხ., აგრეთვე, სასამართლოს დასკვნა ზემოთ, §254). ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ სიკვდილის გარემოებების გამოძიება ეფექტიანი რომ იყოს, შიდა სახელმწიფო ორგანოებს მართებთ მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც აუცილებელია საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა მტკიცებულების დასაცავად (იხ., მაგალითად, ზემოთ მითითებული Rantsev, § 241).

262. სასამართლო განსაკუთრებით გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ როდესაც ლ.ბ.-ძემ, თავისი წინანდელი განცხადებების შესაბამისად, სასამართლოშიც გაიმეორა, ამჯერად უკვე სრულიად დარწმუნებულმა, როგორც პროკურატურის, ისე სასამართლოს საყურადღებოდ, რომ მეოთხე ბოროტმოქმედი, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა მასაც და სანდორ გირგვლიანსაც, ო.მ.-ოვი იყო, აღნიშნულმა სახელმწიფო ორგანოებმა, იმის მაგივრად, რომ სიფხიზლე გამოეჩინათ, რაც მათ კანონით ევალებოდათ, თვალი დახუჭეს ამ ძალზე მძიმე და სარწმუნო ბრალდებაზე. სახელმწიფო ორგანოებმა განაგრძეს თავიანთი, ყოვლად

აუქსნელი უმოქმედობა მაშინაც კი, როდესაც განმცხადებლებმა მკაფიოდ მოითხოვეს ო.მ.-ძის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის აღმვრა, მის წინააღმდეგ უშუალო მსხვერპლის - ლ.ბ.-ძის მამხილებელი განცხადებების საფუძველზე (იხ. გ200 ზემოთ). სასამართლოს აზრით, სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელება ო.მ.-ოვის მიმართ, პირისა, რომელიც კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის მეგობართა ჯგუფის წევრი იყო, სრულიად აუცილებელი ზომა იყო იმისათვის, რათა შემოწმებულიყო განმცხადებელთა განცხადებების სისწორე იმის შესახებ, რომ არსებობდა დანაშაულებრივი კავშირი ბოროტმოქმედებსა და აღნიშნულ ჯგუფს შორის (იხ., *mutatis mutandis*, ზემოთ მითითებული Brecknell, გვ 70-71; ზემოთ მითითებული Kolevi, გვ 201; და ზემოთ მითითებული Slimani, გვ 29).

263. სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობდა სხვა საეჭვო გარემოებებიც, რომლებიც, შიდა სასამართლოების მიერ ჯეროვნად რომ ყოფილიყო დაფიქსირებული და შეფასებული, დამატებით ნათელს მოჰყენდა განმცხადებელთა ზემოხსენებულ განცხადებას დანაშაულებრივი კავშირის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ თუ გ.ა.-იამ წინასწარი გამოძიების ეტაპზე განცხადა, რომ ოქროყანიდან დაბრუნებისას, უკანა გზაზე, ანუ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მას დაურეკა გ.დ.-ძემ, რათა კვითხა მისთვის, მოდიოდა თუ არა იგი კაფეში წვეულებაზე დასასწრებად, ამ უკანასკნელმა, სასამართლოში დაკითხვის დროს, საეჭვოდ უარყო, რომ მისთვის რაიმე იყო ცნობილი გ.ა.-იას კაფეში შესაძლო მისვლის შესახებ (იხ. გვ 74 და 155 ზემოთ). ამავე დროს, სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებში არსებული სატელეფონო ზარების მონაცემები ადასტურებს, დანაშაულის დამეს, 1.50, 1.56, 2.01 და 2.05 საათზე, გ.დ.-ძესა და გ.ა.-იას მართლაც ჰქონდათ ერთმანეთთან სატელეფონო კავშირი. ამ ფაქტიდან გამომდინარე, სასამართლოს ძალზე სამწუხაროდ მიაჩნია ის გარემოება, რომ შიდა სახელმწიფო ორგანოებმა არ ახსნეს ასეთი აშკარა წინააღმდეგობა გ.ა.-იასა და გ.დ.-ძის განცხადებებში და ამ განცხადებების შეუსაბამობა სატელეფონო ზარების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე დადგენილ ფაქტებთან.

264. აღსანიშნავია, რომ თვით გ.ა.-იას საკუთარი მონათხრობიც კი, სანდრო გირგვლიანთან მისი კონფლიქტის წარმოშობის თაობაზე იმ ფაქტს ადასტურებს, რომ განმცხადებელთა შვილი იცნობდა და როგორც ჩანს, კონფლიქტში იმყოფებოდა შსს-ს, მინიმუმ, ზოგიერთ წარმომადგენელთან, კერძოდ კი გ.დ.-ძესთან. როგორც გ.ა.-იამ თქვა, მან გაიგო, რომ სანდრო გირგვლიანმა „დედა შეაგინა გ.დ.-ძეს“ და ასევე „დედები შეუგინა“ კაფეში მსხდომ „კა-გე-ბეს თანამშრომლებს“. გონიერ დამკვირვებელს გ.ა.-იას განცხადებებიდან შეეძლო გამოეტანა დასკვნა, რომ სანდრო გირგვლიანი იცნობდა ხალხს, რომელსაც შეურაცხყოფას აყენებდა. კიდევ ერთი დეტალი, რომელიც ასევე ადასტურებს პიპოთეზას, რომ უნდა არსებულიყო რაღაც კავშირი და ფარული შუღლი განმცხადებელთა შვილსა და გ.დ.-ძეს შორის, არის ის ფაქტი, რომ პირად საუბარში თ.მ.ძესთან, სანდრო გირგვლიანმა შეურაცხმყოფელი სიტყვა - „პედერასტი“ გამოიყენა შს მინისტრის პრესმდივნის მისამართით (იხ. გვ 71, 101 და 158 ზემოთ).

265. საქმის მასალებში არსებული სატელეფონო ზარების მონაცემების ანალიზის საფუძველზე, სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სანდრო გირგვლიანის მიმართ დანაშაულებრივი ქმედებები უნდა ჩადენილიყო ღამის 2.12 და 2.54 საათს შორის შუალედში, რადგან სწორედ ამ პერიოდში იმყოფებოდა გ.ა.-ია ოქროყანის სასაფლაოს მიდამოებში. აღნიშნული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ღამის 2.08, 2.17., 2.23 და 2.25 საათზე გ.დ.-ძეს, დ.ა.-აიას ტელეფონიდან ვიღაცამ დაურევა. ამ გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ პროკურატურას და შიდა სასამართლოებს არც კი უცდიათ გამოერკვიათ, შს მინისტრის მეუღლის ჯგუფიდან ვინ ურეკვდა გ.-იას ასეთი საეჭვო ინტენსივობით, მხოლოდ 9, 6 და 2 წუთის ინტერვალით, სწორედ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი, სამინისტროში მომუშავე სხვა კოლეგებთან ერთად, სანდრო გირგვლიანს და ლ.ბ.-ძეს იტაცებდა და იმ მომენტში ან ოქროყანისკენ მიმავალ გზაზე იყო, ანდა უკვე მსხვერპლთა ცემით იყო დაკავებული - იყო ეს დ.ა.-აია, რომელიც მობილური ტელეფონის მფლობელი იყო, თუ, შესაძლოა, სულაც ო.მ.-ოვი (იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დ.ა.-აიას SIM ბარათი ამ უკანასკნელის მობილურ ტელეფონში იდო, იხ. გ114 ზემოთ).

266. სასამართლო გმობს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ძალზე სერიოზული ნიშნებისა, რომლებიც სახელმწიფო ორგანოებისაგან ამ მიმართულებით განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვდა, აღნიშნულმა ორგანოებმა თვალი დახუჭეს განმცხადებელთა სარწმუნო განცხადებებზე, კაფეში შეკრებილი შს მინისტრის მეუღლის ჯგუფის ზოგიერთ წევრსა და დანაშაულის უშუალო ამსრულებლებს შორის დანაშაულებრივი კავშირის არსებობის შესახებ. შიდა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ასეთი შერჩევითი მიდგომა სასამართლოსთვის მიუღებელია, რადგან გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, რომ გამოძიების დასკვნები ეფუძნებოდეს დანაშაულის ყველა შესახები ელემენტის გულმოდგინე, ობიექტურ და მიუკერძოებელ ანალიზს. როდესაც გამოძიება არ მიმდინარეობს კვლევის თვალსაჩინო მიმართულებით, იგი თავის თავს უსპობს უნარს, დაადგინოს ჭეშმარიტება საქმეზე და გამოავლინოს პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული (იხ. ზემოთ მითითებული Kolevi, გ201, და ზემოთ მითითებული Velikova, გ 82).

267. ზემოაღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მომჩივნებს თვითნებურად წაერთვათ უფლება, ეფექტიანი მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცესში, ხოლო, თვითონ პროცესმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ შიდა სახელმწიფო ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ სურვილი დაედგინათ, ობიექტურად და დამაჯერებლად, სრული ჭეშმარიტება 2006 წ. 28 იანვარს სანდრო გირგვლიანის გატაცებისა და სიკვდილის გარემოებების შესახებ.

(d) მსჯავრდებულთათვის შეფარდებული სასჯელის საკმარისობის შესახებ

268. სასამართლო შეხსენებს, რომ მართალია, უმეტესწილად, ეროვნული სასამართლოების არჩევანზეა დამოკიდებული, თუ რა სანქციები უნდა დაწესდეს ადამიანის წამებისა და მკვლელობისათვის, ევროპულ სასამართლოს, როგორც კონვენციის მე-2 და მე -3 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების - კონვენციის ამ ორი ყველაზე ფუნდამენტური უფლების დაცვაზე პასუხისმგებელ უზენაეს ორგანოს, მართებს განახორციელოს თავისი საზედამხედველო უფლებამოსილება და ჩაერიოს იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აშკარა შეუსაბამობა ჩადენილი ქმედების სიმძიმესა და შეფარდებულ სასჯელს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოების ვალდებულება, ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება, თავის მნიშვნელობას დაკარგავდა, ხოლო ზემოთ მითითებული მუხლებით განმტკიცებული უფლებები პრაქტიკაში არაეფექტიანი იქნებოდა (იხ. Nikolova and Velichkova v. Bulgaria, no. 7888/03, § 61, 20 December 2007; Fadime and Turan Karabulut v. Turkey, no. 23872/04, § 46, 27 May 2010; and Okkali v. Turkey, no. 52067/99, § 73-76, ECHR 2006-XII (extracts)).

269. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს აუცილებლად მიაჩნია, იმსჯელოს არამხოლოდ შიდა სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელების სიმკაცრეზე, არამედ შემდგომი ამ სასჯელების აღსრულების წესზეც.

270. სასამართლო აღნიშნავს, რომ შეს-ს ოთხი მაღალჩინოსნის მიმართ შეფარდებული სასჯელების ზომის საკითხი არსებით კავშირშია შიდა სასამართლოების მხრიდან ამ პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების კვალიფიკირების საკითხთან. სასამართლო აღიარებს, რომ, ჩვეულებრივ, მის ფუნქციებში არ შედის შემოწმება იმისა, თუ რამდენად სწორედ იქნა გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის დებულებები სასჯელის განსაზღვრისას, ან კიდევ განსჯა იმისა, თუ რა ხარისხის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა უნდა დაკისრებოდათ აღნიშნულ სახელმწიფო მოხელეებს. მაგრამ მხედველობაში იღებს რა თავის ვალდებულებას, კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, რომ განსაკუთრებული გულმოდგინებით შეისწავლოს სახელმწიფოს წარმომადგენლების ხელში ჩადენილი მკვლელობის საქმეები, განურჩევლად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი თავიანთი ოფიციალური მოვალეობების შესრულების პროცესში, სასამართლოს არ შეუძლია გვერდი აუაროს იმ ფაქტს, რომ საგამოძიებო ორგანოებმა არ მოამზადეს საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი, ხოლო სასამართლოებმა არ შეიწუხეს თავი და არ იმსჯელეს თავიანთ გადაწყვეტილებებში თუ რა ხასიათის იყო დამნაშავეთა მიერ ჩადენილი ქმედებები, რომლებმაც პირის სიკვდილი გამოიწვია (იხ., მაგ., ზემოთ მითითებული Velikova, § 73, და ზემოთ მითითებული Okkali, § 73).

271. მაგალითად, სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების თანახმად, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სანდრო გირგვლიანი წელს ზემოთ გააშიშვლეს და სხეულის სხვადასხვა ნაწილებში მას მჭრელი, წვეტიანი და ტარიანი იარაღით, შესაძლოა

დანით, მრავალრიცხოვანი ჭრილობები მიაყენეს. პროკურატურისა და სასამართლოების მიერ დადგენილ იქნა, რომ ეს ქმედებები ოქროყანის სასაფლაოზე შეს სამინისტროს ოთხმა მოსამსახურემ ჩაიდინა. ერთადერთი შესაძლო ლოგიკური დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს ამ ორი დადგენილი ფაქტიდან გამომდინარე, ის არის, რომ ბოროტმოქმედებმა, ოქროყანის სასაფლაოზე, ჯერ გააშიშვლეს სანდრო გირგვლიანი, რომელიც, თავისთავად, ადამიანის მიმართ განზრახ, დამამცირებელი მოპყრობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს, ხოლო შემდეგ, ჯგუფის, მინიმუმ, ერთმა წევრმა დაიწყო მისი სასტიკად წვალება დაუდგენელი მჭრელი იარაღის გამოყენებით.

272. დააკვირდა რა ამ ჭრილობების ბუნებას უფრო ახლოდან - საუბარია მრავალრიცხოვან ჭრილობებზე მსხვერპლის მთელ სხეულზე, რომელთა სიგრძე 4 სმ-სა და 15 სმ-ს შორის მერყეობს და, რომლებიც ასევე მოიცავს ღრმა ჭრილობებს ყელის არეში, რომელთაგან ერთი, რომელმაც მსხვერპლის ხახა გახვრიტა, ფატალური აღმოჩნდა (მეტი დეტალებისთვის იხ. გვ. 20-22 ზემოთ) - სასამართლოს სხვა არაფერი დარჩენია, გარდა იმისა, რომ დაასკვნას, რომ სანდრო გირგვლიანი გახდა განსაკუთრებით სასტიკი, სიცოცხლისთვის საშიში არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. უფრო მეტიც, რადგან ბოროტმოქმედმა (ბოროტმოქმედებმა) მსხვერპლს, ესოდენ ფაქტი ადგილას, როგორიცაა ყელის არე, რაღაც მჭრელი იარაღით 12 ჭრილობა მიაყენა (მიაყენეს), ერთადერთი გონივრული ვარაუდი ამ შემთხვევაში ის არის, რომ ბოროტმოქმედს (ბოროტმოქმედებს) რეალურად განზრახული ჰქონდა (ჰქონდათ), მოეკლა (მოეკლათ) სანდრო გირგვლიანი. კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ხაზს უსვამს ჩადენილი დანაშაულის სიცოცხლისათვის საშიშ ხასიათს, ის იყო, რომ, სულ მცირე, ერთმა ბოროტმოქმედმა მაინც ცემცხლსასროლი იარაღი გამოიყენა. ყველა ამ ფაქტზე დაყრდნობით, სასამართლო სამწუხაროდ მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის კვალიფიკაციის შერჩევისას და დამნაშავეთათვის სასჯელის სახით 7-8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას, რომელი სასჯელის საკმარისობაც ნამდვილად საეჭვოა, შიდა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს ისეთი აშკარად დამამშიმებელი გარემოებება, როგორიცაა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ მსხვერპლის მიმართ სრულიად შეგნებულად ჩადენილი დამამცირებელი და განსაკუთრებით სასტიკი მოპყრობა.

273. წებისმიერ შემთხვევაში პრობლემის არსი არა იმდენად ბოროტმოქმედთათვის თავდაპირველად შეფარდებული სასჯელის ზომაში მდგომარეობს, რამდენადაც შემდგომში ამ სასჯელის აღსრულების წესში. სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ 2008 წ. 24 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ესოდენ შემზარავ დანაშაულში მსჯავრდებული სახელმწიფო მოხელეების შეწყალება და მათთვის სასჯელის დარჩენილი ვადის განახევრება. ამის შემდეგ, თითქოს შეწყალების ასეთი ზომა არ ყოფილიყო საკმარისად მიმტევებლური, 2009 წ. 5 სექტემბერს, სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის რეკომენდაციით და შესაბამისი შიდა სასამართლოს გადაწყვეტილებით, მსჯავრდებულები პირობით ვადამდე გაათავისუფლეს.

სახელმწიფომ მიუთითა იმის აუცილებლობაზე, რომ დამნაშავეებმა პასუხი აგონ მთლიანად საზოგადოების წინაშე (იხ. გ229 ზემოთ). ამ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს საზოგადოებისაგან მოელოდნენ, მიეღო ის ფაქტი, რომ სამი წლისა და ექვსი თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა (იხ. გვ. 61 და 205 ზემოთ) საკმარისი სასჯელი იყო შსს-ს ოთხი მაღალი თანამდებობის პირისათვის, რომლებმაც სასტიკად, არაადამიანურად აწამეს და მოკლეს უდანაშაულო ადამიანი.

274. ამის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი, განსაკუთრებით კი სამართალდამცავი ორგანოს მოხელე, მსჯავრდებულია კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევით ჩადენილი დანაშაულის ჩადენაში, მის მიმართ ამნისტიისა ან შეწყალების ზომების გამოყენება არაფრით არ ემსახურება სასჯელის საკმარისობის მიზანს (იხ., *mutatis mutandis*, ზემოთ მითითებული Okkali, § 76, და *Abdülsamet Yaman v. Turkey*, no. 32446/96, § 55, 2 November 2004). პირიქით, სასამართლო მოელის სახელმწიფოებისაგან, რომ ისინი ბევრად უფრო მკაცრად დასჯიან თავიანთი სამართალდამცავი ორგანოების მოსამსახურებს, რომლებმაც ასეთი სიცოცხლისათვის საშიში დანაშაულები ჩაიდინეს, ვიდრე ჩვეულებრივ დამნაშავეებს, რადგან ამ შემთხვევაში სამსჯავროზეა არამხოლოდ თითოეული დამნაშავის ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაც, აღმოფხვრას დაუსჯელობის გრძნობა, რომელიც დამნაშავეებს შეიძლება გააჩნდეთ მარტო იმ ფაქტის გამო, რომ მათ გარკვეული თანამდებობა უკავიათ, აგრეთვე ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ქვეყნის სამართალდამცავი სისტემის მიმართ სათანადო რწმენისა და პატივისცემის შენარჩუნებას (იხ., *mutatis mutandis*, ზემოთ მითითებული Nikolova and Velichkova, § 63). ამასთან დაკავშირებით, სასამართლოს პრინციპული პოზიციაა, რომ მას სრულიად მიზანშეუწონლად და საზოგადოებისთვის არასწორ გზავნილად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ძალზე მძიმე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირებს არ ჩამოერთვათ მომავალში საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავების უფლება (იხ. *Türkmen v. Turkey*, no. 43124/98, § 53, 19 December 2006, და ზემოთ მითითებული *Abdülsamet Yaman*, § 55).

275. ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ შიდა სასამართლოების მიერ მსჯავრდებულებისათვის გამოტანილი განაჩენი და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ ამ განაჩენის აღსრულების წესი არ წარმოადგენდა საკმარის სასჯელს ჩადენილი დანაშაულისათვის. ამგვარი არაგონივრული ლმობიერების გამო, ოთხი მოხელის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას დაეკარგა ყოველგვარი ეფექტიანობა, რასაც მოითხოვს კონვენციის მე-2 მუხლი (იხ. ზემოთ მითითებული Nikolova and Velichkova, გვ. 58-64 and 75).

(e) დასკვნითი მოსაზრებები

276. აჯამებს რა ზემოთ მითითებულ დასკვნებს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ სანდრო გირგვლიანის სიკვდილის გარემოებების გამოძიებას აშვარად აკლდა აუცილებელი დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და გულმოდგინება. პირიქით, საქმის შესაბამისი გარემოებები შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს დასკვნას, რომ შიდასახელმწიფოებრივმა ორგანოებმა არაკეთილსინდისიერად წარმართეს საქმის გამოძიება. თუნდაც ცალკეული სახელმწიფო ორგანოების არაჯეროვანი ქმედებები, ცალკე აღებული, არ ყოფილიყო საკმარისი იმისათვის, რათა მთლიანად გამოძიება უარყოფითად შეფასებულიყო, მათი თანაარსებობა, კუმულაციური ეფექტი, ამ თვალსაზრისით საკმარისზე მეტიც კია. სასამართლო გაოგნებულია იმ ფაქტით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა განშტოებები - შსს, გამოძიების საწყის სტადიაზე დაშვებული დარღვევებით; პროკურატურა, გამოძიების შემდგომ ეტაპზე დაშვებული სხვა დარღვევებით; სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, მსჯავრდებულების ერთ საკანში უკანონოდ მოთავსებით; შიდა სასამართლოები, არასრულფასოვანი სასამართლო განხილვებითა და მსჯავრდებულების ვადაზე ადრე გათავისუფლებით; საქართველოს პრეზიდენტი, მსჯავრდებულების მიმართ გაუმართლებელი ლმობიერების გამოვლენით, და ა.შ. - ყველა ერთად, ხმაშეწყობილად მოქმედებდა იმ მიზნისათვის, რომ ამ შემზარავი მკვლელობის საქმეზე როგორმე არ განხორციელებულიყო მართლმსაჯულება.

277. ამასთანავე, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, თავისი ზემოთ აღწერილი დასკვნების შესაბამისად (იხ. §274), რომ როდესაც ადამიანი კვდება საეჭვო გარემოებებში და, ამასთან, სახელმწიფოს წარმომადგენლის ხელში, გამოძიების წარმოებისას შესაბამის შიდასახელმწიფოებრივ ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენა მართებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო, გამოავლენს რა სიცოცხლისათვის საშიში აქტების მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, თავის წარმომადგენლებში დაუსჯელობის გრძნობის განვითარების რისკის წინაშე დადგება, რასაც შეუძლია გზა გაუხსნას სხვა თავზეხელაღებულ დანაშაულებს, ისეთებს, როგორსაც ჰქონდა ადგილი მოცემულ საქმეში.

278. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას.

## 2. იმის შესახებ, შეურაცხება თუ არა სიკვდილის ფაქტი მოპასუხე სახელმწიფოს

### ა) მხარეთა არგუმენტები

279. მთავრობამ განაცხადა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია, რადგან, პირველი, შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ სკრუპულოზურად ჩატარებული გამოძიების შედეგად, დადგინდა, რომ განმცხადებელთა შვილის სიცოცხლე „განზრახ“ არ ყოფილა ხელყოფილი, ამ სიტყვის იმ მნიშვნელობით, რომლითაც იგი გამოყენებულია აღნიშნული მუხლის 1-ლ პუნქტში. განზრახვის არარსებობას ადასტურებდა ის ფაქტი, რომ როდესაც ოქროყანის სასაფლაოზე განმცხადებელთა შვილი გაექცა მოძალადეებს, ერთ-ერთმა მათგანმა იარაღი ჰაერში გაისროლა და არა მისი მიმართულებით.

280. მეორეც, მთავრობა ამტკიცებდა, რომ დანაშაულის ჩადენის დროს ბოროტმოქმედები მოქმედებდნენ არა ოფიციალური სტატუსით, არამედ, როგორც ჩვეულებრივი პირები. მათ ჩაიდინეს ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება შურისძიების მიზნით, წმინდა პირადი მოსაზრებით, და არა პოლიციის ოპერაციის ფარგლებში; ისინი არ ასრულებდნენ მათი უფროსების ბრძანებას. პირიქით, დანაშაული ჩადენილ იქნა მეგობრის დაბადების დღეზე კერძო ვიზიტის კონტექსტში. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ განაცხადა, რომ მოცემული საქმის გარემოებები უნდა გამიჯნულიყო იმ გარემოებებისაგან, რომლებსაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, საქმეებში Leonidis v. Greece (no. 43326/05, § 58-66, 8 January 2009) და Karagianopoulos v. Greece (no. 27850/03, §§ 56-64, 21 June 2007).

281. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ თუნდაც გ.ა.-იას ეღიარებინა, რომ მან განმცხადებელთა შვილსა და ლ.ბ.-ძეს თავი წარუდგინა, როგორც შსს-ს თანამშრომელმა, თავის 2008 წ. 28 იანვრის ჩვენებაში ლ.ბ.-ძეს აღნიშნული ჰქონდა, რომ ბოროტმოქმედები მუქი ფერის სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი. მაშასადამე, აშვარა იყო, რომ დაზარალებულებს არ შეეძლოთ დამნაშავეთა აღქმა პოლიციის ოფიცრებად. უფრო მეტიც, დამნაშავეებს თან არ ჰქონიათ მათი ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი და არ უსარგებლიათ შსს-ს კუთვნილი ავტომანქანით. ამის სანაცვლოდ, გ.ა.-იამ, სამინისტროს ნებართვის გარეშე, ისარგებლა ამოღებული ავტომანქანით, რომელიც კერძო პირს ეკუთვნოდა, და ამგვარი სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის იგი საბოლოოდ ჯერვნად იქნა კიდევაც დასჯილი.

282. საპასუხოდ, განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფოს უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მათი შვილის სიკვდილისათვის, რადგან ბოროტმოქმედებმა, რომლებიც შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ, ორივე მსხვერპლს თავი წარუდგინეს, როგორც პოლიციის თანამშრომლებმა, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ისიც კი სცადა, რომ დაედგინა მათი ვინაობა. უფრო მეტიც, დადგენილი ფაქტი იყო, რომ ბოროტმოქმედები სამინისტროს სამსახურეობრივი ავტომანქანებით და ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით სარგებლობდნენ, აგრეთვე

დანაშაულის ჩადენის მიზნით, მათ თავიანთი პროფესიული ურთიერთობებიც გამოიყენეს. მაგალითად, გ.ა.იამ თავისი იერარქიული ხელმძღვანელობითი სტატუსი გამოიყენა, რათა მოეხდინა თავისი კოლეგების მობილიზება იმ ქმედებების ჩასადენად, რომლებიც მათ ერთობლივად ჩაიდინეს. ამგვარად, განმცხადებლებმა განცხადეს, რომ მკვლელობა ჩადენილ იქნა სახელმწიფოს ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყენებით და, რომ ასეთ პირობებში, მოპასუხე სახელმწიფო არ უნდა გათავისუფლებულიყო პასუხისმგებლობისაგან, კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტიდან გამომდინარე.

283. განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, რომ კონვენციის მე-2 მუხლი არ უნდა ყოფილიყო გაგებული ისე, თითქოს იგი კანონგარეშე აცხადებდა მხოლოდ განზრახ მკვლელობას; არ არსებობდა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც ვინმეს აღჭურვავდა უფლებით ან ნებართვით, მოეხდინა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. მოცემულ შემთხვევაში, მსხვერპლის სიკვდილს შედეგად უნდა მოჰყოლოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, განურჩევლად იმისა, თუ რა კვალიფიკაცია მისცეს გასაჩივრებულ ქმედებებს შიდა სასამართლოებმა (იხ., მაგ., ზემოთ მითითებული Leonidis, წგ 58 და 59). განმცხადებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საგამომიებო ორგანოებმა უარი თქვეს დაედგინათ, თუ რა როლი მიუძღვის ა.მ.-ოვს სანდრო გირგვლიანის სიკვდილში, სახელმწიფოს მიერ სასამართლოსთვის შესაბამისი სისხლის სამართლის საქმის მასალების სრული მოცულობით წარუდგენლობამ დაამტკიცა ვარაუდი, რომ მკვლელობა ჩადენილ იქნა დანაშაულის დამეს კაფე „შარდენში“ შეკრებილი, შს-ში ბოროტმოქმედთა უფროსების მიერ გაცემული ბრძანებების საფუძველზე.

#### (b) სასამართლოს შეფასება

##### i. ზოგადი პრინციპები

284. სასამართლო კვლავ აღნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლების ფუნდამენტური ხასიათიდან გამომდინარე, გარემოებები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება გამართლებულ იქნეს პირისათვის სიცოცხლის წართმევა, მკაცრად უნდა იქნეს განმარტებული. მე-2 მუხლი არავის ანიჭებს „კარტ-ბლანშ“. სახელმწიფოს წარმომადგენლების არარეგულირებული და თვითნებური მოქმედება შეუთავსებელია ადამიანის უფლებების ეფექტიანად დაცვის მოთხოვნებთან. სხვა საკითხებთან ერთად, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, თვითნებობისა და ძალის გადამეტების საწინააღმდეგოდ ადექვატური და ეფექტური დაცვის სისტემის შექმნის გზით, უზრუნველყოს, რომ მის წარმომადგენლებს ჯეროვნად ესმოდეთ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლები და, რომ თავიანთ მოქმედებებში ისინი ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ იმით, თუ რა წერია სიტყვა-სიტყვით შესაბამის

პროფესიულ ნორმატიულ აქტებში, არამედ სათანადო ყურადღებით მოეკიდონ ადამიანის სიცოცხლის, როგორც ფუნდამენტური ღირებულების დაცვის პრიორიტეტებს (იხ., *mutatis mutandis*, Abdullah Yilmaz v. Turkey, no. 21899/02, § 56, 17 June 2008; ზემოთ მითითებული Leonidis, 54-57).

285. მტკიცებულებების შეფასებისას, სასამართლო ზოგადად „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცების სტანდარტით სარგებლობს (იხ. Ireland v. the United Kingdom, 18 January 1978, §161, Series A no. 25). თუმცა, ასეთი მტკიცება შეიძლება ეფუძნებოდეს ფაქტების შესახებ საკმარისად მყარი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული ლოგიკური დასკვნების ან მსგავსი, გაუქარწყლებელი პრეზუმაციების ერთობლიობას. როდესაც ინფორმაცია გასაჩივრებული მოვლენების შესახებ, მთლიანად ან უმეტეს წილად, სახელმწიფო ორგანოების ექსკლუზურ მფლობელობაშია, ისევე, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავებული პირი მათი კონტროლის ქვეშ იმყოფება, წარმოიშობა მყარი ფაქტის პრეზუმაცია ასეთი დაკავების დროს მომხდარი დაზიანებისა და სიკვდილის ფაქტების მიმართ. ჭეშმარიტად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ მტკიცების ტვირთი სახელმწიფო ორგანოებს აწევთ, რაც მოიცავს მათ ვალდებულებას, წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტება (იხ. Ertak v. Turkey, no. 20764/92, § 32, ECHR 2000-V).

286. სასამართლო სიფრთხილით ეკიდება თავისი ფუნქციების სუბსიდიურ ბუნებას და აღიარებს, რომ მას მართებს, თავი შეიკავოს 1-ლი ინსტანციის სასამართლოს, როგორც ფაქტების დამდგენი ორგანოს ფუნქციებისაგან თუ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ეს გარდაუვალი არ არის. მიუხედავად ამისა, როდესაც პრეტენზიები წამოყენებულია კონვენციის მე-2 და მე -3 მუხლების საფუძველზე, სასამართლო ვალდებულია განსაკუთრებული გულმოდგინებით შეამოწმოს ისინი, თუნდაც გარკვეული შიდა საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები უკვე განხორციელებული იყოს. შიდა სასამართლოების დასკვნები არ არის სავალდებულო სასამართლოსთვის და დამაჯერებელი არგუმენტების არსებობამ შეიძლება უკარნახოს მას, გაემიჯნოს ამ დასკვნებს და უარყოს ისინი (იხ. Aktas v. Turkey, no. 24351/94, § 271, ECHR 2003-V (extracts), and Leonidis, cited above, § 59).

#### ii. ზემოთ აღწერილი პრინციპების გამოყენება მოცემულ საქმეში

287. სახელმწიფო ორგანოების მიერ განმცხადებელთა შვილის სიკვდილის გარემოებების გამოძიების „სკრუპულოზურობის“ შესახებ სახელმწიფოს არგუმენტის საპასუხოდ, სასამართლო მიუთითებს თავის ყოვლისმომცველ დასკვნებზე, რომლებიც შეეხება სხვადასხვა აუხსნელ წინააღმდეგობებსა და გამოძიების პროცესში შესაბამისი შიდა სახელმწიფო ორგანოების მიერ დაშვებულ სერიოზულ დარღვევებს (იხ. გვ. 245-276 ზემოთ).

288. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფოს მიერ პირის საეჭვო გარემოებებში გარდაცვალებასთან დაკავშირებით სათანადო ზომების მიუღებლობა მხოლოდ კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე მისი საპროცესო ვალდებულებებით უნდა შემოიფარგლოს.

289. კერძოდ, სასამართლო, იზიარებს რა სახელმწიფოს არგუმენტებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მართალია, სანდორო გირგვლიანი სახელმწიფოს წარმომადგენლების ხელში გარდაიცვალა, დამნაშავეები არ მოქმედებდნენ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულების ფარგლებში. პირიქით, საქმის გარემოებების თანახმად, როგორც ეს შიდა სასამართლოების მიერ იქნა დადგენილი, დანაშაული ჩადენილ იქნა ბოროტმოქმედთა მიერ თავიანთი მეცნიერის დაბადების დღის კერძო წესით აღნიშვნის კონტექსტში. ისინი არ მონაწილეობდნენ პოლიციის მიერ დაგეგმილ ოპერაციაში ან სპონტანურ დევნაში (იხ., ამის საწინააღმდეგოდ, ზემოთ მითითებული Leonidis, § 58). რაც შეეხება განმცხადებელთა განცხადებას, რომ მათი შვილი კაფე „შარდენში“ შეკრებილი შსს-ს მაღალჩინოსნების - ბოროტმოქმედთა უფროსების ბრძანებით მოკლეს (იხ. §283 ზემოთ), სასამართლოს, მის ხელთ არსებული მასალის ჯეროვნად შემოწმების შედეგად მიაჩნია, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებითი საფუძველი იმისათვის, რომ „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტის შესაბამისად, გაკეთდეს ესოდენ შორს მიმავალი ფაქტობრივი ხასიათის დასკვნა.

290. აღიარებულია, რომ სახელმწიფოებს თავიანთ სამართალდამცავ სისტემებში მაღალი პროფესიული სტანდარტების დაწესება და ამ სისტემაში მომუშავე პირებთა დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა ევალებათ (იხ. mutatis mutandis, ზემოთ მითითებული Abdullah Yilmaz, §§ 56 და 57). თუმცა, გაითვალისწინა რა მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებები, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ გ.ა.იას, ა.ა.-ურის, ა.ყ.-ავასა და მ.ბ.-ძის მიერ ჩადენილი კერძო ქმედებები შეიძლება შეერაცხოს მთლიანად საქართველოს სახელმწიფოს მარტო იმ მიზეზით, რომ ეს პირები ამავე დროს სახელმწიფოს წარმომადგენლები იყვნენ (იხ., mutatis mutandis, Çelik v. Turkey (no. 2), no. 39326/02, § 33, 27 May 2010). მართლაც, გასაჩივრებული ქმედებები იმდენად გამოირჩეოდა თავისი სისასტიკით და იმდენად შორს იყო დამნაშავეთა ოფიციალური მდგომარეობისაგან, რომ მათი დანაშაულებრივი ქცევა არ შეიძლება იწვევდეს სახელმწიფოს საერთაშორისო მატერიალურ-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

291. შესაბამისად, კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

## II. კონვენციის 38-ე მუხლის დაცვა

292. კონვენციის 38გ1 მუხლი მოცემული დროისათვის ასე იკითხებოდა:

„თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, ის:

ა) განაგრძობს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად და საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები მას უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი საშუალებით.“

293. განმცხადებელთა თქმით, სახელმწიფომ წარმოადგინა მხოლოდ ნაწილი მტკიცებულებებისა, რომლებიც აუცილებელი იყო საჩივრის განსახილველად, და ესეც დიდი დაგვიანებით გააკეთა. კერძოდ, განმცხადებლებმა დაგმეს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ წარმოადგინა თბილისი-კოჯრის გზაზე მდებარე ბიზნესმენის სახლზე დამონტაჟებული სათვალთვალო ვიდეოკამერის მიერ 2006 წ. 28 იანვარს, ღამის 2.00-დან 3.00 საათამდე პერიოდში, დაფიქსირებული კადრების სრული ვიდეოჩანაწერი (იხ. გ48 ზემოთ).

294. 2010 წ. 26 აპრილს წარმოდგენილ წერილობით მოსაზრებებში (იხ. გ12 ზემოთ), სახელმწიფომ განაცხადა, რომ 14 მტკიცებულების დაგვიანებით წარმოდგენის მიზეზი ის იყო, რომ საჭირო იყო შესაბამისი კომპაქტ-დისკების დამატებითი ასლების გაკეთება. რაც შეეხევა ლ.პ.-ძის მიმართ სსკ-ის 371-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმის მასალებს (იხ. გ4 ზემოთ), მათი დაგვიანებით წარმოდგენა განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ როდესაც სასამართლომ ეს მასალები მოითხოვა, გენერალურ პროკურატურაში ჯერ კიდევ მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. ნებისმიერ შემთხვევაში, რაკი სასამართლომ საბოლოოდ მოიპოვა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი და ნივთიერი მტკიცებულება, სახელმწიფოს აზრით, ადგილი ჰქონდა ზემოთ მითითებული *Medova v. Russia* (გვ. 126-133) საქმისგან განსხვავებულ სიტუაციას და, აქედან გამომდინარე, კონვენციის 38-ე მუხლი არ დარღვეულა.

295. აღნიშნავს რა, რომ კონვენციის 29გ3 მუხლი, შესაბამის მომენტში მოქმედი რედაქციით, გამოყენებული იქნა წინამდებარე განაცხადის სახელმწიფოსთვის გაგზავნის დროს (იხ. გ4 ზემოთ), სასამართლოს მიაჩნია, რომ განაცხადის დასაშვებობის შესახებ ცალკე გადაწყვეტილების არარსებობის პირობებში, სასამართლო ინარჩუნებს განსჯადობას კონვენციის 38-ე მუხლის მიმართ, აღნიშნული მუხლის იმ რედაქციით, რომელიც განსახილველ დროს იყო ძალაში, და იგი უფლებამოსილია, განიხილოს შესაბამისი გარემოებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა შემდგომი პროცედურების განხორციელების დროს.

296. სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე დადგენილი ინდივიდუალური განაცხადების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებმა

წარმოადგინონ ყველა აუცილებელი საშუალება, რათა შესაძლებელი გახადონ განაცხადების ჯეროვანი და ეფექტური განხილვა (იხ. Tanrikulu v. Turkey [GC], no. 23763/94, § 70, ECHR 1999-IV). ეს ვალდებულება მოითხოვს ხელშემკვრელი სახელმწიფოებისაგან, სასამართლოს წარუდგინონ ყველა აუცილებელი საშუალება მაშინაც, როდესაც იგი ახორციელებს გამოძიებას ფაქტების დადგენის მიზნით და მაშინაც, როდესაც იგი ასრულებს თავის ზოგად მოვალეობებს განაცხადების განხილვასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს მიერ, დამაჯერებელი ახსნაგანმარტების მიუცემლად, მის ხელთ არსებული ასეთი ინფორმაციის წარუდგენლობის შემთხვევაში, არამხოლოდ შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა განმცხადებლის ბრალდებების დასაბუთებულობის შესახებ, არამედ ამ გარემოებამ ასევე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კონვენციის 38-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე გავეთებულ შეფასებებზეც (იხ. ზემოთ მითითებული Medova, § 76, და Timurtas v. Turkey, no. 23531/94, § 66, ECHR 2000VI).

297. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის შესაბამის გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებულ ვადაში, კერძოდ 2008 წ. 22 დეკემბრამდე, სახელმწიფომ წარმოადგინა მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის დოკუმენტური მასალები, რვა ტომად. მაგრამ სახელმწიფოს არ წარმოუდგენია 14 მტკიცებულება, რომელიც შედგებოდა 23 კომპაქტ-დისკისა და ნახაზისაგან (იხ. §159 ზემოთ), აგრეთვე ლ.ბ.-ძის მიმართ სსკ-ის 371-ე მუხლის შესაბამისად განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმის მასალები. ასეთი უმოქმედობა ეწინააღმდეგებოდა სასამართლოს მკაფიო მითითებას, რომ ორივე საქმის მასალები მთლიანობაში უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ქაღალდზე გადაღებული ასლის სახით, ისე ელექტრონულ მონაცემთა შემნახველ მოწყობილობებზე ჩაწერილი სახით (იხ. § 4 ზემოთ).

298. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ მანამდე წარუდგენელი მტკიცებულებების დიდი ნაწილი სასამართლოს წარუდგინა დიდი დაგვიანებით, 2009 წ. 15 დეკემბერს, ანუ თითქმის ერთი წლის გასვლის შემდეგ, და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლომ რამდენჯერმე დაჟინებით მოთხოვა მას ამ მასალების წარდგენა. სასამართლოს არ შეუძლია სერიოზულად აღიქვას სახელმწიფოს განმარტება 14 მტკიცებულებასთან დაკავშირებით, რომ ესოდენ დიდი დრო დასჭირდა სულ რაღაც 23 კომპაქტ-დისკის ასლის გადაღებას. რაც შეეხება ლ.ბ. -ძის მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის მასალებს, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმე ქ. თბილისის პროკურატურის წარმოებაში იყო და არა საქართველოს გენ. პროკურატურისა, როგორც ამას სახელმწიფო ამტკიცებდა. აღსანიშნავია, რომ განმცხადებელთა მოთხოვნები, რომ სისხლის სამართლის საქმე ჩამორთმეოდა თბილისის პროკურორს და გადაცემოდა გენ. პროკურორს, 2006 წ. 4 აგვისტოს უარყოფილ იქნა, როგორც უსაფუძვლო (იხ. §202 ზემოთ). შემდგომში, როგორც სახელმწიფომ თავის 2008 წ. 22 დეკემბრის მოსაზრებებში აღნიშნა, სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა. მაშასადამე, თუნდაც დაუშვას, რომ

სასამართლის მიერ აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის მასალების პირველად მოთხოვნის დროს, ანუ 2008 წ. 24 ივნისს, სისხლის სამართლის საქმის წარმოება მართლაც მიმდინარეობდა შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, სასამართლოს მაინც არ ძალუძს იმის გაგება, თუ რამ შეუშალა ხელი სახელმწიფოს, ეს მასალები წარმოედგინა მოგვიანებით, 2008 წ. 22 დეკემბრის მოსაზრებებთან ერთად, როდესაც სისხლისსამართლებრივი დევნა, მისივე განცხადებით, უკვე შეწყვეტილი იყო.

299. უფრო მეტიც, დაათვალიერა რა ზემოაღნიშნული 14 მტკიცებულების შემადგენელი ყველა ჩანაწერი, სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისი-კოჯრის გზაზე დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებული კადრები არ იქნა წარმოდგენილი მთლიანობაში - მთლიანობისგან ძალზე შორს იყო. საგამოძიებო ორგანოს მიერ შედგენილი ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღების ოქმის თანახმად, ჩანაწერები მოიცავდა 2006 წ. 28 იანვარს დამის 2.00-დან 3.00 საათამდე შუალედს (იხ. გვ. ზემოთ). მაგრამ, მიუხედავად სასამართლოს არაერთგზის მოთხოვნისა, ჩანაწერები წარმოდგენილიყო სრული მოცულობით, სახელმწიფომ წარმოადგინა ჩანაწერების მხოლოდ ნაწილი, რომელიც ასახავდა თბილისი-კოჯრის გზაზე მომხდარ მოვლენებს (მანქანების იშვიათ მოძრაობას) შემდეგი ათი, გაწყვეტილი, დროის ძალიან მოკლე პერიოდის განმავლობაში (დრო ასახავს დამის პერიოდს): (i) 2:13:30 – 2:13:41, (ii) 2:17:16 – 2:17:30, (iii) 2:17:37 – 2:17:41, (iv) 2:24:36 – 2:24:37, (v) 2:41:03 – 2:41:08, (vi) 2:42:37 – 2:42:42, (vii) 2:45:42 – 2:45:53, (viii) 2:46:48 – 2:46:51, (ix) 2:46:58 – 2:47:07 და (x) 2:47:10 – 2:47:20. ამგვარად, მოთხოვნილი 1 საათის ნაცვლად, წარმოდგენილი ჩანაწერების საერთო ხანგრძლივობა დაახლოებით 68 წამია.

300. გარდა ამისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ ასევე არ წარმოადგინა კაფე „შარდენის“ თანამშრომლებისა და ა.კ.-ძის დაკითხვის ამსახველი ვიდეოჩანაწერები (იხ. გვ. 83 და 112 ზემოთ).

301. ზემოთ აღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლომ დასკვნა, რომ სახელმწიფოს განმარტებები იმის თაობაზე თუ რატომ წარმოადგინა მან მოთხოვნილი მტკიცებულებების ნაწილი დაგვიანებით და რატომ არ წარმოადგინა მტკიცებულებების გარკვეული ნაწილი საერთოდ, არ არის დამარწმუნებელი. განსაკუთრებულ წუხილს იწვევს ის ფაქტი, რომ სახელმწიფომ არ წარმოადგინა თბილისი-კოჯრის გზაზე მანქანების მოძრაობის ამსახველი ვიდეოკადრები მთლიანად, დამის 2.00-დან 3.00 საათამდე პერიოდისათვის. სასამართლოს აზრით, ამ კონკრეტული მტკიცებულების სრული სახით წარმოდგენა მნიშვნელოვანი იყო კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განხილვისათვის, რადგან მისი საშუალებით, შეიძლებოდა დამტკიცებულიყო ან, პირიქით, უარყოფილიყო განმცხადებელთა განცხადები, რომ ო.მ.-ოვმა კაფე „შარდენი“ იმ მიზნით დატოვა, რომ შეერთებოდა თავის კოლეგებს შსს-დან და მონაწილეობა მიეღო მათი შვილის მიმართ სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობასა და მკვლელობაში. თავის წერილობით მოსაზრებებში, სახელმწიფომ ვერაფრით ახსნა ასეთი დარღვევის მიზეზი და დუმილი ამჯობინა

მაშინაც კი, როდესაც განმცხადებლებმა ამ საკითხთან დაკავშირებით პირდაპირ უსაყვედურეს მას სასამართლოს 2010 წ. 27 აპრილის ზეპირ საჯარო მოსმენაზე.

302. მიუთითებს რა მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულებაზე, ითანამშრომლოს კონვენციით გათვალისწინებული პროცედურების წარმართვისას და მხედველობაში ღებულობს რა იმ სირთულეებს, რომლებიც ესოდენ რთულ საქმეებში ფაქტების დადგენასთან არის დაკავშირებული, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ საქმეში, საქართველოს მთავრობამ არ შეასრულა კონვენციის 38-ე მუხლიდან გამომდინარე მისი ვალდებულებები.

### III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

#### A. კონვენციის 6შ1 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

303. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ მკვლელობის საქმეზე ჩატარებული სისხლის სამართლის საქმის განხილვას ჰქონდა თვითნებური ხასიათი, რასაც ადასტურებდა არასაკმარისი საგამოძიებო მოქმედებები, გაუმართლებელი ლომბიერება ოთხი ბოროტმოქმედის მიერ ჩადენილი ქმედებების კვალიფიკაციის მხრივ და სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა ინციდენტის მონაწილე შსს-ს სხვა მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების კუთხით. განმცხადებელთა თქმით, სისხლის სამართლის პროცესში დაშვებული ასეთი დარღვევების გამო, მათ სრულყოფილად და ეფექტიანად ვერ ისარგებლეს სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით.

304. განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, სათანადო ახსნა-განმარტების გარეშე, რომ სამოქალაქო საქმის წარმოების პროცესში, მათ საზიანოდ, დარღვეულ იქნა მხარეთა თანასწორობის პრინციპი (იხ. გვ. 206-209 ზემოთ).

305. სახელმწიფო არ დაეთანხმა ასეთ განცხადებებს და აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმის წარმოების მხრივ, საჩივარი *ratione materiae* არ შეესაბამებოდა კონვენციის 6შ1 მუხლის მოთხოვნებს, რადგან განმცხადებლების, როგორც დაზარალებული მხარის, მიერ დასახული მიზნები წმინდა სადამსჯელო ხასიათისა იყო (შეად. Perez v. France [GC], no. 47287/99, გვ. 69-70, ECHR 2004-I). სახელმწიფომ ასევე უსაყვედურა განმცხადებლებს, რომ მათ სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმის წარმოების დასრულებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ შეიტანეს. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც სახელმწიფომ განაცხადა, მიუთითა რა ზემოთ ხსენებულ Perez-ის საქმეზე, შესაბამისი ქართული კანონიდან გამომდინარე, და ფრანგული კანონმდებლობისგან განსხვავებით, სამოქალაქო ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, სისხლის სამართლის საქმის შედეგებს არ მინიჭებია გადამწყვეტი მნიშვნელობა. სახელმწიფომ ასევე აღნიშნა, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლომ

განმცხადებლებს, მორალური ზიანის სახით, 40 000 ლარი (დაახლ. 16 832 ევრო) მიაკუთვნა, რომელიც, სახელმწიფოს განცხადებით, იყო ყველაზე დიდი თანხა, რომელიც საქართველოს სასამართლოებს, ამ კატეგორიის ზიანის სახით, ოდესმე ვინმესთვის მიუკუთვნებიათ.

306. აღნიშნავს რა, რომ განმცხადებლების პრეტენზიები სისხლის სამართლის პროცესში დაშვებული თვითნებობის წინააღმდეგ ეფუძნება იმავე ფაქტებს, რომლებიც განხილული იქნა კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მათი დასაშვებობის საკითხი განხილულ უნდა იქნას საქმის არსებით მხარესთან ერთად. თუმცა, მხედველობაში იღებს რა ზემოთ მის მიერ გამოტანილ ყოვლისმომცველ ფაქტობრივ და სამართლებრივ დასკვნებს, ამასთან არ ეხება რა სისხლის სამართლის საქმის სამოქალაქო ასპექტის მიმართ 6x1 მუხლის გამოყენების საკითხს, სასამართლოს მიაჩნია, რომ ყველა საკითხი, რომელიც განმცხადებელთა ჩივილის საგანი გახდა, მთლიანად იქნა გადაფარული მათი საჩივრის იმ ნაწილის განხილვით, რომელიც ეხება კონვენციის მე-2 მუხლს, რის გამოც არ არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ ეს საკითხები ხელმეორედ იქნეს განხილული კონვენციის 6x1 მუხლის ფარგლებში.

307. რაც შეეხება საქმის სამოქალაქო სასამართლოში განხილვის სამართლიანობას, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ნაწილში საჩივარი არ არის ჯეროვნად დამუშავებული, რადგან განმცხადებლებს არ წარმოუდგენიათ რაიმე კონკრეტული მტკიცებულება, რომელიც მათ განცხადებებს დაამტკიცებდა (იხ. § 304 ზემოთ). მაშასადამე, კონვენციის 6x1 მუხლიდან გამომდინარე, ამ ნაწილში განმცხადებელთა საჩივარი აშკარად უსაფუძვლოა და კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე -4 პუნქტების თანახმად, დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

## B. კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

308. დაეყრდნენ რა კონვენციის მე-3 და მე -13 მუხლებს, ამასთან, დაუკავშირეს რა მითითებები მე-13 მუხლზე მათივე განცხადებებს მე-2 მუხლის დარღვევის თაობაზე, განმცხადებლებმა ასევე განაცხადეს, რომ მათი შვილი სიკვდილის წინ აწამეს, ხოლო მისი სიკვდილის გარემოებების შესახებ გამოძიება არ წარმოადგენდა ეფექტიან მისაგებელს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, განმცხადებლებმა დაგმეს სახელმწიფო ორგანოების უმოქმედობა მათი 2006 წ. 21 სექტემბრისა და 2007 წ. 16 თებერვლის საჩივრების მიმართ, რომლებითაც ისინი ითხოვდნენ სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებისა და მტკიცებულებების განადგურების გამო სისხლისსამართლებრივი დევნის აღმვრას იმ გამომმიებლების მიმართ, რომელთა წარმოებაშიც იყო სისხლის სამართლის საქმე.

309. სახელმწიფო არ დაეთანხმა განმცხადებლებს.

310. სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელთა მიერ, კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები მჭიდროდ არის დაკავშირებული კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში იქნა განხილულ მათივე პრეტენზიებთან და ამიტომ ისინი დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული.

311. ამასთანავე, მხედველობაში იღებს რა იმ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლომ კონვენციის მე-2 მუხლი დარღვეულად სცნო, სასამართლოს მიაჩნია, რომ კონვენციის მე-3 და მე-13 მუხლებიდან რაიმე ცალკე საკითხები არ გამომდინარეობს (იხ. ზემოთ მითითებული Nikolova and Velichkova, §§ 77 and 78, და ზემოთ მითითებული Angelova and Iliev v. Bulgaria, § 106).

#### IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

##### კონვენციის 41-ე მუხლში ნათქვამია:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

##### ა. ზიანი

313. განმცხადებლებმა მორალური ზიანისათვის 300 000 ევრო მოითხოვეს.

314. მთავრობამ განაცხადა, რომ არ არსებობდა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, ვინაიდან ამ საქმეში კონვენციის დებულებაების დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ამასთანავე, სახელმწიფომ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულად მიიჩნია.

315. მხედველობაში იღებს რა კონვენციის მე-2 მუხლთან დაკავშირებით თავის დასკვნებს, სასამართლო უეჭველად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ განმცხადებლებმა მძიმე ტანჯვა და იმედგაცრუება განიცადეს იმის გამო, რომ მოპასუხე სახელმწიფომ არ ჩაატარა საქმეზე ჯეროვანი გამომიება, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა მათი შვილის სიკვდილის გარემოებების შესახებ სრული ჭეშმარიტების დადგენა და, აქედან გამომდინარე, ყველა დამნაშავის ადექვატურად დასჯა. ახელმძღვანელა რა სამართლიანობის პროცესით, სასამართლომ მეორე განმცხადებელს, ბ-ნ გურამ გირგვლიანს, ამ ნაწილში 50 000 ევრო მიაკუთვნა (იხ. §1 ზემოთ).

## **ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები**

316. განმცხადებლების თითოეულმა წარმომადგენელმა მათ მიერ გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის 5 000 ევროს ანაზღაურება მოითხოვა. მათ მიერ წარმოდგენილი მასალებიდან არ გამოიკვეთა, აღნიშნული თანხები შიდა დონეზე გაწეული მომსახურებისათვის იყო მოთხოვნილი თუ სასამართლოში საქმის წარმოების დროს შესრულებული სამუშაოებისათვის. აღნიშნული თანხები არ ყოფილა დაშლილი ნაწილებად, მოთხოვნა არ იყო დადასტურებული რაიმე ანგარიშფაქტურებით, ხელშეკრულებებით ან სხვა დოკუმენტებით. წარმომადგენლებმა ასევე წარმოადგინეს ქვითრები, რომლებიც ადასტურებდა განმცხადებელთა მიერ გაწეულ საფოსტო, სატელეფონო, ფაქსის და თარგმანის ხარჯებს, საერთო ოდენობით 924 ლარი (დაახლ. 388 ევრო).

317. საპასუხოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ წარმომადგენლების მიერ იურიდიული დახმარებისთვის მოთხოვნილი თანხები სრულიად დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული იყო.

318. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს კარგად ჩამოყალიბებული პრაქტიკის საფუძველზე (იხ., მაგალითად, Ghavtadze v. Georgia, no. 23204/07, §§ 118 and 120, 3 March 2009, and Saghinadze and Others v. Georgia, no. 18768/05, § 164, 27 May 2010), აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ხელთ არ ჰქონდა საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბ-ნ გურამ გირგვლიანს სხვადასხვა ადმინისტრაციული ხარჯებისათვის უნდა მიეკუთვნოს მხოლოდ 388 ევრო.

## **გ. საურავი**

319. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

## **ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო**

1. ერთხმად, არსებითად უერთდება მთავრობის წინასწარ პრეტენზიას კონვენციის 6§1 მუხლის ფარგლებში წამოყენებული პრეტენზიის შესახებ;
2. კონვენციის 6§1 მუხლის ფარგლებში წამოყენებულ პრეტენზიის სამოქალაქო პროცესის შესახებ და განაცხადის დანარჩენ ნაწილს აცხადებს დაუშვებლად;

3. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურულ დარღვევას განმცხადებლების შვილის მკვლელობის საქმის არაეფექტური გამოძიების თვალსაზრისით;

4. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე ადგენს, რომ განმცადებლების შვილის შსს-ს მაღალჩინოსნების ხელიდან მკვლელობის საქმეში კონვენციის მე-2 მუხლის არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია;

5. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ კენჭისყრის საფუძველზე ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის 38-ე მუხლი;

6. ერთხმად ადგენს, რომ განაცხადის დანარჩენი ნაწილის განხილვის საჭიროება არ არსებობს;

7. ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ ადგენს,

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მეორე განმცხადებელს - ბ-ნ გურამ გირგვლიანს, კონვენციის 44გ2 მუხლის შესაბამისად, განჩინების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

(i) 50,000 (ორმოცდაათი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული

(ii) 388 (სამასოთხმოცდარვა) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით და ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

8. ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ უარყოფს განმცხადებლების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2011 წ. 15 თებერვალს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§2 და §3) მუხლების შესაბამისად.

კონვენციის 45§2 და სასამართლოს რეგლამენტის 74§2 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე განჩინებას თან ერთვის შემდეგი განსხვავებული მოსაზრებები:

(ა) მოსამართლეების, კაბრალ ბარეტოს, იოჩიენესა და პოპოვიჩის ერთიანი ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

(ბ) მოსამართლე ადეიშვილის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

F.T.

S.H.N.

**მოსამართლეების კაბრალ ბარეტოს, იოჩიენესა და პოპოვიჩის  
ერთიანი, ნაწილობრივ განსხვავებული აზრი**

ჩვენ, კოლეგების უმეტესობასთან ერთად, მხარი დავუჭირეთ კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული დარღვევის არსებობას, მაგრამ ასევე გვჯერა, რომ მოცემულ საქმეში მე-2 მუხლის არსებითი მხარეც დარღვეულია. საამისოდ შემდეგი მიზეზები გაგვაჩნია:

საქმეში ჩაკიცი თურქეთის წინააღმდეგ ([GC], № 23657/94, § 86, ECHR, 1999-IV) სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი, რომელიც სიცოცხლის უფლებას იცავს, კონვენციის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური დებულებაა და მე-3 მუხლთან ერთად, ევროპის საბჭოს წევრი დემოკრატიული ქვეყნების ერთ-ერთ ძირითად ღირებულებას იცავს (იხ. მაკანი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1995 წ. 27 სექტემბრის განჩინება, სს 146-47, Series A, № 324). დაკისრებული ვალდებულება მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის გამოყენებით განზრახ მკვლელობას არ მოიცავს. მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის პირველი წინადადება სახელმწიფოებს სიცოცხლის დაცვას კანონის მეშვეობითაც ავალდებულებს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვთვლით, რომ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი სახელმწიფოს არამხოლოდ სიცოცხლის განზრახ და არაკანონიერ მოსპობისგან თავის შეკვებას ავალდებულებს, არამედ ასევე საჭირო ნაბიჯებს დგამს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების სიცოცხლის დასაცავად. შესაბამისად, სასამართლოს მოვალეობას წარმოადგენს, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, დაადგინოს, გააკეთა თუ არა სახელმწიფომ ყველაფერი, რაც მოეთხოვებოდა, რათა

განმცხადებლის სიცოცხლისათვის რისკი აერიდებინა (იხ. L.C.B. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, № 23413/94, § 36, ანგარიშები, 1998-III).

უფრო მეტიც, საქმეში ერტაკი თურქეთის წინააღმდეგ (ECHR, 2000 V, §132), სასამართლომ განაცხადა, რომ „ბელისუფლებას ევალება, ანგარიშვალდებული იყოს მათი კონტროლის ქვეშ მყოფი ადამიანებთან დაკავშირებით.“

მოცემული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ ბ-ნი სანდრო გირგვლიანის სიცოცხლე 2006 წ. 28 იანვარს ნამდვილად სახელმწიფო მოხელეების ხელში იყო, რომლებმაც მისი სიცოცხლე სასიკვდილო რისკის წინაშე დააყენეს და ამ დანაშაულის ჩამდენებად მოგვევლინენ.

ასეთი პოზიციის გასამყარებლად, გვსურს ხაზი გავუსვათ შემდეგ ფაქტებს: A.) დანაშაულის ჩამდენი პირები, რომელთა ქმედებების შედეგად გარდაიცვალა ბატონი სანდრო გირგვლიანი, შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. B.) დანაშაულის დამეს, ბატონ სანდრო გირგვლიანთან და მეორე მსხვერპლთან პირველი კონტაქტის დროს, ბოროტმოქმედებმა ორივე მსხვერპლს თავი წარუდგინეს, როგორც პოლიციის ოფიცრებმა. C.) დანაშაულის მონაწილე ერთ-ერთი პოლიციის ოფიცერი შეეცადა, დაედგინა მსხვერპლთა ვინაობა. D.) დანაშაულის ჩადენის მიზნით, დამნაშავეებმა გამოიყენეს შსს-ს ავტოფარეხში მდგომი ავტომანქანები. მხოლოდ პოლიციის ოფიცრებს მიუწვდებოდათ ხელი ასეთ ავტომანქანებზე. E.) დანაშაულის ჩადენის დროს, აღნიშნულ პოლიციის ოფიცრებს თან ჰქონდათ თავიანთი ტაბელური იარაღი. მართალია, მათ არ გამოუყენებიათ აღნიშნული იარაღი მსხვერპლის მოკვლის მიზნით, დადგენილი ფაქტია, რომ იმ მოვლენების მსვლელობისას, რომლებმაც ბატონი სანდრო გირგვლიანის სიკვდილი გამოიწვია, აღნიშნული იარაღიდან მოხდა გასროლა. F.) ერთ-ერთმა დანაშავემ გამოიყენა თავისი სამსახურეობრივ-იერარქიული მდგომარეობა, რათა განეხორციელებინა თავისი ხელქვეითების მობილიზება და ჩაება ისინი დანაშაულში. ეს გარემოება განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან იგი საფუძველს უმყარებს ჩვენს დასკვნას, რომ დამნაშავეებმა, დანაშაულის ჩასადენად, თავიანთი სამსახურეობრივი მდგომარეობა გამოიყენეს. G.) ბატონი სანდრო გირგვლიანი გარდაიცვალა პოლიციის ოფიცრების მიერ მისი სასტიკად ცემის შედეგად, ისეთ ადგილას, სადაც მისი მშველელი არავინ იყო, თანაც იმ ადამიანების მიერ, რომელთა ვალდებულება, მათი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ანალოგიურ სიტუაციებში მსხვერპლის დაცვა იყო. დამნაშავეები არა უბრალოდ თავიანთი უფლებამოსილებების გადამეტებით (ultra vires) მოქმედებნენ; არამედ, მათ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, მაშინ, როდესაც მათი მირითადი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობა სწორედ დანაშაულის აღკვეთა იყო.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება თუ არა ბოროტომოქმედთა მიერ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფოს შეერაცხოს. ჩვენი პასუხი ამ კითხვაზე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დადებითია.

საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, სახელმწიფო პასუხს აგებს თავისი წარმომადგენლების მოქმედებებზე. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის

ჩამდენი პირები სახელმწიფოს წარმომადგენლები - პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და სწორედ ასეთი სტატუსით მოქმედებდნენ. სახელმწიფოს არ შეუძლია თავიდან აიცილოს თავისი საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულებები იმ განცხადების საფუძველზე, რომ მისი წარმომადგენლების მოტივები სახელმწიფო პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი წარმომადგენლების საქციელისათვის დამოუკიდებელია იმ მოტივებისგან, რომლებიც მათ შეიძლებოდა ჰქონოდათ.

უფრო მეტიც, სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სამართლიდან გამომდინარე, ყურადღებით შეარჩიოს თავისი წარმომადგენლები. ამ პროცესში სახელმწიფომ ძალზე მკაცრი კრიტერიუმები უნდა შეიმუშავოს და მაღალი პროფესიული სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს, რათა როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, საკუთარი მოვალეობებისა და ვალდებულებების მაღალ დონეზე შესრულება უზრუნველყოს. სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა საქმეში Abdullah Yilmaz v. Turkey (no. 21899/02, §57), რომ სახელმწიფო სამსახურში „სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიონალთა მაღალი დონის კომპეტენტურობა“. ჩვენ მთლიანად ვეთანხმებით ამ წესს და მიგვაჩნია, რომ იგი სავალდებულოა ჩვენს სასამართლოში განსახილველ ყველა შესაბამის საქმესთან დაკავშირებით.

ჩვენი აზრით, სრულიად აშკარაა, რომ საქართველომ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ჯეროვანი გულმოდგინებით შეერჩია თავისი პოლიციის თანამშრომლები, რათა ამით შეესრულებინა კონვენციით დადგენილი სტანდარტები.

მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ, რომლებსაც, თვით მათი თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას თუ ამგვარის გარეშე, ევალებოდათ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ეს მათი, როგორც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მდგომარეობას, ეკადრებოდა, რადგან მათი მოვალეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელშეწყობა, დანაშაულის აღკვეთა და გამოძიება იყო. მათ უნდა გაეკეთებინათ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, რათა განმცხადებლის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან ვერ შეარჩია სათანადო პირები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების თანამდებობებზე, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტი. თუნდაც აღნიშნულ თანამდებობის პირებს თავიანთი პირადი მოტივებით ემოქმედათ, რაც, ჩვენი აზრით, ეჭვევშ დგას და სულაც არ არის დამტკიცებული, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავი სისტემა სათანადო სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. ეს კი ქმნის საფუძველს დასკვნისათვის, რომ დანაშაულის ჩამდენი პოლიციის ოფიცირების ქმედებები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უნდა შეერაცხოს და, საქმის მასალების თანახმად, რეალურად და პირდაპირ

შეერაცხება კიდევ საქართველოს სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეში სასამართლოს მიერ დადგენილ კონვენციის ყველა სხვა დარღვევასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტის დარღვევასაც.

რაც შეეხება სამართლიან დაკმაყოფილებას 41-ე მუხლის საფუძველზე, კონვენციის მე-2 მუხლის ორმაგი დარღვევის შესახებ დასკვნა, ჩვენი აზრით, მორალური ზიანის ბევრად უფრო დიდი ოდენობით დაკისრებას მოითხოვს.

## მოსამართლე ადეიშვილის ნაწილობრივ განსხვავებული აზრი

ვწუხვარ, რომ არ შემიძლია დავეთანხმო პალატის უმრავლესობის პოზიციას, რომელმაც დარღვეულად სცნო კონვენციის მე-2 მუხლი (პროცედურული ასპექტი) და 38-ე მუხლი.

კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ასპექტის ინტერპრეტაციასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით, მიმაჩნია, რომ უმრავლესობამ გადაუხვია სუბსიდიურობის პრინციპიდან, რომელიც კონვენციის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მოცემულ საქმეში სასამართლომ ვერ უზრუნველყო ის, რომ არ ემოქმედა, როგორც სააპელაციო ორგანოს, რომლის მიზნებიც მას არ გააჩნია. თავის პრაქტიკაში სასამართლო ხშირად იცავს ბალანსს სუბსიდიურობისა და საზედამხედველო ფუნქციებს შორის. საქმეში Relating to Certain Aspects of the Laws on the Use of Languages in Education in Belgium v. Belgium (საქმის არსებითი ნაწილი), სასამართლომ უარი თქვა, „ეკისრა კომპუტერული ეროვნული ორგანოების როლი, რადგან ასეთ შემთხვევაში იგი დაკარგვადა კონვენციით დადგენილი კოლექტიური აღსრულების საერთაშორისო მექანიზმის სუბსიდიურ ბუნებას“ (§10, სასამართლოს მიერ დამტკიცებული ინტერპრეტაცია, 1968 წლის 23 ივლისის განჩინება). მოცემული საქმე საფრთხეს უქმნის თავად იმ პრინციპს, რომელიც სისტემის ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

სცნო რა მე-2 მუხლის საპროცესო ასპექტის დარღვევა სასამართლო ხელისუფლების ქმედებებში, სასამართლომ შიდა სასამართლოებს მიაწერა მთელი რიგი სხვა ქმედებებისა, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების ფუნქციებად ვერ ჩაითვლება და ამიტომ მას ვერ შეერაცხება. მაგალითად, ხარვეზებს, რომლებიც სასამართლოს მიერ 261-ე - 266-ე პუნქტებშია აღწერილი, საერთო არაფერი აქვთ შიდა სასამართლოების საქმიანობასთან.

განსახილველ დროს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ერთადერთი ორგანო იყო, რომელსაც მართლმაჯულების განხორციელების უფლებამოსილება გააჩნდა. შიდა სასამართლოებს არ ჰქონდათ საკუთარი

ინიციატივით გამოძიების დაწყებისა ან მტკიცებულებების შეგროვების უფლებამოსილება. ეს ბრალდების საქმე იყო.

მოცემულ განჩინებაში სასამართლო შიდა სასამართლოებს უმოქმედობისათვის აკრიტიკებს, მაგრამ საკითხავია, სინამდვილეში, განსახილველ დროს, გააჩნდათ თუ არა შიდა სასამართლოებს უფლებამოსილება, გამოესწორებინათ ის დარღვევები, რომლებსაც დღეს სასამართლო შიდა სასამართლო ხელისუფლებას მიაწერს. პასუხი ის არის, რომ ყველა საკითხი, რომელიც სასამართლომ ზემოთ მითითებულ პუნქტებში დასვა, საგამოძიებო ორგანოებს უნდა გამოერკვიათ და არა შიდა სასამართლოებს, რადგან განსახილველ დროს სასამართლო ხელისუფლებას იმის უფლებაც ვი არ ჰქონდა, რომ საქმე დამატებითი გამოძიებისთვის გადაეგზავნა. მაშასადამე, არ არის სწორი, რომ ყველა ეს ხარვეზი სასამართლო ხელისუფლებას მიეწეროს, რადგან ამ უკანასკნელს მათი აღმოფხვრის უფლებასილება არ გააჩნდა.

რაც შეეხება 38-ე მუხლს, იმულებული ვარ, არ დავეთანხმო უმრავლესობის მხრიდან სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან გადახვევას. არსებობს მთელი რიგი საქმეებისა, რომლებშიც სასამართლომ 38-ე მუხლი დარღვეულად სცნო იმის გამო, რომ მოთხოვნილი მასალები მისთვის საერთოდ არ ყოფილა წარდგენილი (Imakayeva v. Russia, no. 7615/02, § 201, Lyanova and Aliyeva v. Russia, nos. 12713/02 and 28440/03, § 145, Nevmerzhitsky v. Ukraine, no. 54825/00 § 77).

საქმეში Alikhadzhiyeva v. Russia (no. 68007/01), მოპასუხე სახელმწიფომ საქმის მასალები მხოლოდ მას შემდეგ წარადგინა, როდესაც განაცხადი დაუშვებლად იქნა ცნობილი (§99). უფრო მეტიც, სახელმწიფომ პირდაპირ უარიც ვი განაცხადა კომუნიკაციის სტადიაზე საქმის მასალების სასამართლოსთვის წარდგენაზე (§ 102). მიუხედავად ამისა, 104-ე პუნქტში სასამართლომ აღნიშნა: „რაც შეეხება 38-ე მუხლს, სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ იგი გამოიყენება ისეთ საქმეებში, რომლებიც დასაშვებად იქნა ცნობილი. მხედველობაში იღებს რა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფომ სასამართლოს მოთხოვნა დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ შეასრულა, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის დაგვიანებით წარმოდგენამ ხელი შეუშალა ფაქტების დადგენას ან რაიმე სხვა მხრივ მიაყენა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას. ასეთ ვითარებაში სასამართლოს მიაჩნია, რომ სასამართლოს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარდგენის დროის მხრივ კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია“.

სასამართლოს ზემოთ ციტირებული განმარტებიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ საქმის მასალების დაგვიანებით მიწოდება 38-ე მუხლის დარღვევად რომ იქნეს მიჩნეული: (i) დაგვიანება პროცესის იმ ეტაპზე უნდა მოხდეს, როდესაც საქმის არსებითი მხარე განიხილება; (ii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ ფაქტების დადგენას უნდა შეუშალოს ხელი; (iii) დაგვიანებას ისეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ რაიმე სხვა მხრივ უნდა მიაყენოს ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვას.

მოცემულ შემთხვევაში არცერთ ზემოხსენებულ პირობას არ ჰქონია ადგილი. საჩივრის დასაშვებობისა და არსებითი მხარის განხილვა ერთდროულად მოხდა (§4) და განხილვის პროცესში ყველა მოთხოვნილი მასალა სასამართლოს ხელთ იყო. ამასთანავე, დაგვიანებას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, რომ ფაქტების დადგენისთვის შეეშალა ხელი ან რაიმე სხვა მხრივ მიეყენებინა ზიანი მოცემული საქმის ჯეროვნად განხილვისათვის. ამ საქმეზე გამოტანილი განჩინება პირდაპირი მტკიცებულებაა იმისა, რომ, მიღებული მასალების საფუძველზე, სასამართლომ გამოიკვლია სათანადო ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნები. არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ სასამართლომ ვერ შეძლო თავისი ფუნქციების შესრულება იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ შეასრულა კონვენციიდან გამომდინარე თავისი ვალდებულებები. მაშასადამე, ამ საქმეში არცერთ ისეთ პირობას არ ჰქონია ადგილი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია კონვენციის 38-ე მუხლის დარღვევა.

ეს პრეცედენტი, კონვენციის 38-ე მუხლის გამოყენების მხრივ, ძალიან სახითაო მიდგომას უყრის საფუძველს - მას შეუძლია სახელმწიფოებს დაუკარგოს მათ ხელთ არსებული მასალების სასამართლოსთვის წარდგენის სურვილი, რადგან ეცოდინებათ, რომ მაშინაც კი თუ ისინი წარადგენენ ამ მასალებს გარკვეული დაგვიანებით, სასამართლოს შეუძლია კონვენციის 38-ე მუხლი მაინც დარღვეულად სცნოს. ასეთი მიდგომა შესაძლოა არ ემსახურებოდეს სასამართლოს ინტერესებს მისი საბოლოო მიზნების მიღწევის საქმეში.